DVV INTERNATIONAL

საქართველოს ოფისი

ზრდასრულთა განათლების ცენტრები საქართველოში

თბილისი

2020

Federal Ministry
for Economic Cooperation
and Development

vhs
DVV International

სახელმძღვანელო მომზადდა სახალხო უნივერსიტეტთა გერმანული ასოციაციის საერთაშორისო თანამშრომლობის ინსტიტუტის საქართველოს ოფისის მიერ

ავტორი: ნანა ჭაბუკიანი
რედაქტორი: მელიტა ფაჩულია

© DVV International Georgia Country Office, 2020
ყველა უფლება დაცულია

აბსტრაქტი

ზრდასრულთა განათლების პირველი ცენტრები საქართველოში 2006 წელს DVV International-ის საქართველოს ოფისის მიერ დაარსდა. დღეს ქვეყნის რვა რეგიონში ზრდასრულთა განათლების ცამეტი ცენტრი ფუნქციონირებს, სადაც ბენეფიციარებს შესაძლებლობა აქვთ პიროვნული განვითარებისა და პროფესიული განათლების კურსები გაიარონ და სხვადასხვა სოციალურ, კულტურულ თუ სამოქალაქო აქტივობებში ჩაერთონ. რამდენადაც ზრდასრულთა განათლების ცენტრების დაარსების გზები და პრაქტიკა განსხვავებულია, მათი ეტაპობრივად გაანალიზებისა და შეფასების საჭიროება გაჩნდა.

პუბლიკაცია მიზნად ისახავს, გამოავლინოს ცენტერბის დაარსების მეთოდები, გაანალიზოს თითოეული მოდელის ძლიერი და სუსტი მხარეები. პუბლოკაციის ფარგლებში შემუშავებული რეკომენდაციები დამხმარე მასალა იქნება მომავალში ზრდასრულთა განათლების მსგავსი ცენტრების გახსნის პროცესში.

შინაარსი

1. შესავალი და მეთოდოლოგია 5

2. ზრდასრულთა განათლების ცენტრების დაარსების ისტორია 7

ახალციხისა და ახალქალაქის ზრდასრულთა განათლების ცენტრები 10

კოდის, შუამიანის, სენაკისა და ჯვარის სათემო განათლების ცენტრები 11

ლელიანის, ქედის, ჩოხატაურისა და ამბროლაურის ზრდასრულთა განათლების ცენტრები 12

ხარაგაულის, ბოლნისის ზრდასრულთა და ხონის სათემო განათლების ცენტრები 14

ზრდასრულთა განათლების ცენტრების დაარსების სამი მოდელი 14

3. ზრდასრულთა განათლების ცენტრების დაარსების ეტაპები 21

ზრდასრულთა განათლების ცენტრების შენობები და ადგილმდებარეობა 21

ზრდასრულთა განათლების ცენტრების შესახებ ინფორმაციის გავრცელება 24

ბენეფიციართა საგანმანათლებლო პრიორიტეტებისა და სხვა საჭიროებების კვლევა 25

თანამშრომელთა და ტრენერთა შერჩევა 28

ბენეფიციართა ნდობის მოპოვება 32

4. გამოწვევები და მიღებული გამოცდილება 43

ბენეფიციარები 43

ადგილობრივ მუნიციპალიტეტებთან თანამშრომლობა 47

ფონდების მოძიება 49

სოციალური საწარმოები 53

გერმანიის სახალხო უნივერსიტეტებთან თანამშრომლობა 55

მოხალისეობრივი პროგრამის განვითარება 58

მიღწევები და საუკეთესო პრაქტიკები 59

5. დისტანციური სწავლება Covid-19-ის დროს 64

6. საქართველოს ზრდასრულთა განათლების ქსელი (GAEN) 66

ზრდასრულთა განათლების ცენტრების შექმნისა და ფუნქციონირების ეტაპები 71

დანართები 78

1. შესავალი და მეთოდოლოგია

სახალხო უნივერსიტეტთა გერმანული ასოციაცია (DVV International) საქართველოში 2002 წლიდან მოღვაწეობს და პროექტებს ზრდასრულთა განათლების მიმართულებით ახორციელებს. ორგანიზაციის ძირითადი მიზანი ზრდასრულთა განათლებისა და მთელი სიცოცხლის მანძილზე სწავლის კონცეფციის პოპულარიზაცია, ხელშეწყობა და წახალისებაა. ზრდასრულთა განათლება „წარმოადგენს ყველა სახის მიზანმიმართულ ფორმალურ, არაფორმალურ და ინფორმალურ სწავლებას, რომელიც ხორციელდება მუდმივად, სიცოცხლის ნებისმიერ ეტაპზე ცოდნის, კომპეტენციისა და უნარ-ჩვევების სრულყოფისთვის - ინდივიდუალური, სამოქალაქო, სოციალური და/ან დასაქმებასთან დაკავშირებული მიზნით“.[1] ზრდასრულთა განათლების არაფორმალური სისტემის განვითარება ქვეყანაში მნიშვნელოვანია რიგი მიზეზების გამო: უპირველესად, იგი ხელს უწყობს ფორმალური განათლების სისტემის გარეთ დარჩენილ პირებს, მიიღონ საჭირო განათლება, რაც მათი შემდგომი განვითარების წინაპირობაა. მეორე მხრივ, ზრდასრულთა განათლება საბაზისო განათლების მქონე ზრდასრული ასაკის ინდივიდებს პროფესიული გადამზადების ან ახალი პროფესიების დაუფლების შესაძლებლობას აძლევს. მსოფლიოში მიმდინარე სწრაფი ტექნოლოგიური განვითარებისა და დემოგრაფიული დაბერების ფონზე, ეს განსაკუთრებით მნიშვნელოვანია.

სამხრეთ კავკასიის ქვეყნებში ზრდასრულთა განათლების სისტემის ანალიზისას სტატიაში, „ზრდასრულთა განათლება სამხრეთ კავკასიაში“, ხაზგასმულია ზრდასრულთა განათლების პრიორიტეტები საქართველოში.[2] პირველი, ეს არის საბაზრო მოთხოვნებთან შესაბამისობა, რაც დასაქმების შესაძლებლობას ზრდის. მეორე, სამოქალაქო განათლების კომპონენტი ზრდასრულთა განათლების პროცესში და სამოქალაქო საზოგადოების ფორმირებაში ზრდასრულთა განათლების მნიშვნელობა. მესამე კომპონენტი ეხება ხანმოკლე საგანმანათლებლო პროგრამებს უკვე დასაქმებული პირებისთვის, რომლებიც სახელმწიფო სტრუქტურებში მიმდინარე ცვლილებების შესაბამისად, გადამზადებას საჭიროებენ. დაბოლოს, დამსაქმებლების მიერ თავიანთი კადრების გადამზადება კვალიფიკაციის ამაღლების მიზნით.

[1] EAEA, 2006. Adult Education trends and issues in Europe. P. 5 Available at: http://www.eaea.org/en/resources/eaea-publications/list-of-books-published-by- eaea.html

[2] Kvatchadze, L. 2009. Adult Education in South Caucasus – Armenia, Azerbaijan, Georgia in European Adult Education outside the EU. (Ed. Uwe Gartenschlaeger). DVV International. Bonn, Germany.

აღსანიშნავია, რომ დღეისთვის საქართველოში ზრდასრულთა არაფორმალური განათლების რეგულირება სახელმწიფო დონეზე არ ხდება. ძალიან დაბალია საგანმანათლებლო პროცესებში მოსახლეობის ჩართულობა[3]. არ იცნობენ ზრდასრულთა და სიცოცხლის მანძილზე განათლების იდეასა და პრიორიტეტებს. NDI-ის მიერ 2020 წელს ჩატარებული კვლევის „ყველაზე მნიშვნელოვანი ეროვნული საკითხები“ მიხედვით, განათლებას მეხუთე ადგილი უჭირავს[4], რაც იმის მაჩვენებელია, რომ წინა წლებთან შედარებით, რაც აშკარაა იმავე კვლევაზე დაყრდნობით, სადაც დასაქმებას პირველი ადგილი უჭირავს, მოსახლეობა უკეთესად აცნობიერებს განათლებასა და დასაქმებას შორის კავშირს.

ზრდასრულთა განათლების განვითარების მიზნით, სხვა პროექტებთან ერთად, DVV International-ის საქმიანობის ერთ-ერთი ძირითადი პრიორიტეტი არის არაფორმალური განათლების მდგრადი სისტემის დანერგვა საქართველოში ზრდასრულთა განათლების ცენტრების დაფუძნებით. ამას იგი ზრდასრულთა განათლების ცენტრების დაარსებით და საშუალებით ახორციელებს. ზრდასრულთა განათლების პირველი ცენტრები საქართველოში 2006 წელს სამცხე-ჯავახეთში დაფუძნდა. დღეს კი, ქვეყნის მასშტაბით უკვე ცამეტი ცენტრი ფუნქციონირებს.

მეტ-ნაკლებად მსგავსი მიმართულებების მიუხედავად, ცენტრების დაფუძნების გზები ერთმანეთისგან განსხვავდება. შესაბამისად, პუბლიკაციის მიზანია, გააანალიზოს ზრდასრულთა განათლების ცენტრების დაარსების მოდელები, გამოყოს მათი დაფუძნების კონკრეტული ეტაპები და მათი სუსტი და ძლიერი მხარეები განსაზღვროს. ანალიზის საფუძველზე შემუშავდება ცენტრების დაარსების ძირითადი გზამკვლევი შესაბამისი რეკომენდაციებით.

პუბლიკაციის ძირითად მეთოდს სამაგიდო კვლევა და პირისპირ ინტერვიუ წარმოადგენს. პუბლიკაციის ფარგლებში, როგორც ზრდასრულთა განათლების ცენტრების მიერ მოწოდებული ყოველწლიური თემატური და სტატისტიკური ანგარიშები, ასევე, DVV International-ის ყოველწლიური და პროექტის შემფასებლის ანგარიშები გაანალიზდა (პუბლიკაციის ფარგლებში გაანალიზებული მასალების ჩამონათვალი იხილეთ დანართში #1).

პირისპირ ინტერვიუები DVV International-ის, ზრდასრულთა განათლების ცენტრებისა და საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის სამინისტროს პროფესიული განათლების დეპარტამენტის წარმომადგენლებთან შედგა. პუბლიკაციის ფარგლებში შემუშავდა ზოგადი,

[3] ზრდასრულთა განათლება საქართველოში და CONFINTEA VI, 2009, თბილისი
[4] NDI Georgia Public Attitudes Poll, August 2020

ნახევრადსტრუქტურირებული კითხვარი, რომლის ადაპტირება მოხდა სხვადასხვა ტიპის რესპონდენტისთვის.

გარდა ამისა, ზრდასრულთა განათლების ცენტრებში რამდენიმე გასვლითი ვიზიტიც შედგა. აღსანიშნავია პირველი და მეორე შეხვედრები საქართველოს ზრდასრულთა განათლების ქსელთან (GAEN), ასევე, ზრდასრულთა განათლების ფესტივალზე ვიზიტი და ჩოხატაურის ცენტრის გახსნის ცერემონია.

ცენტრების დაარსების სამი მოდელი გამოვლინდა:

1. ცენტრის დაარსება ->საქართველოს ზრდასრულთა განათლების ასოციაციისთვის (სზგა) გადაცემა;
2. ცენტრის დაარსება ->NGO-ს დაფუძნება;
3. ადგილობრივი NGO ->ცენტრის დაარსება.

1 და 3 მოდელის შემთხვევაში, ცენტრებს **ზრდასრულთა განათლების ცენტრები** ეწოდებათ, მე-2 მოდელის შემთხვევაში კი, გამოიყენება ტერმინი **სათემო განათლების ცენტრი.** ორივე დასახელება პუბლიკაციის ფარგლებში იდენტური მნიშვნელობისაა.

ქვემოთ განხილულია ზრდასრულთა განათლების ცენტრების დაარსების ეტაპები თავისი ძლიერი და სუსტი მხარეებით. გარდა ამისა, ცენტრების ფუნქციები დასახლებებში, საქართველოს ზრდასრულთა განათლების ქსელის დაარსება და და ცენტრების დაფუძნების ძირითადი გზამკვლევია აღწერილი.

2. ზრდასრულთა განათლების ცენტრების დაარსების ისტორია

DVV International-მა საქართველოში ზრდასრულთა განათლების ცენტრების დაარსება 2006 წლიდან დაიწყო. 2006 წლიდან 2020 წლამდე დაახლოებით 200.000 პირი იყო ჩართული ზრდასრულთა/სათემო განათლების ცენტრებში. დღეისთვის წარმატებით ფუნქციონირებს ზრდასრულთა განათლების ცამეტი ცენტრი და წელიწადში საშუალოდ 20000 ბენეფიციარს პროფესიული, სამოქალაქო და კულტურული განათლებისა და საზოგადოებრივი და სათემო აქტივობების შესაძლებლობას აძლევს. ბენეფიციარებს სოციალურად დაუცველი პირები, უმუშევრები, ეროვნული უმცირესობები და იძულებით გადაადგილებული პირები (იგპ) წარმოადგენენ ქვეყნის რვა რეგიონიდან, სახელდობრ: სამეგრელო-ზემო

სვანეთი (წალენჯიხისა და სენაკის მუნიციპალიტეტები); გურია (ჩოხატაურის მუნიციპალიტეტი), აჭარა (ქედის მუნიციპალიტეტი); რაჭა-ლეჩხუმი-ქვემო სვანეთი (ამბროლაურის მუნიციპალიტეტი); იმერეთი (ხარაგაულის მუნიციპალიტეტი); სამცხე-ჯავახეთი (ახალქალაქისა და ახალციხის მუნიციპალიტეტები); ქვემო ქართლი (თეთრიწყაროს, მარნეულისა და ბოლნისის მუნიციპალიტეტები); კახეთი (ლაგოდეხის მუნიციპალიტეტი).

ზრდასრულთა განათლების ცენტრების დაარსებით, DVV International-ი ქვეყანაში ზრდასრულთა არაფორმალური განათლების სისტემას ქმნის. ორგანიზაციის სამომავლო მიზანია, მინიმუმ ორი ზრდასრულთა განათლების ცენტრის შექმნა საქართველოს ორ რეგიონში (მცხეთა-მთიანეთი და შიდა ქართლი) - სულ თხუთმეტ ცენტრამდე 2023 წლისთვის.[5]

საქართველოში ზრდასრულთა განათლების ცენტრების კონცეფცია გერმანულ მოდელს ეყრდნობა, რომლის ადაპტირება ქართული რეალობისა და ადგილობრივი საჭიროებების გათვალისწინებით მოხდა. გერმანიაში ზრდასრულთა განათლების სისტემა მრავალმხრივაა განვითარებული. ქვეყნის როგორც დიდ ქალაქებში, ასევე, პატარა სოფლებში 1000-მდე ცენტრი ფუნქციონირებს. მათი ნაწილი სახელმწიფოს ეკუთვნის და ადგილობრივი ხელისუფლებისგან ფინანსდება, ნაწილი კი, კერძო დაწესებულებებს წარმოადგენს. გერმანიის თექვსმეტ ფედერალურ მხარეში ზრდასრულთა განათლების სკოლები ფედერალური მხარის დონეზე არსებულ ქოლგა ორგანიზაციაში, გერმანიის ზრდასრულთა განათლების ასოციაცია (DVV), ერთიანდებიან. ცენტრებში საგანმანათლებლო კურსების დიდი მრავალფეროვნებაა და ისეთ მიმართულებებს მოიცავს, როგორიც არის: პოლიტიკა, საზოგადოება, ბუნება და გარემო, კულტურული განათლება, ხელოვნება და კრეატიულობა, ჯანმრთელობა და სწორი კვება, უცხო ენები, გერმანული ენა უცხოელებისთვის, პროფესია და კარიერა, კომპიუტერი და ინტერნეტი.[6]

[5] Santeladze, L. 2014. Cooperation between German Volkschochschulen and Georgian Adult Education Centers.

[6] http://www.berlin.de/ba-neukoelln/vhs/kursprogramm/https://www.mvhs.de/sprachen/english

გერმანული მოდელის საქართველოში გადმოტანისას მისი მოდიფიკაცია და ქართული კონტექსტისთვის ადაპტაცია გახდა საჭირო. უმუშევრობის მაღალი დონე, იგპ-თა და ემიგრაციის მაღალი მაჩვენებელი იმ სოციალურ პრობლემებს მიეკუთვნება, რომელიც განსაზღვრავს საქართველოში მუშაობის კონტექსტს. საქართველოში ზრდასრულთა განათლების ცენტრები გამოიყენება როგორც ინსტრუმენტი ისეთი გამოწვევების დასაძლევად, როგორებიცაა: მასობრივი უმუშევრობა, სიღარიბე, უთანასწორობა, არასტაბილურობა და კონფლიქტები და სოციალური გარიყულობა.

თემში დაფუძნებული ზრდასრულთა განათლების ცენტრები მოქნილები და სწრაფად რეაგირებადი არიან ინდივიდებისა და საზოგადოების საჭიროებებსა და ახალ მოთხოვნებზე, გლობალიზაციის, დიგიტალიზაციის, დემოგრაფიული ცვლილებებისა და მიმდინარე ტექნოლოგიური განვითარების ეპოქაში. კორონავირუსის პირველი ტალღის დროს, სახელმწიფო პროფესიული კოლეჯებისგან განსხვავებით, ცენტრებმა თავიანთი პროგრამების ონლაინ რეჟიმში ადაპტირება მოახდინეს და შეცვლილი რეალობის მიუხედავად, განაგრძეს კურსების მსვლელობა. ისინი ყველასთვის უზრუნველყოფენ

განათლებისა და სწავლის მიწოდების მუდმივ შესაძლებლობებს, განურჩევლად კლასის, სქესის, განათლების, ასაკის, რელიგიის, იდეოლოგიის ან ეროვნებისა. ცენტრები ასევე ქმნიან მრავალფეროვნებას და აძლიერებენ ინკლუზიას.

ახალციხისა და ახალქალაქის ზრდასრულთა განათლების ცენტრები

საქართველოში ზრდასრულთა განათლების პირველი ცენტრები DVV International-მა ევროკავშირის დაფინანსებული „ევროპული ინიციატივა დემოკრატიისა და ადამიანის უფლებებისთვის“ (EIDHR) პროექტის „ზრდასრულთა განათლების ცენტრები სამცხე-ჯავახეთში - უმცირესობათა ინტეგრაციის შანსი“, ფარგლებში დააარსა ახალციხესა და ახალქალაქში 2006 წელს. საქართველოს ამ რეგიონში ეთნიკურ უმცირესობათა რიცხვი საკმაოდ მაღალია: ახალციხეში ეთნიკურად სომეხი მოსახლეობა 34%-ს წარმოადგენს, ხოლო ახალქალაქში - 93%-ს. პროექტიც, შესაბამისად, რელიგიური და ეთნიკური უმცირესობების ინტეგრაციას ისახავდა მიზნად საგანმანათლებლო ღონისძიებების გზით და სამი წლის განმავლობაში ხორციელდებოდა.

ადგილობრივ მოსახლეობას განათლების მიღებისა და სხვადასხვა სამოქალაქო აქტივობაში ჩართვის შესაძლებლობა მიეცა. ინტეგრირებული, ინტერეთნიკური ღონისძიებები განსხვავებული ეთნიკური ჯგუფების წარმომადგენლებს ერთობლივი აქტივობების განხორციელების შესაძლებლობას აძლევდა და მათ დაახლოებას უწყობდა ხელს.

პროექტის ფარგლებში, DVV International-ის პარტნიორები იყვნენ ადგილობრივი ორგანიზაცია „დემოკრატ მესხთა კავშირი“ (UDM),[7] რომელიც სამცხე-ჯავახეთის რეგიონში 1998 წლიდან არსებობდა და საქართველოს ზრდასრულთა განათლების ასოციაცია (სზგა),[8] რომელიც განათლების სფეროში მოღვაწე ორგანიზაციებს აერთიანებდა. პარტნიორებს შორის გაფორმებული ურთიერთთანამშრომლობის შეთანხმების საფუძველზე, UDM ადგილობრივი მოსახლეობის საგანმანათლებლო საჭიროებებს სწავლობდა და ინფორმაციას DVV International-ს აწვდიდა. ამ ინფორმაციაზე დაყრდნობით, საგანმანათლებლო პროგრამებისა და სხვა აქტივობების შემუშავება და განხორციელება ხდებოდა. რაც შეეხება სზგა-ს, მას მასწავლებლებისა და ტრენერების განვითარებაზე უნდა

[7] ორგანიზაციის შესახებ ინფორმაცია შეგიძლიათ იხილოთ შემდეგ ვებ-გვერდებზე: https://www.youtube.com/user/UDMGE ; https://www.facebook.com/UDMGeorgia?fref=ts; http://www.udm.org.ge/

[8] ორგანიზაციის შესახებ ინფორმაცია შეგიძლიათ იხილოთ შემდეგ ვებ-გვერდებზე: http://www.aeag.org.ge/

ეზრუნა, რათა ისინი ზრდასრულებთან მუშაობის სპეციფიკას დაუფლებოდნენ და ზრდასრულთა განათლების საფუძვლები შეესწავლათ.

პროექტის განმავლობაში ბენეფიციარები სხვადასხვა საგანმანათლებლო კურსს ესწრებოდნენ, მონაწილეობდნენ სამოქალაქო და კულტურულ ღონისძიებებში (ცენტრების აქტივობების შესახებ ინფორმაცია მომდევნო თავებშია განხილული). როგორც ვთქვით, ევროკავშირის პროექტი სამი წლის განმავლობაში გრძელდებოდა და 2008 წელს დასრულდა. ცენტრების მდგრადობის უზრუნველსაყოფად, პროექტის დასრულების შემდეგ, ზრდასრულთა განათლების ორივე ცენტრი სზგა-ს გადაეცა. შედეგად, 2009-2012 წლებში ზრდასრულთა განათლების ცენტრების აქტივობებისა და ფინანსების მენეჯმენტი სზგა-ს მიერ ხორციელდებოდა. 2013 წელს, როდესაც სზგა-ს DVV International-ის დაფინანსება შეუწყდა, ახალციხისა და ახალქალაქის ცენტრებს თავიანთი აქტივობების შემცირება მინიმუმამდე დასჭირდათ. თუმცა, 2016 წელს, როდესაც ახალციხისა და ახალქალაქის ცენტრები დარეგისტრირდნენ როგორც დამოუკიდებელი ორგანიზაციები, DVV International-მა განაახლა მათი ფინანსური მხარდაჭერა.

კოდის, შუამიანის, სენაკისა და ჯვარის სათემო განათლების ცენტრები

2009 წელს DVV International-მა სათემო განათლების კიდევ ოთხი ცენტრი დააარსა საქართველოს ორ რეგიონში: ქვემო ქართლი და სამეგრელო-ზემო სვანეთი.

2008 წლის აგვისტოს ომის[9] შემდეგ, ოკუპირებული ტერიტორიებიდან იძულებით გადაადგილებული მოსახლეობის რაოდენობამ 254 000-მდე პირი შეადგინა.[10] სხვა რიგ ღონისძიებებთან ერთად საჭირო გახდა ადგილობრივ მოსახლეობასთან იგპ-თა ინტეგრაციაზე ორიენტირებული პროექტების განხორციელება. 2009 წელს ევროკავშირის საგრანტო პროგრამის IFS (Istrument for Stability) ფარგლებში, DVV International-მა ორი პროექტი წამოიწყო: „იძულებით გადაადგილებულ პირთა ინტეგრაციის ხელშეწყობა ქვემო ქართლის რეგიონში“ და „იძულებით გადაადგილებულ პირთა სოციალურ-ეკონომიკური ინტეგრაციის ხელშეწყობა სამეგრელო-ზემო სვანეთის რეგიონში“. პროექტები ხორციელდებოდა ორგანიზაციასთან „მოძრაობა შიმშილის წინააღმდეგ“ (ACF) თანამშრომლობით. პროექტების ბენეფიციარებს არა მხოლოდ 2008 წლის ომის

[9] http://edition.cnn.com/2014/03/13/world/europe/2008-georgia-russia-conflict/
[10] http://mra.gov.ge/eng/static/55

შემდეგ წარმოქმნილი იგპ-ები წარმოადგენდნენ, არამედ 1991-1993 წლების აფხაზეთის ომის დევნილებიც. პროექტების განსახორციელებლად ოთხი დასახლება შეირჩა: სამეგრელო-ზემო სვანეთის რეგიონში - სენაკი და ჯვარი, სადაც აფხაზეთიდან დევნილები იყვნენ ჩასახლებული და ქვემო ქართლში -კოდა და შაუმიანი, სადაც სამხრეთ ოსეთიდან დევნილები ცხოვრობდნენ.

შესაბამისად, დაარსდა კოდის, შაუმიანის, სენაკისა და ჯვარის სათემო განათლების ცენტრები, რომლებმაც საგანმანათლებლო და სხვა საზოგადოებრივი ღონისძიებების გატარება 2010 წლიდან დაიწყეს. პროექტის მიზანს საგანმანათლებლო პროგრამების მიწოდებით თემში იგპ-თა ინტეგრაციის ხელშეწყობა, მათი და ადგილობრივი მოსახლეობის ურთიერთდაახლოება და დასაქმების შესაძლებლობების გაზრდა წარმოადგენდა.

ევროკავშირის დაფინანსებული პროექტი 2011 წლის დასაწყისში დასრულდა. პროექტის წარმატება - ბენეფიციარების მაღალი მაჩვენებელი, მათი კმაყოფილება და მოთხოვნა კურსების გაგრძელებაზე[11] ერთგვარი გარანტი გახდა იმისა, რომ ცენტრები დამოუკიდებლად მუშაობას ევროკავშირის პროექტების დასრულების შემდეგაც შეძლებდნენ. ამგვარად, პროექტის დასრულების შემდეგ კოდის, შაუმიანის, სენაკისა და ჯვარის სათემო განათლების ცენტრები დამოუკიდებელ არაკომერციულ, არასამეწარმეო იურიდიულ პირებად (ა(ა)იპ) დარეგისტრირდნენ (დანართი #3 სათემო განათლების ცენტრების წესდების ნიმუშია, სადაც ცენტრების საქმიანობის სფერო და ფუნქციებია გაწერილი).

ლელიანის, ქედის, ჩოხატაურისა და ამბროლაურის ზრდასრულთა განათლების ცენტრები

ზრდასრულთა განათლების შემდეგი ოთხი ცენტრი გერმანიის ეკონომიკისა და განვითარების სამინისტროს (BMZ) ფინანსური მხარდაჭერით 2012-2016 წლებში დაარსდა. წინამორბედი ცენტრებისგან განსხვავებით, ახალი ზრდასრულთა განათლების ცენტრები უკვე არსებული ადგილობრივი ორგანიზაციების ბაზაზე გაიხსნა. კონკურსი საქართველოს იმ რეგიონებში გამოცხადდა, სადაც DVV International-ის ცენტრები ჯერ არ იყო წარმოდგენილი: კახეთი, რაჭა, იმერეთი, გურია და აჭარა. კონკურსში მონაწილეობის მიღება როგორც არასამთავრობო

[11] M. Javakhishvili, et al, 2011. Assessment of the educational component within the framework of the project: “Social and Economic Support of IDPs in Kvemo Kartli Region” available at: http://georgia.dvv-international.ge/sites/dvv-georgia.oa-aktuell.com/files/pdf/smg_research_report_eng.pdf and http://georgia.dvv-international.ge/sites/dvv-georgia.oa-aktuell.com/files/pdf/kk_research_report_eng.pdf

ორგანიზაციებს, ასევე, ადგილობრივ მუნიციპალიტეტებს შეეძლოთ. აპლიკაციების შერჩევა სამ ეტაპად განხორციელდა. უპირველეს ყოვლისა, განხილული იქნა წარმოდგენილი დოკუმენტები და შეირჩა კანდიდატი ორგანიზაციები. მეორე ეტაპზე, DVV International-ის წარმომადგენლები ეწვივნენ ორგანიზაციებს და მათ დირექტორებს გაესაუბრნენ. ბოლო ეტაპზე გასულ ორგანიზაციებს კი, DVV International-ისთვის სარემონტო სამუშაოების ბიუჯეტის წარდგენა დაევალათ.

შერჩევის შედეგად, 2013 წელს კახეთში (ლაგოდეხის მუნიციპალიტეტი) ლელიანის ზრდასრულთა განათლების ცენტრი დაფუძნდა; 2015 წელს - ქედის ზრდასრულთა განათლების ცენტრი აჭარაში (ქედის მუნიციპალიტეტი); ამავე წელს გაიხსნა ჩოხატაურის ზრდასრულთა განათლების ცენტრი გურიაში (ჩოხატაურის მუნიციპალიტეტი) და 2016 წელს - რაჭაში ამბროლაურის ზრდასრულთა განათლების ცენტრი (ამბროლაურის მუნიციპალიტეტი). ზრდასრულთა განათლების ოთხივე ცენტრი უკვე არსებულ ადგილობრივ ორგანიზაციებთან თანამშრომლობით დაარსდა: „ლელი“[12] - კახეთში, „დემოკრატიის ინსტიტუტი“[13] - აჭარაში, „გურიის ახალგაზრდული რესურსცენტრი“[14] - გურიაში და „რაჭა-ლეჩხუმისა და ქვემო სვანეთის თვითმმართველობის რესურსცენტრი“[15] - ამბროლაურში. ეს არასამთავრობო ორგანიზაციები ადგილობრივ თემებთან მუშაობდნენ და სხვადასხვა საგანმანათლებლო, სოციალურ და ინფრასტრუქტურულ პროექტებს ახორციელებდნენ. მათმა გამოცდილებამ აჩვენა, რომ ადგილობრივ მოსახლეობას გააჩნდა სურვილი, მაგრამ არ ჰქონდა შესაძლებლობა, ჩართულიყო სხვადასხვა საგანმანათლებლო ღონისძიებაში და ცოდნა თუ უნარები გაეღრმავებინა. შესაბამისად, DVV International-ის დაფინანსება აღნიშნულ ორგანიზაციებს შესაძლებლობას აძლევდა, თავიანთი საქმიანობა ზრდასრულთა არაფორმალური განათლების სფეროში უფრო განევითარებინათ. ზრდასრულთა განათლების ცენტრების წარმომადგენლების განცხადებით, საგანმანათლებლო კომპონენტების შეთავაზებით ორგანიზაციამ მეტი ბენეფიციარი მოიზიდა, რომლებიც ნებაყოფლობით ჩაერთნენ როგორც საგანმანათლებლო კურსებში, ასევე, ზრდასრულთა საგანმანათლებლო ცენტრების ადმინისტრაციის მიერ ორგანიზებულ სხვა ღონისძიებებში. ამ ფაქტორებმა ორგანიზაცია უფრო სტაბილური, ხოლო ფონდების მოძიება უფრო მარტივი გახადა.

[12] www.leli.ge; www.leliblog.weebly.com; https://www.facebook.com/lelilelileliani?fref=ts
[13] http://www.iod.ge/index.php/en/
[14] http://gyrc.org.ge/
[15] http://srgc.ge/?lang=en

ხარაგაულის, ბოლნისის ზრდასრულთა და ხონის სათემო განათლების ცენტრები

შეიქმნა კიდევ ორი ცენტრი, რომელმაც თავისი საქმიანობა დაიწყო იმერეთის რეგიონში ხარაგაულისა (2019 წელს) და ხონის (2020 წელს) მუნიციპალიტეტებში. ბოლნისის ზრდასრულთა განათლების ცენტრი დაარსდა ბოლნისის მუნიციპალიტეტში, ქვემო ქართლის მხარეში, 2020 წელს.

ხარაგაულისა და ბოლნისის ზრდასრულთა განათლების ცენტრების დაარსების პროცესი მსგავსი იყო - მოხდა მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული ქონების რეაბილიტაცია.

ხონის სათემო განათლების ცენტრის შემთხვევაში, გერმანიის მთავრობის ფინანსური მხარდაჭერით, გერმანიის რეკონსტრუქციისა და განვითარების ბანკის (KfW) მიერ, საქართველო - გერმანიის ფინანსური თანამშრომლობის ფარგლებში, ლტოლვილთა დანიის საბჭო (DRC) ახორციელებს პროექტს „დევნილთა ინტეგრაციის ხელშეწყობა განათლებისა და სოციალური მეწარმეობის გზით“, 2019-2021 წლების განმავლობაში. ამ პროექტის ფარგლებში, DVV International-ი სთავაზობს ადგილობრივ მოსახლეობას ზრდასრულთა და არაფორმალური განათლების მომსახურებას. DRC-იმ ააშენა შენობა, რომელიც ხელშეკრულების თანახმად, გადაეცემოდა ადგილობრივ მუნიციპალიტეტს იმ პირობით, რომ ეს ცენტრი დაექვემდებარებოდა DVV International-ს.

ზრდასრულთა განათლების ცენტრების დაარსების სამი მოდელი

DVV International-ის გამოცდილებაზე დაყრდნობით, სამი სხვადასხვა მოდელის იდენტიფიცირებაა შესაძლებელი.

პირველს ახალციხისა და ახალქალაქის ზრდასრულთა განათლების ცენტრები წარმოადგენენ. ეს მოდელი გულისხმობს, რომ ცენტრები დაარსებულია ამა თუ იმ პროექტის ფარგლებში, პროექტის მსვლელობისას მიმდინარეობს საგანმანათლებლო პროგრამები, ხოლო, პროექტის დასრულების შემდეგ მენეჯმენტი ცენტრალიზებულად ხორციელდება. ამ კონკრეტულ შემთხვევაში ზრდასრულთა განათლების ცენტრები საქართველოს ზრდასრულთა განათლების ასოციაციას გადაეცა. გამოცდილებამ აჩვენა, რომ ცენტრების დაარსების ეს მოდელი გარკვეულ პრობლემებს მოიცავდა თავის თავში. პირველ რიგში, ეს იყო მენეჯმენტის პრობლემა – ცენტრების მართვა დედაქალაქიდან ხდებოდა და

ყველა გადაწყვეტილებაც, ასევე, თბილისში მიიღებოდა. დისტანცია ადგილობრივი მოსახლეობის პრობლემებისა და საჭიროებების სრულად გათვალისწინებას ართულებდა. მეორე მნიშვნელოვანი პრობლემა იყო ფინანსების წარმართვა არა ადგილობრივად, არამედ სზგა-ს მიერ. DVV International-ი თანხას ურიცხავდა სზგა-ს, რომელიც, თავის მხრივ, აფინანსებდა ახალციხისა და ახალქალაქის ზრდასრულთა განათლების ცენტრებს. ცენტრები არ იყვნენ ჩართული ბიუჯეტის დაგეგმვის პროცესში. აქედან გამომდინარე, დამატებითი გრანტების მოპოვებით ისინი ნაკლებად იყვნენ დაინტერესებული. ამის გამო, როდესაც 2013 წელს DVV International-მა სზგა-ს ფინანსური მხარდაჭერა შეწყვიტა, ზრდასრულთა განათლების ცენტრებს დაფინანსების ალტერნატიული წყაროები არ აღმოაჩნდათ, არ დაამყარეს კავშირი მუნიციპალიტეტების წარმომადგენლებთან, არც ფონდების მოძიების გამოცდილება გააჩნდათ და შესაბამისად, დამოუკიდებლად არსებობის გაგრძელება ვეღარ შეძლეს. გამოცდილებამ აჩვენა, რომ ცენტრების საქმიანობა მეტად წარმატებული იქნებოდა, თუ ისინი უფრო აქტიურად იქნებოდნენ ჩართულნი გადაწყვეტილების მიღების პროცესში და საკუთარი საქმიანობის წარმართვის შესაძლებლობა თავად ექნებოდათ. რეგიონში ზრდასრულთა განათლების ცენტრების არსებობის მნიშვნელობიდან გამომდინარე, 2014 წელს ახალციხისა და ახალქალაქის ცენტრების ბაზაზე ახალი არასამთავრობო ორგანიზაცია „სამცხე-ჯავახეთის ზრდასრულთა განათლების ცენტრები“ დარეგისტრირდა, რომელთა საქმიანობას 2015 წლიდან ფინანსურად DVV International-ი უჭერს მხარს.

პირველი მოდელის მსგავსად, მეორე მოდელის შემთხვევაშიც ზრდასრულთა განათლების ცენტრების დაარსება გარკვეული პროექტის (მაგალითად, ევროკავშირის დაფინანსებული პროექტის) ფარგლებში ხდება. თუმცა, პირველი მოდელისგან განსხვავებით, ამ შემთხვევაში, პროექტის დასრულების შემდეგ (ჩვეულებრივ, 2-3 წელიწადში), ზრდასრულთა განათლების ცენტრები არ გადაეცემა თბილისში არსებულ ორგანიზაციას და ისინი არ იმართება დედაქალაქიდან, არამედ, დარეგისტრირებული არიან, როგორც დამოუკიდებელი არასამთავრობო ორგანიზაციები იმ კონკრეტულ ადგილას (რეგიონი, თემი და ა.შ.), სადაც მუშაობენ. ამ არასამთავრობო ორგანიზაციების დამფუძნებლები ცენტრის თანამშრომლები და DVV International-ის წარმომადგენლები არიან. ბოლნისის, ხარაგაულის ზრდასრულთა განათლების ცენტრები და ხონის, კოდის, შაუმიანის, სენაკისა და ჯვარის სათემო განათლების ცენტრები ამ მოდელის მაგალითებია. პირველი მოდელისგან განსხვავებით, ამ არასამთავრობოების წევრები თავიდანვე ჩართული არიან გადაწყვეტილებების მიღებისა და ფინანსური მენეჯმენტის პრცესებში და პროექტის მსვლელობისას (2-3 წელი) საკმაო გამოცდილებასაც იძენენ. თუმცა, გარდამავალი პერიოდი „DVV-ის ცენტრებიდან“ დამოუკიდებელ არასამთავრობოებამდე მაინც არ არის ადვილი.

მიუხედავად იმისა, რომ ზოგიერთი ცენტრი DVV International-თან აიგივებს თავს და რჩევებისთვის ყოველდღიურად მიმართავენ მას, მათ უწევთ მოლაპარაკებების წარმართვა, პრიორიტეტების განსაზღვრა, ფონდების მოძიება და სხვა მნიშვნელოვანი გადაწყვეტილებების დამოუკიდებლად მიღება. მაგრამ, აუცილებელია „ჭიპის მოჭრის“ მტკივნეული პროცესის გავლა იმისთვის, რომ ახალდაბადებული ორგანიზაციები განვითარდნენ და გაძლიერდნენ.

რაც შეეხება მესამე მოდელს, ის გულისხმობს საგანმანათლებლო ცენტრის გახსნას უკვე არსებული, ძლიერი არასამთავრობო ორგანიზაციის ბაზაზე. ეს მოდელი იქნა გამოყენებული ლელიანის, ქედის, ჩოხატაურისა და ამბროლაურის ზრდასრულთა განათლების ცენტრების შემთხვევებში. არასამთავრობო ორგანიზაციების შერჩევა რიგი კრიტერიუმების გათვალისწინებით მოხდა: ისინი დაფუძნებული უნდა ყოფილიყვნენ ღარიბ, მოწყვლად თემში/რეგიონში, სადაც DVV International-ი ჯერ არ იქნებოდა წარმოდგენილი; საგანმანათლებლო პროგრამების განხორციელების მრავალწლიანი გამოცდილების დემონსტრირება მოეხდინათ; ჰქონოდათ ფონდების მოძიების კარგი ისტორია; მოზიდული ჰყოლოდათ მოხალისეები, რომლებიც ცენტრის დაარსების პროცესში აქტიურად ჩაერთვებოდნენ. ზრდასრულთა განათლების ცენტრების შექმნა უკვე არსებული ორგანიზაციის საფუძველზე მომგებიანია შემდეგი მიზეზების გამო: პირველ რიგში, ის ეფექტურია და შეზღუდული ბიუჯეტის პირობებშიც კი შესაძლებელია ახალი ცენტრის გახსნა (მაგ., ლელიანის ზრდასრულთა განათლების ცენტრის დაფუძნება – სარეაბილიტაციო სამუშაოები, ავეჯით აღჭურვა, კომპიუტერული ტექნიკა – მხოლოდ 15 000 ევრო ღირს). მეორე, ნაკლებ დროს მოითხოვს. თუ პირველი და მეორე მოდელების შემთხვევაში, ზრდასრულთა განათლების ცენტრებს გამოცდილების მისაღებად დაახლოებით 2-3 წელი სჭირდებათ, შემდეგ კი, მინიმუმ 2 წელი - სრული დამოუკიდებლობის მისაღწევად, მესამე მოდელის შემთხვევაში, ზრდასრულთა განათლების ცენტრებს ექვსი თვიდან ერთ წლამდე საცდელი პერიოდი აქვთ და ამის შემდეგ გადაეცემიან ადგილობრივ ორგანიზაციებს. მესამე, ადგილობრივ ორგანიზაციას უკვე ჰყავს ცენტრის ფუნქციონირებისთვის საჭირო ადამიანური რესურსი. თანამშრომლებს გააჩნიათ ორგანიზაციული განვითარება, ლიდერობასა და მენეჯმენტში გამოცდილება. გარდა ამისა, ასეთ ორგანიზაციებს, როგორც წესი, მოზიდული ჰყავთ ბენეფიციარებიც და ადგილობრივ მოსახლეობაში ნდობით სარგებლობენ. დაბოლოს, არასამთავრობო ორგანიზაციებს კონტაქტები აქვთ დამყარებული ადგილობრივ მუნიციპალიტეტებთან, სხვა არასამთავრობო ორგანიზაციებთან და დონორებთან.

ახალქალაქის ზრდასრულთა განათლების ცენტრი

ახალციხის ზრდასრულთა განათლების ცენტრი

ამბროლაურის ზრდასრულთა განათლების ცენტრი

ბოლნისის ზრდასრულთა განათლების ცენტრი

ჩოხატაურის ზრდასრულთა განათლების ცენტრი

ჯვარის სათემო განათლების ცენტრი

ქედის ზრდასრულთა განათლების ცენტრი

ხარაგაულის ზრდასრულთა განათლების ცენტრი

ხონის სათემო
განათლების ცენტრი

კოდის სათემო
განათლების ცენტრი

ლელიანის ზრდასრულთა
განათლების ცენტრი

სენაკის სათემო
განათლების ცენტრი

შაუმიანის სათემო
განათლების ცენტრი

მომდევნო თავებში განვიხილავთ ზრდასრულთა განათლების ცენტრების დაფუძნების თითოეულ ეტაპს სამივე მოდელის ძლიერი და სუსტი მხარეების გათვალისწინებით.

სამივე მოდელი თვისებრივად განსხვავდება ერთმანეთისგან: პირველი ვერტიკალური მოდელია, სადაც უკვე მიღებულ გადაწყვეტილებებს სთავაზობენ ცენტრებს. მეორე მოდელის შემთხვევაში, შვილობილ ორგანიზაციასთან გვაქვს საქმე. ხოლო, მესამე მოდელი თანასწორ პარტნიორობაზეა დაფუძნებული.

<table>
<tr><th colspan="3">ზრდასრულთა განათლების ცენტრების დაარსების სამი მოდელი</th></tr>
<tr><td>მოდელი #1
ცენტრი -> სზგა</td><td>მოდელი #2
ცენტრი ->NGO</td><td>მოდელი #3
NGO ->ცენტრი</td></tr>
<tr><td>ზრდასრულთა განათლების ცენტრის დაარსება</td><td>ზრდასრულთა განათლების ცენტრის დაარსება</td><td rowspan="2">ზრდასრულთა განათლების ცენტრი იქმნება არსებული NGO-ს ბაზაზე</td></tr>
<tr><td>პროექტის დასრულების შემდეგ ცენტრი გადაეცემა სზგა-ს</td><td>პროექტის დასრულების შემდეგ ცენტრი ყალიბდება NGO-დ</td></tr>
<tr><td>ცენტრის მართვა ხდება სზგა-დან</td><td>ცენტრი თავად მართავს პროექტებს</td><td>ცენტრი თავად მართავს პროექტებსა და ფინანსებს</td></tr>
</table>

ზრდასრულთა და სათემო განათლების ცენტრების საკონტაქტო ინფორმაციისთვის იხ. დანართი #7

3. ზრდასრულთა განათლების ცენტრების დაარსების ეტაპები

ზრდასრულთა განათლების ცენტრების შენობები და ადგილმდებარეობა

შესაფერისი ადგილმდებარეობისა და შენობის შერჩევა გადამწყვეტ როლს ასრულებს ზრდასრულთა განათლების ცენტრის დაარსებისას. დასახლების ადგილმდებარეობა, ცენტრის მდებარეობა დასახლებაში და შენობის მდგომარეობა ის ფაქტორებია, რომელთა გათვალისწინებაც წინასწარ არის საჭირო.

პირველ რიგში, აუცილებელია ისეთი დასახლების (ქალაქი ან სოფელი) შერჩევა, სადაც სხვა არასამთავრობო ორგანიზაციები ან არ არიან წარმოდგენილნი ან არ არიან აქტიურები, განსაკუთრებით, საგანმანათლებლო სფეროში. შესაბამისად, ადგილობრივ მოსახლეობას სიცოცხლის ბოლომდე სწავლისა და შემდგომი განვითარებისთვის შეზღუდული შესაძლებლობები გააჩნია. იდეა მდგომარეობს იმაში, რომ გააქტიურდეს „მიძინებული“ თემი და შეიქმნას განვითარებისთვის საჭირო შესაძლებლობები, განსაკუთრებით, მოწყვლადი ჯგუფებისთვის საგანმანათლებლო და სოციალური აქტივობების შეთავაზებით. მეორე მხრივ, დასახლება ძალიან მოშორებული არ უნდა იყოს მუნიციპალიტეტის ცენტრისა და სხვა სოფლებისგან. ეს საკითხი მნიშვნელოვანია, რადგან ზრდასრულთა განათლების ცენტრები, როგორც წესი, დასახლების საზღვრებს სცილდება და ბენეფიციარებს მეზობელი ტერიტორიებიდანაც იზიდავს. მაგალითად, დევნილთა დასახლება, სადაც მდებარეობს შაუმიანის სათემო განათლების ცენტრი, მოშორებულია სხვა დასახლებულ პუნქტებს, რაც მეზობელი სოფლების მაცხოვრებლებს შაუმიანის ცენტრში კურსებზე დასწრების შესაძლებლობას ურთულებს. ლელიანის ზრდასრულთა განათლების ცენტრი ორი მუნიციპალიტეტის საზღვართან მდებარეობს, რაც ხალხის მოზიდვას არა მხოლოდ მიმდებარე სოფლებიდან, არამედ მეზობელი მუნიციპალიტეტიდანაც შესაძლებელს ხდის. შერჩევის შემდეგი კრიტერიუმი არის მოსახლეობის რაოდენობა. DVV International-ის პრაქტიკა აჩვენებს, რომ რეგიონებში, სადაც ზრდასრულთა განათლების ცენტრები მდებარეობს, ეს რიცხვი 4 000-დან 25 000 მოსახლემდე მერყეობს. ევროკავშირის დაფინანსებული პროექტების შემთხვევაში (პირველი და მეორე მოდელი), ზრდასრულთა განათლების ცენტრების ადგილმდებარეობა წინასწარ იყო განსაზღვრული. რაც შეეხება მესამე მოდელს, DVV International-მა ლოკაციები ზევით ჩამოთვლილი ყველა კრიტერიუმის

გათვალისწინებით დიდი სიფრთხილით შეარჩია.

გარდა ამისა, მნიშვნელოვან როლს ასრულებს ცენტრის მდებარეობა დასახლების შიგნით. ცენტრი ბენეფიციარებისთვის ადვილი მისასვლელი უნდა იყოს, რომ სხვადასხვა კურსსა თუ ღონისძიებაში მონაწილეობის მიღება შეძლონ. მაგალითად, ჩოხატაურისა და ქედის ზრდასრულთა განათლების ცენტრებს ძალიან ხელსაყრელი ადგილმდებარეობა უჭირავთ: ჩოხატაურის ზრდასრულთა განათლების ცენტრი ადგილობრივი მუნიციპალიტეტის შენობის მოპირდაპირე მხარეს მდებარეობს, რაც გარკვეულწილად, ცენტრის საქმიანობაში მუნიციპალიტეტის ჩართულობას უწყობს ხელს. რაც შეეხება ქედის ზრდასრულთა განათლების ცენტრს, ის ცენტრალურ ქუჩაზე მდებარეობს და ადვილი მისასვლელია. ორივე ცენტრი აქტიურ და ხალხმრავალ ადგილასაა, რაც აადვილებს პოტენციური ბენეფიციარების მოზიდვასა და მათ ინფორმირებას ახალი პროგრამებისა და ღონისძიებების შესახებ.

რაც შეეხება ცენტრების შენობებს, შესაძლებელია მათი შესყიდვა, აშენება/გარემონტება ან მუნიციპალიტეტისგან მიღება. მფლობელობის სახეებიც ამის მიხედვით განსხვავებულია. ახალციხისა და ახალქალაქის შემთხვევაში, ცენტრების შენობების შესყიდვა მოხდა ევროკავშირის დაფინანსებული პროექტის ფარგლებში. შენობის შესყიდვა მნიშვნელოვნად ზრდის პროექტის სტაბილურობასა და მდგრადობას. ეს ცენტრის ადმინისტრაციას შენობაზე სრული განკარგვის შესაძლებლობას აძლევს. თუმცა, თუკი ცენტრის დაფუძნებისას ბიუჯეტი მცირე იქნება, მაშინ დიდი ხარჯების გამო, მსგავსი მიდგომა შეუძლებელი ხდება.

თუ სათანადო შენობა არ არსებობს, ის უნდა აშენდეს. თანხების დაზოგვის მიზნით, DVV International-მა ზოგიერთ შემთხვევაში გამოიყენა მზა კონსტრუქციები, რომლებიც უფრო იაფია და მშენებლობის პროცესი ნაკლებ დროს მოითხოვს (სენაკისა და შაუმიანის ზრდასრულთა განათლების ცენტრები).

შენობის გარემონტების შემთხვევაში, აუცილებლად უნდა შეფასდეს შენობის მდგომარეობა და საჭირო ხარჯების დაანგარიშება მოხდეს. ეს შეფასება პარტნიორ არასამთავრობო ორგანიზაციასთან ერთად კეთდება. შენობის სარემონტო სამუშაოებს (მათ შორის, დიზაინი, სამშენებლო მასალების შესყიდვა და სხვ.) კოორდინირებას DVV International-ი უწევს. პროცესის ეფექტურად წარმართვისთვის, რიგ შემთხვევებში, განსაკუთრებით, თუ შერჩეული ლოკაცია თბილისიდან მოშორებით მდებარეობს, საჭიროა, ადგილობრივი პირის დაქირავება, რომელიც პროცესს ადგილზე წარმართავს. მშენებლობისთვის საჭირო მასალის შეძენაც ადგილზე ხდება.

ზრდასრულთა განათლების ცენტრის ფართობი, კურსების მრავალფეროვნების უზრუნველსაყოფად და საშუალო ტიპის დასახლებაში (დაახლოებით 15 000 მოსახლე) მოსახლეობის საგანმანათლებლო საჭიროებების შესაბამისობისთვის, დაახლოებით 200 კვ.მ.-ს უნდა შეადგენდეს იმისთვის, რომ ერთდროულად ასი ბენეფიციარი მიიღოს. ცენტრში მინიმუმ უნდა იყოს შემდეგი ოთახები: √ ადმინისტრაციის ოთახი, √ შეხვედრების ოთახი, √ კომპიუტერის ოთახი, √ 3 ოთახი პროფესიული განათლების კურსებისთვის, √ სათავსო (ზრდასრულთა განათლების ცენტრების ოთახებისა და ტევადობისთვის იხ. დანართი #3).

უმეტეს შემთხვევაში, მოხდა ცენტრების მუნიციპალიტეტების კუთვნილ შენობებში დაფუძნება ან ისინი აშენდნენ მუნიციპალიტეტის საკუთრებაში მყოფ მიწაზე. განხილვის ქვეშ მყოფი შენობები/მიწები DVV International-ს გადაეცა სხვადასხვა სამართლებრივი ჩარჩოს გამოყენებით:

1. შენობის უფასო უზუფრუქტი ნახლდება ორ წელიწადში ერთხელ საქართველოს ორგანული კანონის, ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსის 122-ე მუხლის შესაბამისად.
2. სხვა ცენტრების შემთხვევაში, ქონების გადაცემა არ ხდება უფასოდ, არამედ, „იჯარით“ საქართველოს ორგანული კანონის, ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსის 122-ე მუხლის შესაბამისად. წლიური იჯარის საფასურის ოდენობა შედის და შესაბამისად, გამოკლებულია შენობაში ჩატარებული სარემონტო სამუშაოებიდან.

არსებითად, თუ გავითვალისწინებთ, რომ სარემონტო სამუშაოებზე დახარჯული თანხა იჯარის მთლიანი თანხიდან არის გამოკლებული, ცენტრები უფასოდ იყენებენ შენობებს. სივრცის „უფასოდ“ გამოყენება, ერთი მხრივ, მნიშვნელოვნად ამცირებს ხარჯებს და მეორე, ეს წინ გადადგმული ნაბიჯია ადგილობრივ ხელისუფლებასთან თანამშრომლობის პროცესში, რაც ზრდასრულთა განათლების ცენტრებისთვის გადამწყვეტი მნიშვნელობისაა.

სარემონტო სამუშაოების შემდეგ, DVV International-ი ზრდასრულთა განათლების ცენტრებს საგანმანათლებლო კურსებისთვის საჭირო მატერიალურ-ტექნიკური ბაზით უზრუნველყოფს, რაც მოიცავს: ავეჯს, კომპიუტერულ მოწყობილობებსა და სხვა მასალებს, მანქანა-დანადგარებს პროფესიული კურსებისთვის.

ზრდასრულთა განათლების ცენტრების შესახებ ინფორმაციის გავრცელება

ზრდასრულთა განათლების ცენტრების შესახებ ინფორმაციის გავრცელება ორი ძირითადი მიზნით ხდება: ცნობადობის გაზრდა და ცნობიერების ამაღლება. ცნობადობის გაზრდა მნიშვნელოვანია, რადგან მიზნობრივ თემში ზრდასრულთა განათლების ცენტრის იდენტობასა და პროფილს ქმნის. ცნობიერების ამაღლება კი მნიშვნელოვანია იმიტომ, რომ მიზნობრივი თემის წარმომადგენლებმა (ამ შემთხვევაში, ზრდასრულებმა) ცენტრის მიერ მიწოდებული საგანმანათლებლო პროგრამების მნიშვნელობა გააცნობიერონ.

ადგილობრივი ხელისუფლებისა და მოსახლეობისთვის ინფორმაციის მიწოდების მიზნით, DVV International-ი ზრდასრულთა განათლების ცენტრების გახსნამდე და გახსნის შემდეგ საინფორმაციო კამპანიებს ატარებს. ნებისმიერ დაინტერესებულ პირს შეუძლია შეხვედრებზე დასწრება და ინფორმაციის მიღება პროექტის შესახებ. ამგვარი საინფორმაციო შეხვედრები ძალიან მნიშვნელოვანია ბენეფიციარების მოზიდვის პროცესში, რადგან, როგორც წესი, ადგილობრივი მოსახლეობა, თავდაპირველად, სკეპტიკურად არის ხოლმე განწყობილი პროექტის მიმართ და ნდობის მოსაპოვებლად გარკვეული დროა საჭირო. აქტივობების შესახებ ინფორმაციის გავრცელების მიზნით, ზრდასრულთა განათლების ცენტრები შეხვედრებს ატარებენ ასევე ადგილობრივ ხელისუფლებასთან და არასამთავრობო ორგანიზაციებთან და ახდენენ სიტყვიერ მარკეტინგს, რაც წარმატებული მეთოდია, განსაკუთრებით, მცირე დასახლებებში. მაგალითად, ლელიანის ზრდასრულთა განათლების ცენტრში აქტიურ ბენეფიციარებს ირჩევენ, რომლებიც ინფორმაციას ავრცელებენ დასახლებაში დაგეგმილი ღონისძიებების შესახებ. გარდა ამისა, ცენტრების შესახებ საინფორმაციო პოსტერები იკვრება სოფლებში ხალხის თავშეყრის ადგილებში. ცენტრის წარმოჩენისთვის ასევე აუცილებელია, რომ ზრდასრულთა განათლების ცენტრების მიერ ორგანიზებულ ყველა ღონისძიებაზე ბანერები და საინფორმაციო ბუკლეტები იყოს წარმოდგენილი.

ზრდასრულთა განათლების ცენტრების შესახებ ინფორმაციის გავრცელებისთვის შესაძლებელია სკოლის მასწავლებლების ჩართვაც. პროცესში მასწავლებლების ჩართვით ცენტრები უკავშირდებიან როგორც ახალგაზრდებს, ისე მათ მშობლებს, ბებია-ბაბუებს და ა.შ. აღნიშნულის გათვალისწინებით, რეკომენდებულია სპეციალური საინფორმაციო შეხვედრების ორგანიზება სკოლის მასწავლებლებისთვის. ისინი მნიშვნელოვან როლს ასრულებენ ცნობიერების ამაღლების პროცესში, რადგან ადგილობრივ მოსახლეობას უხსნიან, თუ რატომ არის მნიშვნელოვანი სწავლის გაგრძელება და როგორ

შეუძლია ზრდასრულთა განათლების ცენტრებს სამომავლო განვითარებაში ხელშეწყობა.

ცენტრალური და განსაკუთრებით, ადგილობრივი მედია მნიშვნელოვან როლს თამაშობს ზრდასრულთა განათლების ცენტრის ღონისძიებების შესახებ ინფორმაციის გავრცელებაში როგორც პროექტის დაწყებამდე, ისე მისი მსვლელობის პროცესში. მაგალითად, ახალციხისა და ახალქალაქის ზრდასრულთა განათლების ცენტრებმა მჭიდრო თანამშრომლობა წამოიწყეს მედიასთან. ცენტრებში მიმდინარე ღონისძიებების შესახებ ინფორმაცია ადგილობრივი სატელევიზიო არხებით TV9 (ახალციხე) და ATV12 (ახალქალაქი) შუქდებოდა. გარდა ამისა, ადგილობრივ გაზეთში „სამხრეთის კარიბჭე" იბეჭდებოდა ყოველთვიური ჩანართი ახალციხის ზრდასრულთა განათლების ცენტრის შესახებ. ადგილობრივი მოსახლეობის ეთნიკური მრავალფეროვნების გათვალისწინებით, ინფორმაცია მედიით ქართულ და რუსულ ენებზე ვრცელდებოდა. ზრდასრულთა განათლების ცენტრები ცენტრალურ მედიასთანაც თანამშრომლობენ, მაგალითად, კოდის, შაუმიანის, სენაკისა და ჯვარის სათემო განათლების ცენტრების შესახებ ინფორმაცია ორი წლის განმავლობაში იბეჭდებოდა გაზეთ „24 საათში", რომელიც მთელი საქართველოს მასშტაბით ვრცელდებოდა.

არსებობის მომდევნო ეტაპებზე, ინფორმაციის გასავრცელებლად ზრდასრულთა განათლების უფრო გამოცდილი ცენტრები ვებ-გვერდებსა და სოციალური მედიის პლატფორმებს იყენებენ, რომელთაგან ფეისბუქი ყველაზე გავრცელებულია. მათი მეშვეობით პოტენციურ ბენეფიციარებს საგანმანათლებლო კურსებისა და პროგრამების, ასევე, ზრდასრულთა განათლების ცენტრების სხვა ღონისძიებების შესახებ ინფორმაციის მოძიება შეუძლიათ.

ბენეფიციართა საგანმანათლებლო პრიორიტეტებისა და სხვა საჭიროებების კვლევა

2006 წლიდან დღემდე, 200.000-ზე მეტმა ბენეფიციარმა, მათ შორის, იძულებით გადაადგილებულმა პირებმა, ეთნიკურმა ან რელიგიურმა უმცირესობებმა, სოციალურად დაუცველმა პირებმა და ა.შ. ისარგებლეს ზრდასრულთა განათლების ცენტრების მიერ გაწეული საგანმანათლებლო მომსახურებით.

ზრდასრულთა განათლების ცენტრების ეფექტური მუშაობისთვის სამი სხვადასხვა ტიპის კვლევაა ჩასატარებელი: ადგილობრივი მოსახლეობის

საჭიროებების კვლევა, საგანმანათლებლო საჭიროებების კვლევა და ბაზრის კვლევა.

ადგილობრივი მოსახლეობის საჭიროებების კვლევა ერთ-ერთი მნიშვნელოვანი ეტაპია, რომელიც ზრდასრულთა განათლების ცენტრის გახსნამდე უნდა ჩატარდეს. აუცილებელია შეგროვდეს საჭირო ინფორმაცია იმ კონკრეტული რეგიონისა და დასახლების შესახებ, სადაც ცენტრი უნდა დაარსდეს. საჭიროებების კვლევის ჩატარება კვლევითი ორგანიზაციის დახმარებით ან თვითონ ცენტრის მიერ არის შესაძლებელი. მაგალითად, სამეგრელოსა და ქვემო ქართლში კოდის, შაუმიანის, სენაკისა და ჯვარის სათემო განათლების ცენტრების გახსნამდე კვლევითმა ორგანიზაციამ "ACT Research" ჩაატარა კვლევები: „იძულებით გადაადგილებულ პირთა საგანმანათლებლო და სხვა საჭიროებათა კვლევა" და „იძულებით გადაადგილებულ პირთა საჭიროებებზე მუნიციპალიტეტების რეაგირების შეფასება".[16] კვლევის ფარგლებში აღმოჩნდა, რომ სამიზნე ჯგუფის წევრთა განათლების, ასევე, რეგიონში განათლების მიღებისა და დასაქმების შესაძლებლობების დონე საკმაოდ დაბალია. ამასთანავე, კვლევამ აჩვენა, რომ მუნიციპალიტეტს მწირი რესურსები ჰქონდა იგპ-ებთან დაკავშირებული სირთულეების წარმატებით გადასალახად.[17] ასევე, ხონის მუნიციპალიტეტში, ხონის სათემო განათლების ცენტრის გახსნამდე, სოციალური კვლევების ცენტრმა (CSS) ჩაატარა კვლევა თემაზე: „ხონის მუნიციპალიტეტის შრომის ბაზრის საგანმანათლებლო საჭიროებების შეფასება" და „ხონის მუნიციპალიტეტის მოსახლეობის საგანმანათლებლო საჭიროებების შეფასება". მთლიანობაში, გამოკითხვებმა აჩვენა, რომ კვალიფიციური სამუშაო ძალის მწვავე დეფიციტი იყო. მნიშვნელოვანი მოთხოვნა იყო როგორც მაღალ, ასევე, დაბალკვალიფიციურ სამუშაო ძალაზე. მუნიციპალიტეტში საგანმანათლებლო ცენტრების არარსებობისა და ფინანსური სახსრების შეზღუდვის გამო, ადგილობრივი მოსახლეობის უმეტესობას არ ჰქონდა წვდომა საშუალო ფორმალურ ან არაფორმალურ განათლებაზე. თუ ოფიციალური მასშტაბური გამოკითხვის ჩატარება შეუძლებელია, ცენტრის ადმინისტრაციამ შეიძლება თავად განახორციელოს კვლევა. მაგალითად, ლელიანის შემთხვევაში,

[16]ACT კვლევა, 2009. აფხაზეთში იძულებით გადაადგილებულ პირთა საგანმანათლებლო და სხვა საჭიროებათა კვლევა; ACT კვლევა, 2009. აფხაზეთში იძულებით გადაადგილებულ პირთა საჭიროებებზე მუნიციპალიტეტების რეაგირების შეფასება; ACT კვლევა, 2009. ქვემო ქართლში იძულებით გადაადგილებულ პირთა საგანმანათლებლო და სხვა საჭიროებათა კვლევა; ACT კვლევა, 2009. ქვემო ქართლში იძულებით გადაადგილებულ პირთა საჭიროებებზე მუნიციპალიტეტების რეაგირების შეფასება

[17] Final Report to EU, DVV International Georgia, 2011

ადმინისტრაციამ შეიმუშავა „სოფლის პროფილის კითხვარი“ და მის შედეგებზე დაყრდნობით გამოავლინა თემის ძირითადი საჭიროებები და შეისწავლა სოფლის რესურსები. რამდენადაც კვლევითი ცენტრების მომსახურებით სარგებლობა საკმაოდ ძვირია, ცენტრები, ძირითადად, თავად ატარებენ კვლევებს. ამრიგად, მათთვის სასარგებლოა თანამშრომლების გადამზადება კვლევის მეთოდებში. თანამშრომლების გადამზადებაში თანხის ინვესტირება ზრდასრულთა განათლების ცენტრებს კვლევების პროფესიონალურ დონეზე ჩატარების საშუალებას აძლევს შედარებით მცირე ბიუჯეტით.

ზოგადი საჭიროებების შესწავლის გარდა, მნიშვნელოვანია გამოვლინდეს მოსახლეობის საგანმანათლებლო პრიორიტეტები და მათი საგანმანათლებლო პროცესებში ჩართვის მოტივაცია. თითოეულ დასახლებაში ადგილობრივი მოსახლეობის ინტერესების გამოსავლენად ცენტრები პირისპირ ინტერვიუებს ატარებენ. ადგენენ ნახევრად სტრუქტურირებულ კითხვარებს, სადაც რესპონდენტებს შეუძლიათ, კურსები ან წინასწარ შეთავაზებული სიიდან აირჩიონ ან თვითონვე მოუთითონ თუ რომელი კურსის გავლას ისურვებენ. ინტერვიუებს, როგორც წესი, ცენტრების მოხალისეები ატარებენ. ინტერვიუების შედეგების საფუძველზე, ზრდასრულთა განათლების ცენტრები ქმნიან იმ საგნების სიას, რომელსაც შემდგომ შესთავაზებენ ბენეფიციარებს. რამდენადაც ბენეფიციართა ინტერესები დროთა განმავლობაში იცვლება, ინტერვიუების ჩატარება წელიწადში მინიმუმ ორჯერაა რეკომენდებული. მაგალითად, კოდის სათემო განათლების ცენტრის ადმინისტრაცია გამოკითხვას ყოველწლიურად იანვარსა და ივნისში ატარებს. გარდა ამისა, ყოველი ახალი პროექტის დაწყებამდე, ცენტრები ბენეფიციარების ჩართულობის მზაობის გამოსავლენად დამატებით გამოკითხვებს ატარებენ (დანართში #5 სენაკის სათემო განათლების ცენტრის მიერ შემუშავებული კითხვარის ნიმუშს იხილავთ).

პროექტის ბოლოს საჭიროა მოხდეს ბენეფიციარების კმაყოფილების კვლევის ჩატარება, რომელსაც ზრდასრულთა განათლების ცენტრები მიმართავენ. ამ გამოკითხვაში ზრდასრულთა განათლების ცენტრები დაინტერესებული არიან ბენეფიციარების გამოხმაურებით, თუ მათ მოსწონთ ან არ მოსწონთ კურსები, რისი შეცვლა სურდათ ან რისი დამატება შეიძლება. ამ კვლევას ბევრი სარგებელი აქვს, რადგან ის ზრდასრულთა განათლების ცენტრებს აძლევს ინფორმაციას და განსაზღვრავს მათი პროექტების პრიორიტეტებს. ამ კვლევაში, ზრდასრულთა განათლების ცენტრები შეიმუშავებენ ნახევრად სტრუქტურირებულ კითხვარებს, რომლებშიც ისინი პირისპირ ატარებენ ინტერვიუებსა და ფოკუს ჯგუფებს. ცენტრები ასევე ადგენენ სტრუქტურირებულ კითხვარებს და ბენეფიციარები ავსებენ პასუხებს, რომლებიც იძლევა სტატისტიკურ შედეგებს. მაგალითად, ჯვარისა და კოდის სათემო განათლების ცენტრებმა და ჩოხატაურისა და ლელიანის ზრდასრულთა განათლების ცენტრებმა მიგრაციის

პროექტის დასრულების შემდეგ ჩაატარეს ბენეფიციართა კმაყოფილების კვლევა პროექტის შესახებ მნიშვნელოვანი შეფასების მისაღებად.

ცენტრების ბენეფიციართა დასაქმების შესაძლებლობების გაზრდის მიზნით, კურსების შერჩევისას, ბაზარზე არსებული მოთხოვნების გათვალისწინებაც უნდა მოხდეს. შესაბამისად, ზრდასრულთა განათლების ცენტრებმა ბაზრის კვლევაც უნდა ჩაატარონ. ბაზარზე არსებული მოთხოვნების გამოსავლენად, ზრდასრულთა განათლების ცენტრები ინფორმაციას ვებ-პორტალებიდან (Jobs.ge, HR.ge)[18] იღებენ. ისინი ასევე ეცნობიან ამავე მიზნით ჩატარებულ კვლევებს. თუმცა, ამ გზით მიღებული ინფორმაცია, როგორც წესი, შედარებით ზოგადი ხასიათისაა და ზრდასრულთა განათლების ცენტრების მუშაობის ვიწრო რეალობას ნაკლებად ასახავს. გამოცდილება გვიჩვენებს, რომ უფრო ეფექტური და მომგებიანია ლოკალურ გარემოზე დაკვირვება და მუნიციპალიტეტებთან და ადგილობრივ ბიზნეს პროვაიდერებთან თანამშრომლობა, რათა დავრწმუნდეთ, რომ ბენეფიციარებისთვის შეთავაზებული კურსები ემთხვევა ადგილობრივ მოთხოვნებს. ამ მიზნით, ცენტრების თანამშრომლები და პროექტის ლიდერები ადგილობრივ კომპანიებსა და ორგანიზაციებს ხვდებიან და ინფორმაციას იღებენ იმის შესახებ თუ რომელ პოზიციებზე არის მოთხოვნა. ბაზრის ოფიციალური კვლევისგან განსხვავებით, რომელიც დროშია გაწელილი და დამატებით ხარჯებსაც უკავშირდება, ასეთი მიდგომა ბევრად უფრო ეფექტურია ისეთ დასახლებებში, სადაც ურთიერთობა და თანამშრომლობა, ძირითადად, პირად კონტაქტებსა და პირისპირ საუბარს ემყარება.

თანამშრომელთა და ტრენერთა შერჩევა

ზრდასრულთა განათლების ცენტრის დაარსებისას გადამწყვეტია თანამშრომლებისა და ტრენერების შერჩევის ეტაპი. პირველ რიგში, აუცილებელია ვაკანსიის გამოცხადება. ზრდასრულთა განათლების ცენტრები ვაკანსიების გამოსაქვეყნებლად ვებ-გვერდებსა და ადგილობრივ მედიას იყენებენ. თუ ლოკაცია ეთნიკური უმცირესობებით არის დასახლებული, რეკომენდებულია ორენოვანი განცხადებების განთავსება.

შემდგომი გაურკვევლობის თავიდან აცილებისა და სამართლიანი შერჩევის უზრუნველსაყოფად, პროცესი მაქსიმალურად გამჭვირვალე უნდა იყოს.

[18] http://jobs.ge/; http://hr.ge/ – Jobs.ge და HR.ge საქართველოში ყველაზე პოპულარული ვებ-გვერდებია, სადაც დაინტერესებულ პირებს შეუძლიათ გაეცნონ ინფორმაციას არსებული ვაკანსიების შესახებ.

თანამშრომელთა შერჩევა რამდენიმე ეტაპისგან შედგება. პირველ რიგში, აპლიკანტებმა უნდა გამოგზავნონ CV და სამოტივაციო წერილი. შერჩეული კანდიდატები შემდეგ გასაუბრების ეტაპზე გადადიან, რომელიც ტარდება ორჯერ: პირველ გასაუბრებას მოჰყვება მეორე უფრო დეტალური სესია. ენის მასწავლებლები წერილობით ტესტს გადიან. ხელსაქმის მასწავლებლებმა უნდა წარმოადგინონ თავიანთი ხელნაკეთები (ნაქარგები, მათ მიერ დამზადებული სუვენირები და ა.შ.). მასწავლებლის/ტრენერის პოზიციით დაინტერესებულმა აპლიკანტებმა უნდა წარადგინონ საგანმანათლებლო პროგრამები. წარდგენილ პროგრამებში გაწერილი უნდა იყოს სასწავლო კურსის მიზნები, აქტივობები და მისაღწევი შედეგები. აპლიკანტების სამუშაოზე აყვანა მათი ცოდნისა და გამოცდილების გათვალისწინებით ხდება. ზრდასრულთა განათლების ცენტრებისთვის ადგილობრივი კადრების დასაქმებაა პრიორიტეტული, რათა დასახლებებში სამუშაო შესაძლებლობები გაზარდოს. თუმცა, თუ ადგილზე არ აღმოჩნდა შესაბამისი უნარ-ჩვევების მქონე პიროვნება ბენეფიციარების მიერ მოთხოვნილი კურსის წარმართვისთვის, ტრენერების მოწვევა მეზობელი ქალაქებიდან/სოფლებიდან ან სახელმწიფო პროფესიული კოლეჯებიდან ხდება.

პროექტის მსვლელობისას აუცილებელია ცენტრის ადმინისტრაციისა და ტრენერების მუდმივად გადამზადება კვალიფიკაციის ასამაღლებლად. იმისათვის, რომ ახლადდაარსებული ცენტრების ადმინისტრაციას ცენტრის აქტივობების წარმართვა გაუადვილდეს, ზრდასრულთა განათლების ახალი ცენტრების წარმომადგენლები სხვა უკვე გამოცდილ ცენტრებს სტუმრობენ და ეცნობიან, თუ როგორ წარიმართება პროექტები იქ. ზრდასრულთა განათლების ცენტრები წარმატებით ფუნქციონირებისთვის ისეთ აუცილებელ საკითხებს უზიარებენ ერთმანეთს, როგორიცაა: პროგრამებისა და ფინანსური მენეჯმენტი, დოკუმენტების ნიმუშები, სამთავრობო და არასამთავრობო სტრუქტურებთან ურთიერთობა, ბენეფიციარების მოზიდვა და სხვ. გარდა ამისა, იმართება ვიზიტები ზრდასრულთა განათლების ცენტრებში და სასწავლო ვიზიტები - გერმანულ სახალხო უნივერსტეტებში, რაც იმის შესაძლებლობას იძლევა, რომ გაეცნონ თუ როგორ მუშაობენ ცენტრები გერმანიაში. მაგალითად, როდესაც ახალციხესა და ახალქალაქში გაიხსნა ზრდასრულთა განათლების ცენტრები, პროექტის დასაწყისში სასწავლო ტური რეგენის საგანმანათლებლო ცენტრში, Regen FHS19 მოეწყო. ვიზიტის მიზანი იყო, ცენტრების ადმინისტრაცია ზრდასრულთა განათლების კონცეფციასა და ცენტრების ფუნქციონირებას გასცნობოდა. გარდა ამისა, გერმანელ ექსპერტებს იწვევენ საქართველოში ზრდასრულთა განათლების ცენტრების ადმინისტრაციისთვის და ტრენერებისთვის თავიანთი გამოცდილების გასაზიარებლად.



როგორც ზევით აღვნიშნეთ, ზრდასრულთა განათლების ცენტრების თანამშრომლებისა და მასწავლებლების/ტრენერების სამომავალო განვითარების მიზნით, რეგულარულად ტარდება ტრენინგ-პროგრამები შემდეგ თემებზე:

- ზრდასრულთა განათლების მეთოდები;
- ჯგუფური მუშაობა და კულტურათშორისი დიალოგი;
- კარიერის დაგეგმვისა და სამუშაოს ძიების უნარები;
- პროექტის მენეჯმენტი;
- ბუღალტერია;
- საქმიანობის შეფასება;
- მონიტორინგისა და შეფასების უნარები და ა.შ.

რიგ შემთხვევებში, ცენტრები თანამშრომელთა კვალიფიკაციის ასამაღლებლად გარე რესურსებს იყენებენ. მაგალითად, კოდის სათემო განათლების ცენტრი თანამშრომლობს საქართველოს სტრატეგიული განვითარებისა და კვლევების ცენტრთან (CSRDG), რომელიც თემის განვითარების პროგრამის ფარგლებში ტრენინგებსა და გადამზადების კურსებს ატარებს.[19] კოდის სათემო განათლების ცენტრის ბენეფიციარები ესწრებიან მათ ტრენინგებს და მიღებულ გამოცდილებას ზრდასრულთა განათლების ცენტრში პრაქტიკაში იყენებენ. პერსონალის შესაძლებლობების გასაზრდელად ასევე ეფექტურია უცხოელი მოხალისეების ჩართვა ტრენერებად. მაგალითად, საქართველოს Peace Corps-ის მოხალისეები ინგლისური ენის მასწავლებლებს ენის ცოდნისა და უნარების გაუმჯობესებაში ეხმარებიან.

შეჯამებისთვის, თანამშრომელთა და ტრენერების შერჩევის პროცესი და კრიტერიუმები რაც შეიძლება გამჭვირვალე უნდა იყოს. ცენტრების პრიორიტეტს ადგილობრივი მოსახლეობის დასაქმება უნდა წარმოადგენდეს. პროექტის ფარგლებში, ცენტრის ადმინისტრაცია პერსონალის გადამზადებასა და კვალიფიკაციის ამაღლებაზე მუდმივად უნდა ზრუნავდეს.

ბენეფიციართა ნდობის მოპოვება

ზრდასრულთა განათლების ცენტრების გახსნის შემდეგ მოსახლეობის ნდობის მოპოვება გარკვეულ დროსა და ძალისხმევას მოითხოვს, რაც ხაგასმით უნდა აღინიშნოს. დასაწყისში, მოსახლეობა ხშირად სკეპტიკურად არის განწყობილი ცენტრების მიმართ, რადგან, ხალხი, ზოგადად, არ ენდობა „სოციალურ“

[19] http://www.csrdg.ge/index.php?module=text&link_id=14

პროგრამებს. ისინი ფიქრობენ, რომ დანაპირები არასოდეს შესრულდება და არაფერი კეთდება ადგილობრივი მოსახლეობის მდგომარეობის გამოსასწორებლად. რაც მთავარია, საწყისი უნდობლობა მოდის ზრდასრულთა განათლების ცენტრების იდეის ცოდნისა და გააზრების არარსებობიდან. ზრდასრულთა განათლებისა და მთელი სიცოცხლის მანძილზე სწავლის კონცეფციები ჯერ კიდევ არ არის კარგად ნაცნობი ქართული საზოგადოებისთვის. რთულია ზრდასრული ადამიანის დარწმუნება იმაში, რომ საგანმანათლებლო კურსებს დაესწროს და ახალ პროფესიას დაეუფლოს. თავდაპირველად, ისინი ვერ ხედავენ სწავლის გაგრძელების აზრს თავიანთ ასაკში. კიდევ უფრო რთულია მოწყვლად თემებში (მაგალითად, დევნილთა დასახლებები) მუშაობა. ასეთ დასახლებებში ხალხმა ყველაფერი დაკარგა, შემდგომი განვითარების შესაძლებლობა არ აქვთ და მათი მთავარი საზრუნავი ოჯახის წევრების გამოკვებაა. ჯვარის, სენაკის, კოდისა და შაუმიანის იგპ-თა დასახლებებში მოსახლეობა „ახალმოსულების“ მიმართ აგრესიას ღიად გამოხატავდა.

მოსახლეობის მხრიდან არსებული წინასწარი ნეგატიური განწყობის, სირთულეებისა და უნდობლობის მიუხედავად, ცენტრებმა შეძლეს გამორჩეული პოზიციის შენარჩუნება მაღალეფექტური და კვალიფიციური თანამშრომლების, საჭიროებებზე მორგებული და ინოვაციური სასწავლო პროგრამების მეშვეობით, ასევე - ღია და თანასწორი, მეგობრული და სანდო ატმოსფეროს შექმნით. თითოეულმა ცენტრმა, მისმა პერსონალმა და ტრენერმა იბრძოლა სირთულეების დასაძლევად და ნდობის მოსაპოვებლად, რითაც დაამტკიცეს, რომ ეს ადგილები დევნილებისა და მასპინძელი თემების წინსვლისთვისაა შექმნილი. ამ სტაბილურ ერთობლივ ძალისხმევას უშედეგოდ არ ჩაუვლია - მოკლე ხანში ცენტრებში ბენეფიციართა ინტერესი და პროგრამებში ჩართულობა გაიზარდა.

ცენტრების გამოცდილება აჩვენებს, რომ როგორც წესი, ღონისძიებებით თავდაპირველად ბავშვები და ახალგაზრდები ინტერესდებიან და მონაწილეობენ მათში. ამ შემთხვევაში, ნდობის მოპოვების პროცესში, ახალგაზრდები ცენტრების ერთგვარ „აგენტებად“ იქცევიან. შეთავაზებული კურსებით ახალგაზრდების კმაყოფილებას, როგორც წესი, მათი მშობლების ნდობის მოპოვება და აქტივობებით დაინტერესება მოჰყვება, რომლებიც თანდათან იწყებენ ღონისძიებებში ჩართვას. ცენტრებში ბენეფიციარებს თბილი გარემო ხვდებათ, სადაც მზად არიან, მოუსმინონ, მხედველობაში მიიღონ მათი საჭიროებები და სურვილები, შესთავაზონ მათთვის მაქსიმალურად ხელსაყრელი განრიგი. ბენეფიციარებზე ორიენტირებული მიდგომა მაღალ კმაყოფილებასა და ბენეფიციართა რაოდენობის ზრდას იწვევს.

მნიშვნელოვანია აღინიშნოს, რომ ნდობის მოპოვების პროცესი ზრდასრულთა განათლების ცენტრის დაარსების მესამე მოდელის შემთხვევაში, ბევრად უფრო სწრაფად მიმდინარეობს ანუ როდესაც ცენტრი უკვე არსებული არასამთავრობო ორგანიზაციის ბაზაზე იქმნება. პირველი და მეორე მოდელების შემთხვევაში, ნდობის მოსაპოვებლად მინიმუმ ექვსი თვე არის საჭირო, მესამე მოდელის შემთხვევაში კი, ადგილობრივი ორგანიზაცია დასახლებაში უკვე სარგებლობს ბენეფიციართა ნდობით, რომლებსაც შესაბამისად, ახალი ცენტრების მიმართ მსგავსი დამოკიდებულება აქვთ.

ზრდასრულთა განათლების ცენტრების საგანმანათლებლო და სხვა ღონისძიებები

ზრდასრულთა განათლების ცენტრები ხელს უწყობენ ადგილობრივი მაცხოვრებლების პოტენციალის გაზრდას საქართველოს რეგიონებში, საგანმანათლებლო და პიროვნული განვითარების საჭიროებების გათვალისწინებით და ერთი მხრივ, მათ დაკავშირებას სამუშაო ბაზართან. მეორე მხრივ კი, ცენტრები ხელს უწყობენ სოციალურ და ადამიანურ განვითარებას ადგილობრივი მოსახლეობის ახალი შესაძლებლობებით უზრუნველყოფის გზით. გაძლიერებული სამოქალაქო უნარები და საცხოვრებელი ადგილისადმი კუთვნილების გაზრდილი გრძნობა, ზრდის ბენეფიციართა მოტივაციას, დარჩნენ თავიანთ თემებში და ხელი შეუწყონ პოზიტიური სოციალური გარემოს ჩამოყალიბებას.

ცენტრები ბენეფიციარებს სთავაზობენ სტრუქტურულ მრავალკომპონენტიან საგანმანათლებლო პროგრამებს პროფესიული, პიროვნული და სოციალური უნარების შეძენის/ამაღლების მიზნით და ბენეფიციარებს კონკურენციისა და წარმატების მიღწევის შესაძლებლობებს აძლევენ.

ზრდასრულთა განათლების პაკეტის ერთიანი საგანმანათლებლო პროგრამა „აერთიანებს“ ზრდასრულთა განვითარების ჯაჭვს, რომელიც მოიცავს ცალკეულ ინდივიდთა მნიშვნელოვან საქმიანობაში ჩართვის მთლიან პროცესს, რაც მათ ეხმარება მიიღონ ფინანსური და ფსიქოლოგიური სარგებელი, ხელს უწყობს ინდივიდთა უწყვეტ განვითარებას და უზრუნველყოფს უკეთეს მომავალს. ზრდასრულთა განათლების პაკეტი შედგება შემდეგი კომპონენტებისგან:

1. პიროვნული განვითარების პროგრამები (უნარები და კომპეტენციები, რომელთა გამოყენება შეიძლება სხვადასხვა ცხოვრებისეულ გარემოსა და საქმიანობის სფეროში: ენები, საინფორმაციო ტექნოლოგიის კურსები, მეწარმეობა, ბუღალტერია, სამუშაოს ძიების უნარები, წარმატებული

კომუნიკაცია და პრეზენტაცია, თანამშრომლობა და კონფლიქტის მართვის უნარები და ა.შ.);

2. პროფესიული განათლება (მოკლევადიანი პროფესიული კურსები);

3. კულტურული განათლება (გამოფენები, ლექციები, ხელოვნების სემინარები, ვორქშოპები ხელოვნების ისტორიაში, კინემატოგრაფიაში, ფილმების ჩვენება შემდგომი დისკუსიებით, თეატრებში ვიზიტები, შეხვედრები მსახიობებთან, მწერლებთან, კინო და თეატრის რეჟისორებთან, ექსკურსიები, ისტორიული და კულტურული მემკვიდრეობის ძეგლების დათვალიერება და ა.შ.);

4. სამოქალაქო განათლება (საჯარო ლექციები, დისკუსიები და დებატები, ტრენინგები ადვოკატირებასა და ლობირებაში, აქტიური მოქალაქეების კლუბები, ტრენინგები ეკოლოგიური ცნობიერების, გენდერისა და სამოქალაქო აქტივიზმის საკითხებში, მოხალისეობრივი კულტურის განვითარება და ა.შ.);

5. ფინანსური განათლება (ტრენინგები ოჯახებისთვის თამაშებისა და პოპულარული საგანმანათლებლო მეთოდოლოგიისა და საზოგადოებრივი წევრებისთვის რეგულარული საკონსულტაციო მომსახურების გამოყენებით ბანკებთან, სესხებთან და კრედიტებთან შეხებისას, ოჯახის დანაზოგები და ა.შ.);

6. განათლება სპორტისა და ჯანმრთელობის მიმართულებით;

7. ბავშვების/ახალგაზრდული პროგრამები;

8. იურიდიული წიგნიერება;

9. ფსიქო-სოციალური პროგრამები ბავშვებისა და მოზარდებისთვის (როგორც პირადი, ასევე, ჯგუფური კონსულტაცია).



- პიროვნული განვითარების კურსები ბენეფიციარებს სხვადასხვა ტიპის სამუშაოს შესრულებისთვის საჭირო დამატებით უნარ-ჩვევებს სძენს. აღნიშნული კურსები მოიცავს: კომპიუტერის, მცირე ბიზნესის განვითარების, ინგლისური, რუსული და გერმანული ენების კურსებს, ქართულ ენას ეთნიკური უმცირესობების წარმომადგენლებისთვის, ბუღალტერიას, ოფის-მენეჯმენტს, ტრენინგები სამუშაოს ძიებაში, წარმატებული კომუნიკაცია და პრეზენტაცია, თანამშრომლობა და კონფლიქტების მართვის უნარები და ა.შ. ინგლისური ენა და კომპიუტერი ყველაზე მოთხოვნადია კურსებს შორის. სახელმწიფო სტრუქტურებში დასაქმებულ პირებს, თავიანთი პოზიციების შესანარჩუნებლად, ინგლისური ენისა და კომპიუტერის საბაზისო ცოდნა მოეთხოვებათ. ამრიგად, ზრდასრულთა განათლების ცენტრებმა თავიანთი კურსების მოდიფიცირება მოახდინეს და ბენეფიციართა ინტერესებს მოარგეს. მაგალითად, ჯვარის სათემო განათლების ცენტრმა ინგლისური ენისა და კომპიუტერის კომბინირებული კურსი შეიმუშავა, ბენეფიციარებისთვის

ძალიან მოსახერხებელი გამოდგა.

კურსებზე მოთხოვნა სხვადასხვა ცენტრში განსხვავებულია. მაგალითად, ქართული ენის კურსები განსაკუთრებით პოპულარული ახალციხეში, ახალქალაქსა და შაუმიანშია, სადაც ეთნიკური უმცირესობების რაოდენობა მაღალია. სენაკის სათემო განათლების ცენტრისა და ლელიანის ზრდასრულთა განათლების ცენტრის ბენეფიციარებისთვის განსაკუთრებით მიმზიდველი სასოფლო-სამეურნეო კურსები გახდა, რადგან ბევრ მათგანს პატარა ფერმები აქვთ. ქედის ზრდასრულთა განათლების ცენტრში პოპულარობა მოიპოვა კომპიუტერის შეკეთების კურსებმა, რადგან ეს სერვისი ხელმისაწვდომი არ არის მთელს მუნიციპალიტეტში. კოდის ცენტრში კი კარგად მუშაობს თექის/სუვენირების დამზადების კურსები, რომლებიც ადგილობრივი პროფესიონალების ძალისხმევით ფუნქციონირებს.

პროფესიული და პიროვნული განვითარების კურსები, ძირითადად, სამ-ოთხ თვეს გრძელდება და მისი ხანგრძლივობა პროგრამის სირთულეზე, ბენეფიციარების კვალიფიკაციასა და ტრენინგ-კურსის მიზნებზეა დამოკიდებული. კურსის დაწყებამდე ყველა ტრენერმა უნდა წარმოადგინოს პროგრამები, სადაც დეტალურად იქნება აღწერილი კურსის მიზნები, შედეგები, მეთოდები, გამოყენებული მასალები. გაკვეთილები ტარდება კვირაში ორჯერ ან სამჯერ და გრძელდება 1-3 საათის განმავლობაში. გადასახადი 10-დან (4 ევრო) 25 ლარამდე (10 ევრომდე) მერყეობს. 8-12 ბენეფიციარს შეუძლია კურსზე ერთდროულად დასწრება. მოკლევადიანი მოქნილი კურსების შეთავაზება საკმაოდ ეფექტურია მოსახლეობის საჭიროებებზე დროულად რეაგირების მიზნით, ადგილობრივი სამუშაო ბაზრის ხშირად ცვალებადი მოთხოვნების გათვალისწინებით.

პროფესიული განვითარებისა და წინსვლის გარდა, პიროვნული განვითარებისა და პროფესიული განათლების კურსები თვითრეალიზების შესაძლებლობას ქმნიან, ეხმარებიან თვითშეფასებისა და ნდობის ამაღლებაში, სტრესისა და დეპრესიის დაძლევაში. მონაწილეთა უკუკავშირი გამოხატულია ზრდასრულთა განათლების ცენტრებში ყოველდღიური ჩართულობით, ასევე, მრავალი სამადლობელი წერილისა და ცხოვრებისეული ისტორიით, სადაც საუბრობენ პასიურობისა და იმედგაცრუების შემდეგ მიღწეული წარმატებებისა და მიღწევების შესახებ. ეს ყველაფერი კი, წარმოადგენს მათი პროგრამის პროგრესისადმი დამოკიდებულების ნათელ დემონსტრირებას.

- პროფესიული განათლების პროგრამა მოიცავს ოცდაათზე მეტ მოკლევადიან პროფესიულ კურსს, რომელიც ემყარება სწავლება კეთების მეშვეობით მეთოდოლოგიას. პროფესიული განათლება ბაზარზე მოთხოვნად პროფესიებში ბენეფიციარების გადამზადებაზეა ორიენტირებული და შესაბამისად, თითოეულ რეგიონში მჭიდროდ აკავშირებს ადგილობრივი ბაზრისა და ადგილობრივი ბიზნესის მოთხოვნებსა და ბენეფიციართა უნარებსა და სწავლებისთვის საჭირო რესურსებს. ზრდასრულთა განათლების ცენტრებში პროფესიული კურსების მრავალფეროვანი სპექტრია წარმოდგენილი: კერვა, ქსოვა, მანქანის მართვა და დისტრიბუცია, ხეზე კვეთა, კულინარია, მეფუტკრეობა, ფეხსაცმლის შეკეთება და ა.შ. [20] პროფესიული განათლების კურსები ძალიან მნიშვნელოვანია, რადგან ბენეფიციარებს შესაძლებლობა აქვთ, არა მხოლოდ გაიუმჯობესონ უნარები ამა თუ იმ სფეროში, არამედ, სრულიად ახალ პროფესიებსაც დაეუფლონ. ეს ზრდის ბენეფიციართა კონკურენტუნარიანობასა და თვითდასაქმების შესაძლებლობას ბაზარზე.

  ციფრული განათლება ზრდასრულთა განათლების ცენტრების ერთ-ერთი ყველაზე მნიშვნელოვანი კომპონენტია. ხანდაზმული ადამიანებისთვის ინფორმაციული ტექნოლოგიების უნარების განვითარება მათ სოციალურ ჩართულობასა და ინფორმაციის წყაროებში არათანაბარი ხელმისაწვდომობის, იზოლირებისა და სიმარტოვის პრობლემების მოგვარების შესაძლებლობებს აძლევს. მათ მიიღეს შესაძლებლობები გაცნობოდნენ მრავალფეროვან ინფორმაციას მთელს მსოფლიოში მიმდინარე მოვლენების შესახებ, კავშირი ჰქონოდათ მრავალი წლის წინ საზღვარგარეთ წასულ ნათესავებთან და შვილებთან. MS Office Word-ისა და Excel-ის ვიდეო კურსები დამწყებთათვის პირველად შეიქმნა ქართულ ენაზე DVV International-ისა და რამდენიმე ზრდასრულთა განათლების ცენტრის მიერ. გარდა ამისა, შეიქმნა IOS-ის, Windows-ისა და Android-ის ოპერაციული სისტემები და კომპიუტერებზე, ტაბლეტებსა და ტელეფონებზე მორგებული აპლიკაციები უსინათლო და მხედველობადაქვეითებული ადამიანებისთვის. ზრდასრულთა განათლების ცენტრებს კომპიუტერის კურსებისთვის სხვადასხვა სწავლების დონე (პირველი და მეორე დონე) გააჩნიათ. შესაბამისად, ბენეფიციარებს შეუძლიათ აირჩიონ კლასი კომპიუტერის ცოდნის საფუძველზე. ზოგიერთ ცენტრში არსებობს პროფესიული განათლების კურსები, რომლებიც მოიცავს: ქსელის ადმინისტრირებას, კომპიუტერის დიზაინს, Intel პროექტსა და ფოტოების

[20] კურსების სრული ჩამონათვალისთვის იხ. დანართი #6

რედაქტირების პროგრამებს: Camtasia, Pizap, Photoshop. DVV International საქართველოს ოფისმა განახორციელა ევროკავშირის მიერ დაფინანსებული პროექტი „აქტიური ცხოვრებისთვის: ხანდაზმული ადამიანების შესაძლებლობების გაზრდა და მათი უფლებების განმტკიცება საქართველოში“. პროექტი მიზნად ისახავდა ხანდაზმულთა ცხოვრების ხარისხის ამაღლებას საოჯახო პირობებში მათი უფლებების, სოციალური ურთიერთობებისა და კავშირების გაძლიერებით. პროექტი განხორციელდა ოთხ ადგილას (ოთხ ზრდასრულთა განათლების ცენტრში) და სხვა საგანმანათლებლო კურსებთან ერთად, კომპიუტერისა და ინფორმაციული ტექნოლოგიების კურსები შესთავაზეს ხანდაზმულებს (60+), რომლებიც წარმოადგენდნენ პროექტის სამიზნე აუდიტორიას. პროექტს გააჩნდა თაობათაშორისი მიდგომა, რაც იმას ნიშნავს, რომ ახალგაზრდებმა და ხანდაზმულებმა ერთმანეთს გაუზიარეს თავიანთი ცოდნა და გამოცდილება. მაგალითად, ახალგაზრდები ეხმარებოდნენ უფროსებს კომპიუტერული უნარების განვითარებაში და/ან გაუმჯობესებაში.

- კულტურული განათლება ზრდასრულთა განათლების ცენტრების საქმიანობის კიდევ ერთ მნიშვნელოვან მიმართულებას წარმოადგენს. ფოტო და ადგილობრივი მხატვრების გამოფენები, წიგნის ფესტივალები და ფილმების ჩვენება შემდგომი დისკუსიებით თითოეულ ცენტრში ხშირად ტარდება. ხელოვნების სემინარები, ლექციები ხელოვნების ისტორიაში, კინემატოგრაფია, ექსკურსიები საქართველოს სხვადასხვა რეგიონში ქვეყნის კულტურული და ისტორიული მემკვიდრეობის სანახავად, ვიზიტები დედაქალაქის თეატრებში, ლიტერატურული კონკურსები, შეხვედრები მსახიობებთან, მწერლებთან, კინო და თეატრის რეჟისორებთან და სხვა შემოქმედებითი საქმიანობა ადგილობრივებს ეხმარება კულტურული ცნობიერების ამაღლებაში, განავითარონ გემოვნება ხელოვნებისადმი და მიიღონ დადებითი ემოციები და ენერგია, რაც ნამდვილად უწყობს ხელს მათი ცხოვრების ხარისხის გაუმჯობესებას. ლაშქრობა სენაკის შემოგარენში, კულტურული და ისტორიული ღონისძიებების ორგანიზება ნოქალაქევის ციხესთან და სენაკში, სადაც მოზარდები ცენტრის ახალგაზრდა წარმომადგენლებს უყვებოდნენ ცალკეულ ძეგლთა ისტორიას, კულტურული საქმიანობის რამდენიმე მაგალითია.

- ზრდასრულთა განათლების ზოგიერთი ცენტრში სამედიცინო, იურიდიული და ფსიქო-სოციალურ კონსულტაციები ტარდება. ბენეფიციარებს ხშირად საკმარისი ინფორმაცია არ აქვთ ამა თუ იმ დაავადების შესახებ. სამედიცინო კონსულტაციები, შესაბამისად, იმ საკითხებზე ტარდება, რომლებიც მათთვის საინტერესო და მნიშვნელოვანია. კონსულტაციები მოიცავს ინფორმაციას ცალკეული

დაავადების პრევენციისა და მკურნალობის, ჯანსაღი ცხოვრების წესის, რეპროდუქციული ჯანმრთელობის შესახებ და ა.შ. იურიდიულ კონსულტაციებზე ბენეფიციარები თავიანთ უფლებებს ეცნობიან და იგებენ, თუ რა შეიძლება იყოს მათი სარგებელი. ფსიქოლოგიური კონსულტაციები განსაკუთრებით მნიშვნელოვანია იგპ-ებისთვის, რომელთაც ტრავმასა და ნეგატიურ გამოცდილებასთან გამკლავება უწევთ. სწორედ ამიტომ, ზრდასრულებისთვის ინდივიდუალური კონსულტაციების გარდა, ზრდასრულთა განათლების ზოგიერთ ცენტრში ფსიქოლოგიური რეაბილიტაციის პროგრამები ბავშვებისა და მოზრდილების სხვადასხვა ასაკობრივი ჯგუფებისთვისაც ხორციელდება. ყველა ზემოთ ჩამოთვლილი სოციალური მომსახურება უფასოა ბენეფიციარებისთვის და განსაკუთრებით ხელმისაწვდომია მოწყვლადი ჯგუფებისთვის.

- ზრდასრულთა განათლების ცენტრების ფინანსური განათლების კომპონენტი ბენეფიციარებს აძლევს საბაზისო ცოდნას საქართველოს ეკონომიკური, ფისკალური და ფინანსური სისტემის, ბიზნესის პერსპექტიული სფეროების, ბიზნეს გეგმების შემუშავების, ფინანსების ხელმისაწვდომობის, კერძოდ, საკრედიტო ფონდების შესახებ. ტარდება ტრენინგები ოჯახებისთვის, რომლებიც იყენებენ თამაშებსა და პოპულარული საგანმანათლებლო მეთოდოლოგიას, საზოგადოების წევრებისთვის რეგულარული კონსულტაციები საბანკო სესხებსა და კრედიტებთან დაკავშირებით, ოჯახის დანაზოგებზე და ა.შ. აწვდიან ყველაზე მნიშვნელოვანი ქვაკუთხედების მიმოხილვას, აძლევენ რჩევებს სხვადასხვა შემოსავლის პირობებში, საკუთარი ბიუჯეტის დაგეგმვის შესახებ, ინფორმაციას ბანკისა და მიკროკრედიტის ორგანიზაციების, ამ სფეროების ძირითადი გამოწვევებისა და საფრთხეების შესახებ.

- სამოქალაქო განათლების გზით ადგილობრივი მოსახლეობის საზოგადოებრივი ჩართულობის გაზრდა ზრდასრულთა განათლების ცენტრების კიდევ ერთი პრიორიტეტული მიმართულებაა. ამ მიზნით, ცენტრები ატარებენ სხვადასხვა საინფორმაციო შეხვედრას სამიზნე ჯგუფის ცნობიერების ამაღლების მიზნით მათთვის საინტერესო საკითხების შესახებ. აღნიშნული ინიციატივების მიზანია საზოგადოების ცოდნის გაუმჯობესების მოთხოვნილების დაკმაყოფილება, ინფორმაციის თავისუფლად წვდომა და კონკრეტული საკითხების უკეთ გაგება საჯარო ლექციების, საუბრებისა და დისკუსიების საშუალებით. რეგულარული დისკუსიები და საჯარი შეხვედრები თვეში ორ-სამჯერ ტარდება საჯარო და ადგილობრივ წარმომადგენლებთან, ცნობილ პირებთან და ექსპერტებთან. საჯარო შეხვედრების თემატიკა საკმაოდ მრავალფეროვანია და მოიცავს პოლიტიკას, ხელოვნებას, ეკონომიკას, ეკოლოგიას, მეცნიერებას და ა.შ.

კონკრეტული თემისა და წარმდგენის შერჩევა დამოკიდებულია ბენეფიციარების ინტერესებსა და თავად თემის აქტუალობაზე.

საჯარო დისკუსიების გარდა, ზრდასრულთა განათლების ცენტრებში აქტიურ მოქალაქეთა კლუბები ჩამოყალიბდა, რომლის ფარგლებშიც ადგილობრივი მოსახლეობის წარმომადგენლებს ტრენინგები უტარდებათ ადვოკატირებასა და ლობირებაში, თემის მობილიზებაში, პრობლემის გადაწყვეტაში და ა.შ. კლუბის წევრები რეგულარულად იკრიბებიან და თემში არსებულ პრობლემებზე მუშაობენ. თავდაპირველად, კლუბის წევრებს ზრდასრულთა განათლების ცენტრების დახმარება სჭირდებოდათ, მაგრამ, დღეს უკვე დამოუკიდებლად მუშაობენ, ახდენენ პრობლემების იდენტიფიცირებას, წერენ პროექტებს, მიმართავენ ადგილობრივ მუნიციპალიტეტებს და/ან სხვა ორგანოებს და მათთან თანამშრომლობით პრობლემების ეფექტურად გადაჭრას ცდილობენ. ტარდება საჯარო ლექციები, დისკუსიები, დებატები და ტრენინგები ეკოლოგიური ცნობიერების, გენდერის, სამოქალაქო აქტივიზმის, მოხალისეობის კულტურის განვითარების კუთხით.

- ბავშვების/ახალგაზრდული პროგრამები მოიცავს ხატვის კლასებს, თეატრალურ წარმოდგენებს, ინგლისურ ენაზე მოთხრობებისა და ზღაპრების კითხვის კლუბს, გარე და სპორტულ აქტივობებსა და ექსკურსიებს. ბევრი ბენეფიციარი (განსაკუთრებით, ქალები) ცენტრში ბაშვებთან ერთად დადიან, რადგან მათ სახლში ვერავისთან ტოვებენ. სანამ დედები და ბებიები საგანმანათლებლო კურსებს ესწრებიან, მათი შვილები სპეციალურად პატარებისთვის განკუთვნილ აქტივობებში მონაწილეობენ.

17-25 წლის ასაკობრივი ჯგუფისთვის ზრდასრულთა განათლების თითოეულ ცენტრში ახალგაზრდული კლუბებია შექმნილი. კლუბის წევრები, ახალგაზრდული პროგრამის კოორდინატორებთან ერთად, რეგულარულად იკრიბებიან და სხვადასხვა ღონისძიებას უწევენ ორგანიზებას. მათ შორისაა:

- ტრენინგები ისეთ თემებზე, როგორიცაა: ლიდერობა, კომუნიკაცია, კონფლიქტის მართვა, ტოლერანტობა, ჯგუფის შეკვრა, ჯანსაღი ცხოვრების წესი და ა.შ.;
- სპორტული ღონისძიებები;
- ფილმების ჩვენება და დისკუსიები;
- თეატრალური წარმოდგენები;
- ეკო-აქციები;

- ექსკურსიები, ა.შ.

ახალგაზრდული პროგრამები მნიშვნელოვან როლს ასრულებენ იმ დასახლებებში, სადაც ზრდასრულთა განათლების ცენტრები ფუნქციონირებენ. ბევრი ახალგაზრდა საცხოვრებელ ადგილს ტოვებს და სწავლის ან სამსახურის შოვნის მიზნით, უფრო დიდი ქალაქებში გადადის. ამიტომ აუცილებელია, ახალგაზრდებისთვის ისეთი ღონისძიებების შეთავაზება, რომლებიც მათ დააინტერესებს. ზრდასრულთა განათლების ცენტრების ღონისძიებებში ჩართვით ახალგაზრდები საკუთარ ქმედებებზე, ქცევებსა და თემის განვითარების პროცესებში მონაწილეობაზე მეტ პასუხისმგებლობას იღებენ.

ზრდასრულთა/სათემო განათლების ცენტრები მნიშვნელოვან როლს ასრულებენ ადგილობრივი ხელისუფლებისა და ადგილობრივი მოსახლეობის დაკავშირებაში. მაგალითად, ევროკავშირის მიერ დაფინანსებული პროექტის ფარგლებში, ჩატარდა ტრენინგები მუნიციპალიტეტების წარმომადგენლებისა და ადგილობრივი ლიდერებისთვის კოდის, შაუმიანის, სენაკისა და ჯვარის სათემო განათლების ცენტრებში, ადგილობრივი მუნიციპალიტეტების თანამშრომლებისა და ადგილობრივი ხელმძღვანელების ინფორმირებულობის დონის ამაღლების მიზნით, დევნილთა საკითხებზე, მათ შორის ისეთ თემებზე, როგორებიცაა: ადგილობრივი ხელისუფლება საქართველოში, ადგილობრივი ბიუჯეტირება, ადვოკატირება და ეფექტური მონაწილეობა, დევნილთა შესახებ კანონმდებლობა და ა.შ. ამ ტრენინგებმა მნიშვნელოვანი როლი ითამაშეს დევნილთა პრობლემების დროულად და წარმატებით მოგვარებაში. ამჟამად, ყველა ცენტრი ორგანიზებას უწევს საზოგადოების წევრების რეგულარულ შეხვედრებს ადგილობრივი ხელისუფლების წარმომადგენლებთან. ცენტრები ხელს უწყობენ მათ შორის დისკუსიებს, მუდმივი დიალოგის დამყარებასა და ურთიერთქმედებას.

ყოველივე ზემოთქმულის გარდა, ზრდასრულთა განათლების ცენტრები თავაზობენ ადეკვატურ და უსაფრთხო, თავისუფალ და ღია სივრცეს სხვა არასამთავრობო ორგანიზაციებს, საინიციატივო ჯგუფებს საზოგადოებაზე დაფუძნებული ყველა პროექტისთვის, ინფორმაციის გასაზიარებლად, შეხვედრების, სხვადასხვა საგანმანათლებლო აქტივობისა და ტრენინგის, ახალგაზრდული ინიციატივებისა და კონსულტაციების ჩასატარებლად.

DVV International-ის მხარდაჭერით, ზრდასრულთა განათლების ცენტრები ყოველწლიურად ზრდასრულთა განათლების ფესტივალს ატარებენ. ფესტივალი, ძირითადად, ოქტომბრის ბოლოს იმართება და უმეტეს შემთხვევაში, მასში ზრდასრულთა განათლების ყველა ცენტრი მონაწილეობს. ზოგიერთი ღონისძიება თბილისში ტარდება, მაგალითად, კონფერენცია

ზრდასრულთა განათლების შესახებ. თუმცა, უმეტესი ღონისძიება რეგიონებში, ზრდასრულთა განათლების ცენტრებში მიმდინარეობს. მათ შორისაა, კულტურული ღონისძიებები (ცეკვისა და სიმღერის კონცერტები), სპორტული შეჯიბრებები, ბენეფიციარების მიერ დამზადებული ხელნაკეთების გამოფენები, მასტერკლასები სხვადასხვა პროფესიულ კურსში, ფილმების ჩვენება. გარდა ამისა, ზრდასრულთა განათლების თითოეულ ცენტრში იმართება ბენეფიციარების დაჯილდოების ცერემონიალი ნომინაციებზე: „ყველაზე აქტიური ბენეფიციარი“, „ყველაზე ხნიერი ბენეფიციარი“, „ყველაზე პატარა ბენეფიციარი“, „ყველაზე აქტიური ოჯახი“, „საუკეთესო ტრენერი“ და სხვა.

4. გამოწვევები და მიღებული გამოცდილება

ბენეფიციარები

ზრდასრულთა განათლების ცენტრებში მიმდინარე აქტივობების მრავალფეროვნება განსხვავებული ასაკის, სქესისა და სოციალური სტატუსის მქონე პირებს იზიდავს. საგანმანათლებლო კურსებსა და სამოქალაქო ღონისძიებებში მონაწილეობა შეუძლია ნებისმიერი ასაკის ადამიანს. ეს ზრდის განათლების მიღების შესაძლებლობას შუა ხნის (40+) და ხნიერი (60+) ასაკის ჯგუფებისთვის, რომლებიც ასაკის გამო, როგორც წესი, სწავლისთვის ზედმეტად ხანდაზმულად მიიჩნევიან. ცენტრების წლიური ანგარიშები აჩვენებს, რომ ბენეფიციარების ასაკი 4-დან 87 წლამდე მერყეობს.



ზრდასრულთა განათლების ცენტრებში დაცულია გენდერული ბალანსიც. ცენტრები გენდერულ სტატისტიკას აწარმოებენ და ცდილობენ, დააბალანსონ ის

კურსები, რომლებიც უფრო აინტერესებთ ქალებსა და კაცებს. გენდერული კომპონენტის გათვალისწინება საგანმანათლებლო კურსების შეთავაზებისას განსაკუთრებით მნიშვნელოვანია ისეთ კულტურაში, სადაც გენდერული სტერეოტიპები მყარად არის ფესვგადგმული და ინდივიდების ყოველდღიურ ცხოვრებაზე ახდენს ზეგავლენას. მაგალითად, ახალციხესა და შაუმიანში ქალებს, თავდაპირველად, ხშირად მეუღლეებისგან სჭირდებოდათ თანხმობა, რომ ცენტრის სხვადასხვა აქტივობაში ჩართულიყვნენ. თუმცა, მას შემდეგ, რაც ზრდასრულთა განათლების ცენტრების მიმართ ნდობა გაიზარდა, საგანმანათლებლო და სხვა საჯარო ღონისძიებებში მონაწილეობის მიღება ქალებმა შეზღუდვების გარეშე დაიწყეს. ცენტრებმა ხელი შეუწყეს დასახლებებში გოგოებისა და ქალების გააქტიურებას და თემის სოციალურ და კულტურულ ცხოვრებაში ჩართვას.[21] ამჟამად, ცენტრებში ბენეფიციართა უმეტესობას ქალები წარმოადგენენ და სრული რაოდენობის 64%-ს შეადგენენ.

სოციალურად დაუცველი პირები მნიშვნელოვანია ზრდასრულთა განათლების ცენტრებისთვის. ცენტრებს გააჩნიათ ეთნიკურ და რელიგიურ უმცირესობებთან, ასევე, იგპ-ებთან მუშაობის გამოცდილება. როგორც ზემოთ იყო აღნიშნული, ევროკავშირის მიერ დაფინანსებული პროექტი ახალციხესა და ახალქალაქში ეთნიკური უმცირესობების ინტეგრაციას ისახავდა მიზნად. ამ ცენტრებში ეთნიკური უმცირესობების რიცხვმა 55%-ს მიაღწია, აქედან 33% - ახალციხეში, ხოლო, 85% - ახალქალაქში. ევროკავშირის მიერ დაფინანსებული შემდეგი პროექტი კოდაში, შაუმიანში, სენაკსა და ჯვარში იგპ-თა და ადგილობრივი მოსახლეობის ინტეგრაციაზე იყო ფოკუსირებული. ამ ცენტრებში, იგპ-თა რაოდენობამ 56% შეადგინა. ყოველწლიურად იზრდება ეთნიკური და რელიგიური უმცირესობებისა და დევნილთა ჩართულობა ცენტრების საქმიანობაში. 2020 წლისთვის ცენტრებში მათმა ჩართულობამ 27%-ს მიაღწია. ზრდასრულთა განათლების ცენტრებმა თავიანთი მოქმედების არეალი გააფართოვეს და კონკრეტულად რომელიმე სოციალურ ჯგუფზე არ არიან ორიენტირებული, თუმცა, განსაკუთრებული ყურადღება ეთმობა მოწყვლადი ჯგუფების მოზიდვასა და აქტივობებში ჩართვას. მაგალითად, ლელიანის ზრდასრულთა განათლების ცენტრში წარმოდგენილი არიან ეთნიკური უმცირესობები, კერძოდ, აზერბაიჯანელები, რომლებიც ბენეფიციართა 20%-ს შეადგენენ.

ბენეფიციართა სათანადო რაოდენობის შენარჩუნების მიზნით, ცენტრები ყველა თავიანთ პროგრამას, აქტივობას, გრაფიკსა და დღის წესრიგს რეგიონებში არსებულ სოციო-ეკონომიკურ მდგომარეობას არგებენ, განუვითარებელი

[21] Matthias Valentin. August 2008.External Evaluation of the project “The Adult Education Centers in Samtskhe-Javakheti – a Chance of Integration of Minorities.”

ინფრასტრუქტურისა და არასტაბილური ბაზრის მოთხოვნების გათვალისწინებით, რომლებიც ძალიან სწრაფად იცვლება. პრობლემების გადასაჭრელად, ზრდასრულთა განათლების ცენტრები საგანმანათლებლო კურსებს მაქსიმალურად ამრავალფეროვნებენ და ბენეფიციარებს ყოველწლიურად ახალ პროგრამებს სთავაზობენ. გარდა ამისა, ზრდასრულთა განათლების ცენტრები ცდილობენ, რომ ბენეფიციარები მეზობელი სოფლებიდან და/ან მუნიციპალიტეტებიდანაც მოიზიდონ (ცენტრის ადგილმდებარეობის გულმოდგინედ შერჩევის მნიშვნელობა წინა თავში იყო განხილული). მაგალითად, ლელიანის ზრდასრულთა და შაუმიანის სათემო განათლების ცენტრებში ბენეფიციარები მეზობელი მუნიციპალიტეტებიდან ჩამოდიან, ხოლო, ჯვარის სათემო განათლების ცენტრის ბენეფიციარები - ოკუპირებული აფხაზეთიდანაც კი.

განუვითარებელი ინფრასტრუქტურა ზღუდავს ბენეფიციარების დასწრებას ცენტრში. ის ფაქტი, რომ სატრანსპორტო მომსახურება სოფლებსა და მუნიციპალიტეტებს შორის არ არის სათანადოდ განვითარებული, ერთ-ერთი ყველაზე მნიშვნელოვანი ხელისშემშლელი ფაქტორია ცენტრებისთვის ბენეფიციარების მოზიდვისა და სამოქმედო არეალის გაფართოების მხრივ. ასეთ შემთხვევებში, ზრდასრულთა განათლების ცენტრების ადმინისტრაცია ბენეფიციარებისთვის ხელსაყრელ ადგილას ატარებს ტრენინგებს. მაგალითად, სენაკსა და შაუმიანში მასწავლებლებისთვის ტრენინგები რამდენჯერმე ზრდასრულთა განათლების ცენტრების ნაცვლად სენაკისა და შაუმიანის საჯარო სკოლებში ჩატარდა. რეკომენდებულია, ცენტრებს ჰქონდეთ მიკროავტობუსი, ბენეფიციარების საკმაოდ შორეული ადგილებიდან ზრდასრულთა განათლების ცენტრებში ჩამოსაყვანად.

ბენეფიციართა რაოდენობა ცენტრებში საკმაოდ მაღალია. 2006-2020 წლების განმავლობაში, ბენეფიციართა საერთო რაოდენობამ ყველა ცენტრში თითქმის 200 000-ს მიაღწია. ქვემოთ მოცემული ცხრილი გვიჩვენებს ბენეფიციართა რაოდენობას წლების მიხედვით. იქვე მითითებულია, თუ რამდენი ცენტრი ფუნქციონირებდა თითოეულ წელს. გარდა ამისა, ყოველი წლის შემდეგ ნაჩვენებია ზრდასრულთა განათლების რამდენი ცენტრი ფუნქციონირებდა შესაბამის წელს.



ბენეფიციართა რაოდენობის დინამიკის ასახსნელად საჭიროა რამდენიმე გარკვეული განმარტება:

- 2006 წელს დაიწყო ევროკავშირის დაფინანსებული პროექტი ახალციხესა და ახალქალაქში. ზრდასრულთა განათლების კონცეფცია მოსახლეობისთვის ახალი იყო, შესაბამისად, ბენეფიციართა რაოდენობა პროექტის პირველ წელს არ იყო მაღალი, მაგრამ, პროექტის განხორციელების მეორე და მესამე წლებში საგრძნობლად გაიზარდა, როდესაც ბენეფიციარებისთვის ყველა პროგრამა სრულიად უფასო იყო. 2009 წელს, როდესაც ევროკავშირის დაფინანსება დასრულდა, ბენეფიციართა რაოდენობა მკვეთრად შემცირდა ფონდების მოძიების არასაკმარისი პოლიტიკისა და ცუდი მენეჯმენტის შედეგად (უკვე განხილული მე-2 თავში).

- 2010 წელს, ევროკავშირის დაფინანსებული პროექტის ფარგლებში, დამატებით ოთხი ცენტრი დაარსდა, რითაც აიხსნება ბენეფიციართა რაოდენობის ზრდა იმავე წელს (კიდევ ერთხელ, ყველა კურსი უფასო იყო!) და ბენეფიციართა კლება 2011 წელს, როდესაც პროექტი დასრულდა. DVV International-ის სტრატეგია ცენტრების მომავალ მუშაობასთან მიმართებით წინა წარმატებებსა და წარუმატებლობებს

ემყარებოდა. ეს გულისხმობდა როგორც, ცენტრების რეგულარული შესაძლებლობების გაზრდის პროგრამებს (მენეჯმენტი, ფონდების მოძიება, საზოგადოებრივი ურთიერთობები და ა.შ.), ასევე, მხარდაჭერას დამოუკიდებლად ფუნქციონირებისთვის. „გარანტირებული“ დაფინანსების შეწყვეტის შემდეგ, ცენტრებს მოუწიათ, თავად მოეძებნათ დამატებითი სახსრები და ბენეფიციარები ფასიან კურსებზე მოეზიდათ. ცხრილი აჩვენებს, რომ ამ სირთულეების მიუხედავად, ზრდასრულთა განათლების ცენტრებმა ბენეფიციართა სტაბილური რაოდენობის შენარჩუნება შეძლეს.

- 2013-დან 2015 წლამდე ორი ცენტრი (ახალციხესა და ახალქალაქში) არ ფუნქციონირებდა. 2013 წელს ახალი ცენტრი გაიხსნა ლელიანში. ამრიგად, 2013 წლისთვის ცენტრების საერთო რაოდენობა ხუთს შეადგენდა.

- 2015 წელს კიდევ ორი ცენტრი გაიხსნა ქედასა და ჩოხატაურში, თუმცა, მათ აქტივობები დაიწყეს 2015 წლიდან.

- 2016 წელს მეათე ცენტრი დაარსდა ამბროლაურში. გარდა ამისა, ახალციხისა და ახალქალაქის ზრდასრულთა განათლების ცენტრები დარეგისტრირდნენ როგორც დამოუკიდებელი არასამთავრობო ორგანიზაციები და DVV International-მა განაახლა მათი ფინანსური მხარდაჭერა.

- კიდევ ორი ცენტრი გაიხსნა და საქმიანობა დაიწყო ხარაგაულში 2019 წელს და ხონში - 2020 წელს.

- ბოლნისის ზრდასრულთა განათლების ცენტრი გაიხსნა 2020 წელს და ფუნქციონირებას დაიწყებს 2021 წელს.

ადგილობრივ მუნიციპალიტეტებთან თანამშრომლობა

ზრდასრულთა განათლების ცენტრებისთვის ძალიან მნიშვნელოვანია ადგილობრივ თვითმმართველობებთან (მუნიციპალიტეტებთან) თანამშრომლობა. მუნიციპალიტეტებთან ერთობლივი პროგრამების განხორციელება და მათი მხრიდან ფინანსური მხარდაჭერა ცენტრების სტაბილურობისა და მდგრადობის ხელშემწყობი ფაქტორია.

როგორც წინა თავში იყო აღნიშნული, მუნიციპალიტეტებთან თანამშრომლობა, როგორც წესი, ხელშეკრულების გაფორმებით იწყება, რომლის საფუძველზე, მუნიციპალიტეტი ცენტრებს თავის საკუთრებაში მყოფი შენობების უფასოდ გამოყენების უფლებას აძლევს. ძალიან მნიშვნელოვანია მუნიციპალიტეტების პროცესებში თავიდანვე ჩართულობა, რათა მათ ზრდასრულთა განათლების ცენტრებში მიმდინარე პროცესებზე პასუხისმგებლობა იგრძნონ.

გარდა ამისა, DVV International-ი ორგანიზებას უწევს მუნიციპალიტეტების წარმომადგენლების სასწავლო ვიზიტს გერმანიაში, რომლის მიზანს ადგილობრივი სამთავრობო წარმომადგენლებისთვის მეტი ინფორმაციის მიწოდება წარმოადგენს. ვიზიტების ფარგლებში, სასწავლო ჯგუფის წევრები გერმანულ სახალხო უნივერსიტეტებს სტუმრობენ, ხვდებიან ადგილობრივი ხელისუფლების წარმომადგენლებს და ამ ორ ინსტიტუტს შორის არსებული ურთიერთობის სახეებს ეცნობიან.

დაბოლოს, ზრდასრულთა განათლების ცენტრები ადგილობრივ მუნიციპალიტეტებთან თანამშრომლობით საერთო პროექტებს ახორციელებენ. მას შემდეგ, რაც ზრდასრულთა განათლების ცენტრები დამოუკიდებლად მუშაობასა და პროექტების განხორციელებას იწყებენ, ფინანსური მხარდაჭერისთვის ადგილობრივ მუნიციპალიტეტებს მიმართავენ. მაგალითად, კოდის სათემო განათლების ცენტრმა თეთრიწყაროს მუნიციპალიტეტთან თანამშრომლობით, წარმატებით განახორციელა ორი პროექტი. პირველი პროექტი გულისხმობდა ტრენინგების ციკლს საჯარო სკოლების მასწავლებლებისთვის, რომლის ფარგლებში თეთრიწყაროს 28 სკოლის 284 მასწავლებელი გადამზადდა. კურსები სამი თვის განმავლობაში მიმდინარეობდა კოდაში, თეთრიწყაროს ადმინისტრაციულ ცენტრსა და მანგლისში. მეორე პროექტის ფარგლებში, თეთრიწყაროს მუნიციპალიტეტის ხუთ საბავშვო ბაღს კოდის სათემო განათლების ცენტრში დამზადებული ავეჯი გადაეცა.

შაუმიანის სათემო განათლების ცენტრის ადმინისტრაციამაც შეძლო მარნეულის მუნიციპალიტეტთან ერთობლივი პროექტების განხორციელება. რამდენადაც შაუმიანი ეთნიკური უმცირესობების წარმომადგენლებით არის დასახლებული, თემში ქართული ენის კურსებზე მოთხოვნაა. აღნიშნული კურსი 2012 წლიდან ყოველწლიურად ფინანსდება მარნეულის მუნიციპალიტეტის მიერ. გარდა ამისა, მუნიციპალიტეტის მხარდაჭერით, ცენტრში ქართული ხალხური ფოლკლორისა და ცეკვის კურსებიც მიმდინარეობს. სენაკის სათემო განათლების ცენტრმა ადგილობრივი მუნიციპალიტეტის ფინანსური მხარადჭერით, სოციალურ საწარმო (კენკროვნების წარმოება) დააფუძნა. ჯვარის სათემო განათლების ცენტრი ადგილობრივი თვითმმართველობის თანამშრომლებისთვის ტრენინგებს მუნიციპალიტეტის დაფინანსებით ატარებს.

ლელიანის ზრდასრულთა განათლების ცენტრის რამდენიმე პროექტიც ადგილობრივი თვითმმართველობის დახმარებით განხორციელდა.

ადგილობრივ მუნიციპალიტეტებთან მჭიდრო თანამშრომლობის დამყარება საკმაოდ რთული და შრომატევადი პროცესია. როგორც წესი, გარკვეული დროა საჭირო ადგილობრივი მუნიციპალიტეტების დასარწმუნებლად, რომ ზრდასრულთა განათლების მხარდაჭერით, ისინი ადგილობრივი მოსახლეობის დასაქმების შესაძლებლობებსაც ზრდიან და, შესაბამისად, ადგილობრივ განვითარებას უწყობენ ხელს. ცენტრების დირექტორები, DVV International-ის პროექტის მენეჯერებთან ერთად, ხშირად ხვდებიან თვითმმართველობის სტრუქტურების წარმომადგენლებს, იწვევენ ცენტრების მიერ ორგანიზებულ ღონისძიებებზე, ბენეფიციარებთან დისკუსიებზე, წარმატების ისტორიების პრეზენტაციებზე და ა.შ. ეს ყველაფერი ცხადყოფს, რომ თანამშრომლობა სასარგებლოა არა მხოლოდ ზრდასრულთა განათლების ცენტრებისთვის, არამედ ადგილობრივი მუნიციპალიტეტებისთვისაც. დღესდღეობით, მუნიციპალიტეტებისთვის უკვე პრესტიჟულია, რომ მათ რეგიონში ფუნქციონირებს ზრდასრულთა განათლების ცენტრი. როგორც წესი, ცენტრები მუნიციპალიტეტების PR-ის ნაწილს წარმოადგენს.

ფონდების მოძიება

თავიანთი საქმიანობის წარმატებით გაგრძელების მიზნით, ზრდასრულთა განათლების ცენტრები მუდმივად ეძებენ დამატებითი დაფინანსების შესაძლებლობებს. DVV International-ი, ადგილობრივი მუნიციპალიტეტები, დონორი ორგანიზაციები და ფასიანი კურსების სისტემა ზრდასრულთა განათლების ცენტრების დაფინანსების ძირითადი წყაროებია, რაც ქვემოთ იქნება განხილული.

DVV International-ი ზრდასრულთა განათლების ცენტრების დაფინანსებას კვლავაც აგრძელებს. ფინანსური მხარდაჭერა, ძირითადად, ინსტიტუციურ, ადმინისტრაციულსა და მცირე პროგრამულ ხარჯებს ფარავს. უნდა აღინიშნოს, რომ ზრდასრულთა განათლების ცენტრების დაფინანსება ძალიან ეფექტურია. მაგალითად, DVV International-ის მიერ 12 ცენტრის ფინანსურმა მხარდაჭერამ 2020 წლისთვის 194000 ევრო შეადგინა (საშუალოდ, 16.000 ევრო თითო ცენტრისთვის).

ფინანსური მხარდაჭერა DVV International-ისგან 2011-2020 წლებში (ევრო)



დონორების უმეტესობა უფრო ადვილად აფინანსებს პროგრამის ხარჯებს, როდესაც ხელფასები და ინფრასტრუქტურული ხარჯები უკვე დაფარულია. დიაგრამა წარმოადგენს DVV International-ის მიერ ცენტრების დაფინანსების ოდენობას 2011-დან 2020 წლამდე. მიუხედავად იმისა, რომ DVV International-ის მთლიანი დაფინანსება წლების განმავლობაში მეტ-ნაკლებად უცვლელია, ცენტრების რაოდენობა იზრდება და, შესაბამისად, მცირდება დაფინანსება თითოეული ცენტრისთვის. დაფინანსება „როტაციის“ სისტემით მიმდინარეობს. ახალი „უფრო ახალგაზრდა“ ცენტრების დაფინანსება უფრო ადრე დაარსებული ცენტრების ხარჯების შემცირებით ხდება. DVV International-ის ფინანსური მხარდაჭერით, ცენტრებს ინსტიტუციური ხარჯებისთვის დაფინანსება გარანტირებული აქვთ. ეს მათ შესაძლებლობას აძლევს, გააგრძელონ მუშაობა და საგანმანათლებლო თუ სხვა აქტივობებისთვის დამატებითი სახსრები მოიძიონ. დონორების უმეტესობა სწორედ პროგრამულ ხარჯებს აფინანსებს და არა ხელფასებსა და ინფრასტრუქტურულ ხარჯებს.

ცენტრების დაფინანსების შემდეგი წყარო ადგილობრივი მუნიციპალიტეტია. როგორც წინა თავში იყო განხილული, რამდენიმე ცენტრმა მიიღო ფინანსური მხარდაჭერა მუნიციპალიტეტებისგან.

ფინანსური მხარდაჭერა ადგილობრივი მუნიციპალიტეტებისგან 2013-2020 წლებში (ევრო)



DVV International-ისა და ადგილობრივი მუნიციპალიტეტების გარდა, ზრდასრულთა განათლების ცენტრები ფინანსური მხარდაჭერის მოპოვებას დონორი ორგანიზაციებისგან და სხვა სახელმწიფო ინსტიტუტებისგანაც ცდილობენ. ადგილობრივ და საერთაშორისო ორგანიზაციებთან კონტაქტების დამყარება ზრდასრულთა განათლების ცენტრებისთვის მნიშვნელოვანი ნაბიჯია. ზრდასრულთა განათლების ცენტრების ძირითად დონორებს წარმოადგენენ: Action Against Hunger (ACF), გაეროს განვითარების პროგრამა (UNDP), გაეროს ბავშვთა ფონდი (UNICEF), გაეროს ლტოლვილთა უმაღლესი კომისარიატი (UNHCR), გერმანიის საელჩო საქართველოში, აშშ-ს საელჩო საქართველოში, ღია საზოგადოება საქართველო (OSGF), გადავარჩინოთ ბავშვები, კულტურის ფერები (პოლონეთი), ვესტმინსტერის დემოკრატიის ფონდი, მშვიდობის კორპუსი საქართველოში, საქართველოს იუსტიციის სამინისტრო, საქართველოს განათლების, მეცნიერების, სპორტისა და კულტურის სამინისტრო, ახალგაზრდა ეკონომისტთა ასოციაცია, სამხრეთ ოსეთის დროებითი ადმინისტრაცია, საქართველოს სტრატეგიისა და საერთაშორისო ურთიერთობების კვლევის ფონდი (GFSIS), საქართველოს სტრატეგიული კვლევებისა და განვითარების ცენტრი (CSRDG).

დამატებითი ფინანსური წყაროების შექმნის მიზნით, ცენტრებმა დაიწყეს ფასიანი კურსები და შემოიღეს „თანადაფინანსების სისტემა“. მათ ბენეფიციარებს რამდენიმე ფასიანი კურსი შესთავაზეს. კურსების უმეტესობის ღირებულება შეადგენს 20 ლარს (5 €).

თანადაფინანსების სისტემის ფარგლებში, ბენეფიციარები უფრო მეტ პასუხისმგებლობას გრძნობენ თავიანთი საგანმანათლებლო პროცესის მიმართ. კურსებიდან მიღებული შემოსავალი კურსებისთვის საჭირო მასალების შეძენას ხმარდება. მიუხედავად იმისა, რომ კურსების ფასები საკმაოდ დაბალია, უმუშევრობის მაღალი დონისა და ბენეფიციართა მძიმე ეკონომიკური პირობების გამო, თანადაფინანსების სისტემა ყველა ცენტრში სირთულეებს წააწყდა.



გარდა ამისა, ზრდასრულთა განათლების ზოგიერთი ცენტრი შეხვედრების ოთახებსა და ტექნიკურ აღჭურვილობას აქირავებს. რამდენადაც დასახლებებში არ არსებობს მსგავსი ტიპის მომსახურება, ცენტრების რესურსებს აქტიურად იყენებენ ადგილობრივი თუ საერთაშორისო ორგანიზაციების წარმომადგენლები იმავე ქალაქებიდან/სოფლებიდან შეხვედრებისა და სხვა ღონისძიებების ჩასატარებლად. სივრცისა და ტექნიკის გარდა, ორგანიზაციებს ღონისძიებების ჩასატარებლად ხშირად დამატებითი პერსონალი სჭირდებათ, რისთვისაც ცენტრების თანამშრომლებს ასაქმებენ.

უნდა აღინიშნოს, რომ ფონდების მოძიება ამ დრომდე ცენტრებისთვის ერთ-ერთ მთავარ პრობლემად რჩება. ეს პრობლემა განსაკუთრებით მწვავედ ცენტრების დამოუკიდებლად მუშაობის საწყის ეტაპზე დგას, როდესაც მათ გრანტების მოპოვების გამოცდილება არ გააჩნიათ. გამოცდილების გარდა, ფონდების მოძიების პროცესში, მნიშვნელოვან როლს კონტაქტების დამყარება თამაშობს.

უკვე არსებული არასამთავრობო ორგანიზაციის ბაზაზე ზრდასრულთა განათლების ცენტრის დაარსება (III მოდელი) ზევით აღწერილ პრობლემას მნიშვნელოვნად ამცირებს. მესამე მოდელის შემთხვევაში, არსებულ ორგანიზაციას კონტაქტები უკვე დამყარებული აქვს მუნიციპალიტეტებთან, სხვა ადგილობრივ და დონორ ორგანიზაციებთან. გარდა ამისა, ცენტრების არსებობისთვის სასიცოცხლოდ მნიშვნელოვანია საგრანტო განაცხადების წერისა და ფონდების მოძიების გამოცდილება, რაც მათ სტაბილურობას ზრდის. პირველი და მეორე მოდელის მიხედვით, დაარსებული ზრდასრულთა განათლების ცენტრები, გამოცდილებას იღებენ კონტაქტების დამყარებასა და ფონდების მოძიებაში. თუმცა, ამისთვის მეტი დრო სჭირდებათ.

სოციალური საწარმოები

DVV International-ის მიერ საქართველოში ცენტრების მდგრადობისა და დამოუკიდებლობის უზრუნველსაყოფად, 2017-2020 წლებში შემუშავდა და განხორციელდა ახალი ინიციატივა. გერმანიის ეკონომიკისა და განვითარების სამინისტროსა (BMZ) და ევროკავშირის ფინანსური მხარდაჭერით, 12 სოციალური საწარმო დაარსდა ახალქალაქში, ახალციხეში, ამბროლაურში, ჩოხატაურში, ჯვარში, სენაკში, ქედაში, კოდაში, ლელიანში, ხარაგაულში, ბოლნისსა და ხონში.

სოციალური საწარმო „უნივერსალური ხელოსანი“ კოდაში, ამზადებს მეტალო-პლასტმასის კარ-ფანჯრებს. დაარსებამდე, აღნიშნული მომსახურება არ იყო ხელმისაწვდომი თეთრიწყაროს მუნიციპალიტეტში და მოსახლეობას შეკვეთების მიღება და მასალების ჩამოტანა დედაქალაქიდან უწევდათ. კიდევ ერთი მიმართულებაა ქართული ტრადიციული სუვენირების წარმოება.

სოციალური საწარმო “Coffee Time” ჯვარში, მცირე ზომის კაფეა, რომელიც მომხმარებელს ყავას, ევროპულ ორცხობილებსა და ქართულ საკონდიტრო ნაწარმს სთავაზობს. საწარმო დაარსდა სვანეთის მთავარ ტურისტულ მარშრუტზე, რომელსაც მთელი წლის განმავლობაში სტუმრობენ ტურისტები მსოფლიოს ყველა კუთხიდან.

სოციალური საწარმო „ხელნაკეთობების სტუდია“ მთელი ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის მოსახლეობას სამკერვალო, მოდის დიზაინისა და სამოდელო მომსახურებას, მათ შორის, ფორმების, ყოველდღიური ტანსაცმლის, საქორწილო და სადღესასწაულო კოსტუმების შეკერვას სთავაზობს. ჯერჯერობით, ეს მომსახურება ერთადერთია ჩოხატაურში.

ახალციხის სოციალური საწარმო, “@65”, სოციალური კაფეა, რომელიც 2020 წელს გაიხსნა. კაფე ტურისტებს ტრადიციულ საკვებსა და ადგილობრივი მხატვრების, ფოტოგრაფების, პოეტების და ა.შ. საგამოფენო ადგილს სთავაზობს.

სოციალური საწარმო „ლელის თაფლი“ ლელიანში ემსახურება თაფლის წარმოებასა და შეფუთვას. ეს ერთ-ერთი ყველაზე სწრაფად მზარდი სოფლის მეურნეობის პროდუქტია, რომელსაც სტაბილური შემოსავალი და შემდგომი განვითარებისთვის კარგი პერსპექტივები აქვს. ყოველწლიურად, „ლელის თაფლი“ დაახლოებით 500 კგ თაფლს აწარმოებს და ადგილობრივ ბაზარზე და თბილისში ყიდის. „ლელის თაფლი“ იყიდება ჯვარის სოციალურ საწარმოში “Coffee Time”.

სოციალური საწარმო „თქვენზე მორგებული“ სამკერვალო საამქროა ქედაში, რომელიც ემსახურება მთიანი აჭარის მოსახლეობას.

ამბროლაურში არსებული სოციალური საწარმო „ჩუქურთმა“ ორიენტირებულია ხის სუვენირებისა და ავეჯის წარმოებაზე, რაჭული ტრადიციული ორნამენტების გამოყენებით.

ახალქალაქში არსებული სოციალური საწარმო „მარტივი“ აწარმოებს ხალიჩებს უნიკალური ტექნიკითა და შეღებვის მეთოდებით.

სოციალური საწარმო სენაკში, „დაბეჭდე გემოვნებით“ ადგილობრივ მოსახლეობას პოლიგრაფიული მომსახურებით უზრუნველყოფს.

ხარაგაულის სოციალური საწარმო ორიენტირებულია ავტომობილების შეკეთებაზე, მათ შორის, კომპიუტერულ დიაგნოზზე.

ხონის სოციალურ საწარმოს „ურბანული არტი“ აქვს სამი მიმართულება: სამკერვალო საამქრო, ავეჯის წარმოება და შედუღების საამქრო.

ბოლნისის სოციალური საწარმოს „გაუსინჯე გემო“ მოსახლეობა სამზარეულოს და საკონდიტრო ნაწარმით მოამარაგებს.

ზემოთ აღნიშნულ ინიციატივას რამდენიმე მნიშვნელოვანი შედეგი აქვს:

- სოციალური საწარმოები დამატებით სამუშაო ადგილებს ქმნიან სოციალურად დაუცველი ჯგუფებისთვის. ამ დროისთვის, სოციალურ საწარმოებში 30 ადამიანი (დევნილები, მარტოხელა დედები, ქალები -

გენდერული ძალადობის მსხვერპლები, დიდი ხნის განმავლობაში უმუშევრები) მუშაობენ;

- სოციალური საწარმოების შემოსავლის ნაწილი ხმარდება საგანმანათლებლო აქტივობებს, რომელთაც ზრდასრულთა განათლების ცენტრები ახორციელებენ, რაც მათ შესაძლებლობას აძლევს უფასოდ შესთავაზონ სასწავლო კურსები სოციალურად დაუცველ მოსახლეობას, რომელსაც არ აქვს გადახდის საშუალება;
- არსებობს ნიშნები, რომლებიც მიუთითებს იმაზე, რომ სოციალურ საწარმოებს შეუძლიათ გააძლიერონ ეკონომიკური აქტივობები მიზანმიმართულ რეგიონებში და ხელი შეუწყონ ახალი (დამხმარე) ბიზნესის დაწყებას საზოგადოების სხვა წევრების მიერ. მაგალითად, კოდაში უკვე გაჩნდა ტრანსპორტირების მომსახურების შეთავაზების იდეა ხალხის ჯგუფისგან, რაც უზრუნველყოფს „უნივერსალური მასტერი“-ს მიერ წარმოებული კარ-ფანჯრების მიწოდებას მომხმარებლებისთვის;
- სოციალური საწარმოების დაარსება ხელს უწყობს თავად სოციალური საწარმოს კონცეფციის შემუშავებას, რაც ჯერ კიდევ არ არის კარგად განვითარებული და ბოლომდე გაგებული საქართველოში.

გერმანიის სახალხო უნივერსიტეტებთან თანამშრომლობა

როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, საქართველოში ზრდასრულთა განათლების ცენტრების დაფუძნება გერმანული სახალხო უნივერსიტეტების გამოცდილებას ემყარება. ამიტომ, გერმანულ სახალხო უნივერსიტეტებსა და ქართულ ზრდასრულთა განათლების ცენტრებს შორის თანამშრომლობის დამყარება DVV International-ისთვის ყოველთვის პრიორიტეტს წარმოადგენდა.

თანამშრომლობა 2006 წელს დაიწყო, როდესაც საქართველოს ზრდასრულთა განათლების პირველი ორი ცენტრის წარმომადგენლები ზრდასრულთა განათლების ცენტრების მენეჯმენტისა და ზრდასრულთა განათლებაში გერმანული გამოცდილების გაცნობის მიზნით, რეგენის სახალხო უნივერსიტეტს ეწვივნენ. მას შემდეგ, თანამშრომლობის სხვა მიმართულებები შემუშავდა:

სასწავლო ვიზიტები

საქართველოში ზრდასრულთა განათლების ახლადდაარსებული სკოლებისა და ადგილობრივი მუნიციპალიტეტების წარმომადგენლებისთვის რეგულარულად ტარდება სასწავლო ვიზიტები გერმანიის სახალხო უნივერსიტეტებში. სასწავლო ვიზიტებმა ზრდასრულ განმანათლებელთა შესაძლებლობები განავითარა და

ზრდასრულთა განათლების ევროპულ გამოცდილებასთან და ღირებულებებთან დაახლოვა. ამავე დროს, საქართველოს ადგილობრივი თვითმმართველობის სტრუქტურების წარმომადგენლებს საშუალება ჰქონდათ შეხვედროდნენ თავიანთ გერმანელ კოლეგებს, რომ მიეღოთ ინფორმაცია ადგილობრივი მოსახლეობისა და თემებისთვის სახალხო უნივერსიტეტების მნიშვნელობისა და უპირატესობების, გერმანიაში სახალხო უნივერსიტეტების ფინანსური მხარდაჭერის შესახებ და ა.შ. დღეისთვის, შემდეგი სასწავლო ვიზიტები იყო ორგანიზებული: მანსფელდ-ზიუდჰარცის, ჰარცის, ზაალეკრაისის ოლქისა და რეგენის, აისლებენის, ჰეტშტედტისა და ზირსლებენის სახალხო უნივერსიტეტებში.

გამოცდილებისა და ცოდნის გაზიარება

ზრდასრულთა განმანათლებლების პროფესიონალიზმის მუდმივად ამაღლების მიზნით, DVV International-ის საქართველოს ოფისი ყოველწლიურად ახორციელებს საზაფხულო აკადემიებს ზრდასრულთა განათლების პრაქტიკოსებისთვის. ამ ღონისძიებებზე ევროპელი ექსპერტების მოწვევით ზრდასრულთა განმანათლებლებს საშუალება აქვთ გაეცნონ ზრდასრულთა განათლების თანამედროვე ტენდენციებს, სწავლებისა და სწავლის ინოვაციურ მეთოდოლოგიას, ახალ მასალებს, რომლებსაც სახალხო უნივერსიტეტები იყენებენ გერმანიაში. ვაიმარის სახალხო უნივერსიტეტის ყოფილმა დირექტორმა, ოლგა ვიცტუმმა საზაფხულო აკადემიის მონაწილეებისთვის საქართველოში ტრენინგები ჩაატარა სახალხო უნივერსიტეტის მარკეტინგისა და მენეჯმენტის საკითხებზე. ღონისძიებაში მონაწილეობდნენ ზრდასრულთა განმანათლებლები სომხეთიდან, აზერბაიჯანიდან, საქართველოდან, უკრაინიდან, მოლდოვიდან, ტაჯიკეთიდან და თურქეთიდან. მანსფელდ-ზიუდჰარცის ოლქის სახალხო უნივერსიტეტის დირექტორმა და საგანმანათლებლო კომპონენტის მენეჯერმა ტრენინგები ჩაატარა საქართველოსა და სომხეთის ზრდასრულთა განათლების ცენტრების წარმომადგენლებისთვის ფონდების მოძიების, მარკეტინგისა და საზოგადოებასთან ურთიერთობების სტრატეგიაში.

გამოფენები და პრეზენტაციები

საქართველოში ზრდასრულთა განათლების ცენტრების მდგომარეობის შესახებ ცნობიერების ამაღლების მიზნით, DVV International-ი ორგანიზებას უწევს გამოფენებსა და პრეზენტაციებს გერმანიის სხვადასხვა რეგიონში. ევროკავშირისა და გერმანიის ეკონომიკისა და განვითარების სამინისტროს

(BMZ) მიერ დაფინანსებული პროგრამების ფარგლებში, სახალხო უნივერსიტეტებში მოეწყო ცენტრების ბენეფიციარების ხელნაკეთებისა და ფოტოების გამოფენები. ამავე დროს, ლექციები ჩატარდა საქართველოს ისტორიისა და კულტურის შესახებ ცნობილი ქართველი მწერლების, კულტურის ექსპერტებისა და DVV International-ის თანამშრომლების მიერ. პროგრამაში ჩართული იყვნენ გისენის, ვოლფსბურგის, ნაუმბურგ-ვაისენფელსის, აპოლდას, ბრაუნშვაიგისა და ნიურნბერგის სახალხო უნივერსიტეტები.

საქართველოს ზრდასრულთა განათლების ცენტრებისა და გერმანულ სახალხო უნივერსიტეტებს შორის კოოპერაციის გაზრდის მიზნით, DVV International-ი მხარს უჭერს ერთობლივ ინიციატივებსა და პროგრამებს. 2013 წელს საქართველოს ოთხი ზრდასრულთა განათლების ცენტრის მენეჯერები მანსფელდ-ზიუდჰარცის ოლქის სახალხო უნივერსიტეტის პროგრამაში მონაწილეობდნენ.[22] იმავე წელს, საქართველოს ეწვივნენ მანსფელდ-ზიუდჰარცის ოლქის სახალხო უნივერსიტეტის წარმომადგენლები და საქართველოსა და სომხეთის ზრდასრულთა განმანათლებლებისთვის განკუთვნილ სამუშაო შეხვედრაში მიიღეს მონაწილეობა. ვორქშოპის დროს, დაიგეგმა პირველი ერთობლივი გერმანულ-ქართული პროექტი. 2014 წელს მანსფელდ-ზიუდჰარცისა და კოდის სათემო განათლების ცენტრებმა ერთობლივი პროექტი განახორციელეს. შეხვედრის დროს მანსფელდ-ზიუდჰარცის სახალხო უნივერსიტეტმა და კოდის სათემო განათლების ცენტრმა ერთობლივი პროექტი დაგეგმეს სახელწოდებით „აღმოაჩინე საქართველო“. კოდის სათემო განათლების ცენტრმა შეიმუშავა პროგრამა ყოფილი მასწავლებლებისთვის გერმანიიდან, რომლებიც საქართველოს სხვადასხვა რეგიონს ესტუმრნენ. პროგრამა მოიცავდა ვიზიტებს საქართველოს ზრდასრულთა განათლების ცენტრებში, ბენეფიციარებთან შეხვედრებსა და მათი პროგრამების გაცნობას, თბილისში გერმანული სკოლის მასწავლებლებთან შეხვედრებსა და ექსკურსიებს საქართველოს რეგიონებში ადგილობრივი ისტორიისა და ტრადიციების გაცნობის მიზნით. ამ პროგრამის განხორციელებამ არა მხოლოდ ხელი შეუწყო თანამშრომლობას საქართველოსა და გერმანიის საგანმანათლებლო დაწესებულებებს შორის, არამედ, დაეხმარა კოდის სათემო განათლების ცენტრის ორგანიზაციულ განვითარებასა და მისი მუშაობის ახალი მიმართულებით გაუმჯობესებასაც.

DVV International-ის საქართველოს ოფისი ქართული ზრდასრულთა განათლების ცენტრებისა და გერმანული სახალხო უნივერსიტეტებს შორის ურთიერთობის განვითარებისა და გაღრმავების ხელშეწყობას საქართველოს

[22] http://www.vhs-sgh.de

ზრდასრულთა განათლების ქსელთან (GAEN) ერთად აგრძელებს, რომელიც 2014 წელს დაარსდა და ამჟამად ზრდასრულთა განათლების ყველა ცენტრს აერთიანებს.

მოხალისეობრივი პროგრამის განვითარება

ზრდასრულთა განათლების ცენტრებმა განავითარეს და სხვადასხვა აქტივობას ახორციელებენ მოხალისეობრივი პროგრამის ფარგლებში. მათი გაძლიერებით, ზრდასრულთა განათლების ცენტრები მოხალისეობის კულტურას ამკვიდრებენ, ამაღლებენ თანამშრომელთა გამოცდილებას, ადგილობრივი მოსახლეობის სამოქალაქო თვითშეგნებასა და მათ ჩართულობას საზოგადოების ცხოვრებაში.

ზრდასრულთა განათლების ცენტრებში რამდენიმე მოხალისეობრივი პროგრამა ხორციელდება:

- მშვიდობის კორპუსი საქართველოში[23]
- გლენის პროგრამა[24]
- EVS-ის პროგრამა[25]
- ASA[26]

ზემოთ ჩამოთვლილი პროგრამების ფარგლებში, მოხალისეები ახალი ზელანდიიდან ირლანდიამდე, გერმანიიდან აშშ-მდე მონაწილეობენ ღონისძიებებში და ორგანიზებას უწევდნენ სხვადასხვა აქტივობას ზრდასრულთა განათლების ცენტრებში. უცხოელი მოხალისეები, ძირითადად, ენის კურსებსა და ახალგაზრდულ პროგრამებში იყვნენ ჩართული. მაგალითად, ახალგაზრდული პროგრამის ფარგლებში, 2011 წელს, ჯვარის სათემო განათლების ცენტრში უცხოელმა მოხალისეებმა გადაამზადეს 10 ლიდერი, რომლებმაც შემდეგ მუშაობა ახალგაზრდებთან განაგრძეს.

ზრდასრულთა განათლების ცენტრების ცხოვრებაში უცხოელი მოხალისეების ჩართულობამ განსხვავებული პერსპექტივა და საერთაშორისო ატმოსფერო შემოიტანა. გარდა ამისა, ისინი ცენტრების ახალგაზრდა ბენეფიციარებისთვის მაგალითები არიან, რომლებიც მათი სახით ხედავენ, თუ რა მნიშვნელოვანია მოხალისეების ჩართულობა და რამდენად საჭიროა მათი წვლილი საზოგადოების განვითარების პროცესში. ზემოხსენებული ფაქტი ასევე

[23] http://www.peacecorps.gov/
[24] http://glen-europe.org/
[25] http://europeanvoluntaryservice.org/
[26] http://www.swimming.org/asa/volunteering

მნიშვნელოვანია იმ თვალსაზრისით, რომ საქართველოში მოხალისეობრივი პრაქტიკა კარგად არ იყო განვითარებული და მოხალისეებს ძირითადად, უცხოელები წარმოადგენდნენ.

ზრდასრულთა განათლების ცენტრებში ქართველი მოხალისეებიც არიან, რომლებიც ცენტრების თანამშრომლებს ეხმარებიან. კოდის სათემო განათლების ცენტრში 100 მოხალისე გადამზადდა, რომელთაც ტრენინგები ჩაუტარდათ თემებზე: სამოქალაქო ჩართულობა, აქტიური მოქალაქეობა, პროექტის წერა და ა.შ. ამავე პროექტის ფარგლებში, შეიქმნა მოხალისეების ელექტრონული ბაზა. ლელიანის ზრდასრულთა განათლების ცენტრს აქვს ადგილობრივი მოხალისეების ქსელი, რომლებიც ძალიან წარმატებულად მუშაობენ ათზე მეტ სხვადასხვა პროექტზე, მათ შორის, საზოგადოების მობილიზაციისა და ადვოკატირების ინიციატივებზე, ინფრასტრუქტურის განვითარებაზე, კულტურულ ღონისძიებებზე და ა.შ.

საერთაშორისო და ადგილობრივი მოხალისეების ჩართულობით, სენაკის ზრდასრულთა განათლების ცენტრი ახორციელებს მრავალწლიან პროექტს „ჯანსაღი ცხოვრება“ ახალგაზრდებისა და ახალგაზრდების ლიდერებისთვის.

2015-2016 წლებში ცენტრების დაახლოებით 40 მოხალისე ჩართული იყო ევროკავშირის მიერ დაფინანსებულ პროექტში, რომელსაც DVV International-ი ახორციელებდა და რომელიც ხნიერ ადამიანთა მხარდაჭერას გულისხმობდა.

მიღწევები და საუკეთესო პრაქტიკები

ზრდასრულთა განათლების ცენტრების ერთ-ერთი ძირითადი მიღწევა დასაქმებულ ბენეფიციართა მაღალი რიცხვია, რომლებიც დასაქმდნენ, თვითდასაქმდნენ, დაწინაურდნენ ან სამუშაო ადგილის შენარჩუნება ზრდასრულთა განათლების ცენტრების პროფესიული და პიროვნული განვითარების კურსების დახმარებით შეძლეს. ცენტრების გამოცდილება აჩვენებს, რომ პროფესიული კურსების შეთავაზება განსაკუთრებით ხელსაყრელია დასაქმებისთვის. ზოგიერთ პროფესიაზე ძალიან დიდი მოთხოვნაა დასახლებებში. ცენტრების მიერ შემოთავაზებული მოკლევადიანი პროფესიული და პიროვნული განვითარების კურსები დასაქმების შესაძლებლობას უქმნის მათ, ვისაც კონკრეტული მიზნები და მცირე დრო აქვს ახალი უნარების ათვისებისთვის.

ცენტრების სტატისტიკური მონაცემების ანალიზი აჩვენებს, რომ ბენეფიციართა

დაახლოებით 8% ზრდასრულთა განათლების ცენტრებში კურსების გავლის შემდეგ საქმდება. ქვეყანაში არსებული უმუშევრობის მაღალი დონის გათვალისწინებით, ეს მაჩვენებელი საკმაოდ დიდი მიღწევაა ზრდასრულთა განათლების ცენტრებისთვის.

ზრდასრულთა განათლების ცენტრები უკეთესი ცხოვრებისა და საარსებო წყაროს ძიებაში ბევრ ინდივიდსა და ოჯახს დაეხმარა, მაგრამ, ალბათ, ყველაზე მნიშვნელოვანი შედეგი ის არის, რომ ამან იმედი და ნდობა გაუჩინა ადამიანებს, რომელთაც მომავლის რწმენა დაკარგული ჰქონდათ. ხელი შეუწყო მოქალაქეთა კეთილდღეობის გაუმჯობესებასა და მათი ცხოვრების ხარისხის ამაღლებას, რაც იმაში გამოიხატება, რომ დაუცველი თემი უფრო აქტიური, ცოცხალი და ენერგიული ხდება.

ცენტრები დამაკავშირებელ რგოლად იქცა სხვა სამთავრობო თუ არასამთავრობო ორგანიზაციებსა და ადგილობრივ მოსახლეობას შორის. მუნიციპალიტეტისა და სხვა ადგილობრივი თუ საერთაშორისო ორგანიზაციების წარმომადგენლები, რომლებიც ამ დასახლებებში ახორციელებენ პროექტებსა და აქტივობებს, მოსახლეობის შესახებ საჭირო ინფორმაციის მოსაპოვებლად და/ან ადგილობრივების მობილიზაციისთვის ხშირად მიმართავენ ცენტრებს. ზრდასრულთა განათლების ცენტრები სხვა სტრუქტურებისთვის სტაბილურ ორგანოებს წარმოადგენენ, რომელთაც შეუძლიათ, თემში არსებული სიტუაციის შესახებ კონსულტაცია გაუწიონ მათ და ადგილობრივ მოსახლეობასთან დააკავშირონ.

ცენტრებმა მნიშვნელოვანი როლი ითამაშეს სხვადასხვა სოციალური ჯგუფის დაახლოების პროცესში. გარდა ეთნიკური უმცირესობებისა და იგპ-ებისა (რომელთა ინტეგრაციასაც ევროკავშირის პროექტები პირდაპირ ითვალისწინებდა), დისტანციის შემცირება და კავშირების გამყარება მოხდა ასაკობრივ ჯგუფებს, სხვადასხვა სოციალური სტატუსის მქონე პირებსა და რელიგიურ უმცირესობებს შორის. ცენტრებში ასევე ხდება ქალთა გაძლიერება და სოციალურად დაუცველი, განსაკუთრებული საჭიროების მქონე პირების აქტივობებში ჩართულობაც. საგანმანათლებლო კურსებს სხვადასხვა სოფლისა და მუნიციპალიტეტის წარმომადგენლებიც ერთობლივად ესწრებიან. ცენტრები ხშირად ერთ–ერთი საუკეთესო ადგილი და საშუალებაა სხვადასხვა სოციალურ ჯგუფს შორის ინტეგრაციისთვის. ცენტრების ერთობლივი და ინტერაქციული აქტივობები ხიდს აგებს ამ ჯგუფებს შორის და მათ კავშირს ამყარებს. შესაბამისად, საგანმანათლებლო აქტივობები სხვადასხვა სოციალური ჯგუფის წევრების ინტეგრაციის საუკეთესო საშუალებაა.

საგანმანათლებლო აქტივობებს რეკრეაციული ფუნქცია აქვს იგპ-თათვის.

პროექტის ფარგლებში, DVV International-ისთვის გამოწვევა იყო კონფლიქტის შედეგად ტრავმირებულ ბენეფიციარებთან მუშაობა. საზოგადოებაში, სადაც ადამიანებს ომის გამოცდილება აქვთ, საკუთარი სახლ-კარის დატოვება და ცხოვრებისეული გეგმების შეცვლა მოუხდათ, არ აქვთ შემოსავალი და საარსებო მოთხოვნილებების დასაკმაყოფილებლად ბრძოლა ყოველდღიურად უწევთ, საგანმანათლებლო ღონისძიებების შეთავაზება ერთგვარი რისკი იყო. თუმცა, კოდის, შაუმიანის, სენაკისა და ჯვარის სათემო განათლების ცენტრების წარმატება იმის დასტურია, რომ ტრავმირებული ადამიანებისთვის საგანმანათლებლო აქტივობების შეთავაზება არა მხოლოდ შესაძლებელი, არამედ რეკომენდებულიცაა. საგანმანათლებლო პროგრამებში ჩართულობა ქმნის გარკვეულ სტრუქტურას ბენეფიციარების ყოველდღიური ცხოვრებისთვის და აძლევს მათ „ნორმალურ“ ცხოვრებაში დაბრუნების განცდას.

გარდა ამისა, ცენტრები დასახლებებში სოციალური და კულტურული აქტივობების ეპიცენტრებად იქცნენ. იმ ლოკაციებში, სადაც ცენტრებია წარმოდგენილი, ძირითად შემთხვევებში, სოციალური ცხოვრება აქტიური არ არის, ამიტომ, ცენტრები მოსახლეობის თავშეყრის, ინფორმაციის გაცვლისა და სხვადასხვა საჯარო ღონისძიებაში ჩართულობის შესაძლებლობა ხდება. ზრდასრულთა განათლების ცენტრები პოზიტიური ენერგიის რესურსი ხდებიან, რომლის გარშემოც იცვლება ხალხის დამოკიდებულებები, თემები ბევრად უფრო ცოცხალი, ხალისიანია და გარშემო მეტი გაღიმებული სახეა.[27]

დაბოლოს, ცენტრები იქცა ერთ-ერთ მნიშვნელოვან ორგანოდ, რომელიც ადგილობრივ საზოგადოებაში სამოქალაქო აქტივიზმის განვითარებაზე დიდ გავლენას ახდენს. ხშირ შემთხვევაში, დასახლებებში სამოქალაქო აქტივიზმი სწორედ ზრდასრულთა განათლების ცენტრების სახელთან ასოცირდება. აქტიურ მოქალაქეთა კლუბის წევრები, ახალგაზრდები და ზოგადად, ცენტრის ბენეფიციარები, უფრო თავდაჯერებულები ხდებიან, მეტ პასუხისმგებლობას იღებენ საკუთარ ქმედებებზე და სწავლობენ თუ როგორ უნდა იბრძოლონ და დაიცვან თავიანთი უფლებები საზოგადოებაში.

აღსანიშნავია, რომ DVV International-ის მიერ ზრდასრულთა განათლების დამკვიდრებამ საქართველოში არაფორმალური განათლების სფეროში გარკვეული სისტემა შემოიტანა. ქვეყნის განათლების პოლიტიკის

[27] Santeladze, l. (2014). Community Learning in Georgia. In *Communities.* (Ed. Larjanko J.). DVV International. ხელმისაწვდომია ბმულზე: http://www.dvv-international.de/index.php?article_id=1084&clang=1

დოკუმენტების ანალიზმა ცხადყო, რომ მთელი სიცოცხლის მანძილზე სწავლის კონცეფცია და არაფორმალური განათლების სისტემა სათანადოდ განვითარებული არ არის. არაფორმალური განათლება არ არის კარგად განსაზღვრული და არ რეგულირდება პოლიტიკის დოკუმენტით. შესაბამისად, მიუხედავად იმისა, რომ ზრდასრულთა და არაფორმალური განათლების მიმართულებით საქართველოში ბევრი სხვადასხვა ორგანიზაცია მუშაობს, ზრდასრულთა განათლების ადგილი ქვეყნის საგანმანათლებლო სისტემაში მაინც ბუნდოვანია და სისტემური ხასიათი არ აქვს. DVV International-ის ჰოლისტური მიდგომა ზრდასრულთა განათლების ცენტრების ადგილმდებარეობებზე საგანმანათლებლო გარემოს ქმნის. DVV International-ის მიერ ზრდასრულთა განათლების ცენტრების დაარსებამ არაფორმალური განათლების სფეროში ერთგვარი სისტემურობა შემოიტანა.

ზრდასრულთა განათლების ცენტრები საქართველოში - გავლენების ჯაჭვი

გავლენათა ჯაჭვი აჩვენებს თუ რა ცვლილები მოაქვთ ზრდასრულთა განათლების ცენტრებს ადგილობრივი თემებისთვის



5. დისტანციური სწავლება Covid-19-ის დროს

2020 წელს კორონავირუსმა (Covid-19) გავლენა მოახდინა მსოფლიოს საზოგადოებაზე. ვირუსის გავრცელებამ ხალხი დააფიქრა ჯანმრთელობასა და კეთილდღეობაზე. გამოცხადდა სრული ლოქდაუნი. ამ პრობლემების მიუხედავად, საქართველოს ზრდასრულთა განათლების ცენტრები აგრძელებდნენ მუშაობას. ცენტრების მიერ ბენეფიციარებისთვის IT პროგრამების მიწოდების შედეგად, ისინი ადვილად გაუმკლავდნენ ტექნიკურ სირთულეებს და შეძლეს ონლაინ შეხვედრებს პლატფორმა Zoom-ის გამოყენებით დასწრებოდნენ.[28]

კოდის სათემო განათლების ცეტრმა დისტანციური ტრენინგი სამართალში „იცოდე შენი უფლებები“, 2020 წლის 19 მარტს დაიწყო. 25 მონაწილე, მათ შორის, შაუმიანის სათემო განათლების ცენტრის ახალგაზრდები, მონაწილეობდნენ ტრენინგში პლატფორმა Zoom-ით. ამჟამად, სასწავლო კურსი „შესყიდვები და ახალი რეგულაციები“, ახალგაზრდული პროგრამა, თეორიული მინანქრის კურსი, ინგლისური ენის შემსწავლელი ორი ჯგუფი, კოდა-შაუმიანის აუდიტორიისთვის ტრენინგ-კონსულტაცია ფსიქოლოგიაში, მცირე ბიზნესისა (2 ჯგუფი) და შინ მოვლის კურსი (კონსულტაცია ექიმთან) აქტიურად მიმდინარეობს და ხორციელდება Messenger-ის საშუალებით 20 მონაწილისთვის. ხანდაზმული ბენეფიციარების კონსულტაცია ხდება მობილური ტელეფონით, ამიტომ, არავინ რჩება უყურადღებოდ.

დისტანციური სწავლება აქტიურად ტარდებოდა სხვა ცენტრებშიც. ახალციხეში შესაძლებელი გახდა კოსმეტოლოგიის კონსულტაციისა და თურქული ენის კურსების ჩატარება, რომლებზე დასწრების საშუალება მანამდე არ ჰქონდათ. ქედაში მიმდინარეობს თეორიული მართვის, ინგლისური ენისა და კომპიუტერის საოფისე პროგრამების, ფსიქოლოგიის კურსები. რეწვის, სუვენირების დამზადებისა და ქსოვის კურსები მარტის შუა რიცხვებიდან ასევე გადავიდა ონლაინ რეჟიმში. ტარდება ონლაინ შეხვედრები ფინანსური განათლების შესახებ, ასევე, კულტურული და ინფორმაციული მახასიათებლების მქონე საზოგადოებრივი შეხვედრები. საერთო ჯამში, ამ ეტაპზე 85 ადამიანი მონაწილეობდა დისტანციურ სწავლებაში. ინტერნეტზე წვდომა ბენეფიციარებისთვის ერთადერთ პრობლემას წარმოადგენს. ლელიანის ზრდასრულთა განათლების ცენტრში ბენეფიციარები სწავლობდნენ შემდეგ კურსებს: გრაფიკული დიზაინი, ინგლისური ენა მოზარდებისთვის (I და II

[28] DVV International სტატია: Crisis Response – The Role of ALE in Coping with the Corona Pandemic

კლასები), ფოტოგრაფია, ბუღალტერია. დასაწყისში მესენჯერის მეშვეობით ჩატარდა ონლაინ შეხვედრები როგორც ახალგაზრდული პროგრამის ფარგლებში, ასევე - ფსიქოლოგთან. ბენეფიციარებს ჩაუტარდათ ტრენინგი Zoom-ის გამოყენებაში და მას შემდეგ მასზე გადაერთნენ. სოფლის განვითარების პროგრამის შეხვედრები, რომლებიც ადრე ველზე - ღია სივრცეში ტარდებოდა, ხოლო, კონსულტაციები და პრაქტიკული კვლევები - ადგილზე, შეიცვალა პირდაპირი შეხვედრებით კვირაში ერთხელ, სადაც ხილის კულტივაციის თემები განიხილებოდა.

დისტანციური სწავლებისთვის Zoom-ი და მესენჯერი ყველაზე ხშირად გამოყენებადი პლატფორმებია ჯვარის სათემო განათლების ცენტრში. ჩატარდა ტრენინგები შემდეგ თემებზე: ფინანსური განათლება, ოფისის მენეჯმენტი, კომპიუტერის უნარები, ინგლისური ენის კურსი, ახალგაზრდული პროგრამები, საჯარო შეხვედრები და დისკუსიები, ფსიქოლოგის კონსულტაცია, რომელიც თვეში ოთხჯერ ტარდებოდა 42 ბენეფიციარისთვის. ინტერნეტი პრობლემებს იწვევს, თუმცა, ადგილობრივი მოსახლეობა მაინც ცდილობს მასთან შეგუებას კურსებზე დასასწრებად.

ინგლისურის ენის ორი კურსი პერიოდულად ტარდებოდა Zoom-ით, რომელშიც მონაწილეობას იღებდა 15-ზე მეტი მონაწილე ამბროლაურის ზრდასრულთა განათლებლის ცენტრიდან. სხვა კურსებზე ადგილობრივი ზრდასრულები იძენდნენ სანტექნიკის სპეციალისტის უნარს, ეცნობოდნენ რაჭულ სამზარეულოსა და ფოლკლორულ მუსიკას, ხის მხატვრულად დამუშავებას, ჭრა-კერვას, ხალიჩის ქსოვას. იმისათვის, რომ მათ სახლიდან მუშაობა და ონლაინ ტრენინგებზე დასწრება შეძლებოდათ, ადგილზე დაურიგეს ჩარხები და მასალები. ამ გზით, ყველა ცენტრი მონაწილეობდა დისტანციურ სწავლებაში და ყველგან დაახლოებით მსგავსი სურათი იყო. რაც ყველაზე მნიშვნელოვანია, GAEN–ის ორგანიზებით, ზრდასრულთა განათლების მიმწოდებლები სათანადოდ შეხვდნენ დროის გამოწვევებს - ამ რთულ რეალობაშიც კი არ უღალატეს ზრდასრულთა განათლების იდეას, ბენეფიციარებს და ჩვეულებრივი სიხარულით გააგრძელეს ეს საქმე დისტანციურადაც.

ზრდასრულთა განათლების შვიდმა ცენტრმა DVV International-ის ფინანსური მხარდაჭერით წარმოადგინა ძალიან მნიშვნელოვანი პროექტი. ახალციხის, ახალქალაქის, კოდის, ლელიანის, ჩოხატაურის, ხარაგაულისა და ამბროლაურის ცენტრების მიერ სამკერვალო კურსების ბენეფიციარები ჩაერთნენ სამედიცინო ნიღბების წარმოებაში, რაც საქართველოში მოთხოვნადი იყო. სამწუხაროდ, ნიღბები და სხვა დამცავი საშუალებები დღითიდღე უფრო დეფიციტურია. ამავე დროს, ბევრს უბრალოდ არ შეეძლო ნიღბების ყიდვა. ამ ყველაფრის გათვალისწინებით, ზრდასრულთა განათლების შვიდმა ცენტრმა DVV

International-ის ფინანსური მხარდაჭერით, 14000 სამედიცინო ნიღაბი აწარმოა და უფასოდ გადასცა ადგილობრივ მუნიციპალიტეტებს. მუნიციპალიტეტებმა, თავიანთი რეგიონების მოწყვლადი ჯგუფებისთვის ნიღბების დარიგება დაიწყეს.[29]

6. საქართველოს ზრდასრულთა განათლების ქსელი (GAEN)

როდესაც ზრდასრულთა განათლების ცენტრების უმეტესობამ გარკვეულ წარმატებას, დამოუკიდებლობას მიაღწია და პროექტების მართვაში გამოცდილება მიიღო, ერთიანი სტრუქტურის შექმნის აუცილებლობა იგრძნეს, რაც პრობლემების გადაჭრაში და სამომავლო განვითარებაში დაეხმარებოდა. ზრდასრულთა განათლების ცენტრების გაძლიერების, გრანტების მოპოვების პროცესის გამარტივებისა და შესაძლებლობების გაზრდის მიზნით, ცენტრებმა შექმნეს საქართველოს ზრდასრულთა განათლების ქსელი (GAEN), რომელიც საქართველოს ზრდასრულთა განათლების ცამეტივე ცენტრს აერთიანებს.

GAEN-ი 2014 წელს დარეგისტრირდა როგორც ა(ა)იპ. ის აერთიანებს საერთო ღირებულებებისა და მსგავსი გამოცდილების მქონე ორგანიზაციებს, რომლებიც აქტიურად მონაწილეობენ ზრდასრულთა განათლების სფეროში და აცნობიერებენ სიცოცხლის მანძილზე განათლების მნიშვნელობას საქართველოში სიღარიბის წინააღმდეგ ბრძოლის, სამოქალაქო ჩართულობისა და საზოგადოების განვითარების პროცესში.

ქსელის მიზანია საზოგადოების ცნობიერების ამაღლება მთელი სიცოცხლის მანძილზე სწავლის კონცეფციის შესახებ და მისი განუყოფელი ნაწილის - ზრდასრულთა განათლების აღიარების მიღწევა საქართველოს საგანმანათლებლო სიტემის მიერ. ამოცანები კი გახლავთ:

- წევრი ორგანიზაციების მხარდაჭერა და განვითარება;
- ზრდასრულთა განათლების, როგორც მთელი სიცოცხლის მანძილზე სწავლის განუყოფელი ნაწილის ადვოკატირება;
- საზოგადოების ცნობიერების ამაღლება მთელი სიცოცხლის მანძილზე სწავლის მნიშვნელობაზე;
- ფონდების მოძიება;
- მთელი სიცოცხლის მანძილზე სწავლის პრინციპებისა და მისი განუყოფელი ნაწილის - ზრდასრულთა განათლების ლობირება და

[29] DVV International სტატია: AE Centers in Georgia: Confronting Crisis, Supporting People

მთელი სიცოცხლის მანძილზე სწავლისთვის შესაბამისი სისტემის ჩამოყალიბების ხელშეწყობა. განსაკუთრებით, ზრდასრულთა განათლება საქართველოში;

- ადვოკატირება თავისი წევრების სახელით ადგილობრივი და ცენტრალური ხელისუფლების მიმართ;
- წევრი ორგანიზაციების მიზნობრივი პროფესიული განვითარების უზრუნველყოფა ტრენინგებისა და სემინარების სტრუქტურირებული პროგრამის საშუალებით;
- სასწავლო მასალებისა და პუბლიკაციების შემუშავება ზრდასრულთა განათლების მომწოდებლებისა და ზრდასრული განმანათლებლებისთვის;
- საერთაშორისო თანამშრომლობის ხელშეწყობა ზრდასრულთა განათლების სფეროში.

ქსელის შექმნა ზრდასრულთა განათლების ცენტრების ერთობლივი ინიციატივა იყო. გადაწყდა, რომ GAEN-ის წევრები იქნებოდნენ მხოლოდ ზრდასრულთა განათლების ცენტრები ერთნაირი მიზნებით, ინტერესებითა და კონცეფციით. GAEN-ის დამფუძნებლები ვარაუდობენ, რომ ქსელის წარმატება შემდეგ

ასპექტებზე იქნება დამყარებული: ყველა ცენტრი ერთნაირად აღჭურვილი უნდა იყოს და ერთნაირი გამოცდილება გააჩნდეს, მათი ერთობლივი თანხის ბრუნვა იყოს მაღალი. დღეის მდგომარეობით, ის მოიცავს საქართველოს რვა რეგიონის ცამეტ მუნიციპალიტეტს, რაც ფართო მასშტაბის პროექტების განხორციელების საშუალებას იძლევა. გარდა ამისა, GAEN-ის ფარგლებში, ზრდასრულთა განათლების ცენტრების გარკვეული პრობლემები ქსელის დონეზე უფრო წარმატებით გადაიჭრება, ვიდრე ინდივიდუალურად. ზრდასრულთა განათლების ცენტრებს გამოცდილების ურთიერთგაზიარებისა და ახალი ინიციატივებით ურთიერთმხარდაჭერის შესაძლებლობა ექნებათ. დაბოლოს, ცენტრების ერთობლივი ღონისძიებებით მათი ცნობადობა გაიზრდება. ყოველივე ეს ფონდების მოძიებას შეუწყობს ხელს.

დაფუძნებიდან პირველივე ეტაპზე GAEN-მა რამდენიმე ტრენინგი და სამუშაო შეხვედრა ჩაატარა თავისი წევრებისთვის (შეხვედრების საკითხები წევრი ორგანიზაციების საჭიროებებიდან გამომდინარე შემუშავდა), ასევე, ჩატარდა სასწავლო ვიზიტები, რომლის ფარგლებშიც ახლადდაარსებული ცენტრების წარმომადგენლები ძველ ცენტრებს ეწვივნენ და მათი გამოცდილება გაიზიარეს. გარდა ამისა, GAEN-მა ორი ტრენინგ-პაკეტი მუნიციპალიტეტების წარმომადგენლებისთვის შეიმუშავა და გაუზიარა ცენტრებს. ეს საერთო პროგრამა თითოეული ცენტრის მიერ განხორციელდა.

წლის ბოლო თვეში GAEN-ი ტრადიციულად აწყობს ყოველწლიურ შემაჯამებელ ღონისძიებას, სადაც გამოვლინდება ზრდასრულთა განათლების საუკეთესო ცენტრი. ამ შემთხვევაში, GAEN-ის დირექტორი აჯილდოებს საუკეთესო ცენტრს, წლის ტრენერს, საუკეთესო მოსწავლესა და საუკეთესო მუნიციპალიტეტს, რომელიც მხარს უჭერს ზრდასრულთა განათლების საქმიანობას.

ზრდასრულთა განათლების ცენტრების შექმნისა და ფუნქციონირების ეტაპები

1. ცენტრის დაარსების მოდელის შერჩევა		
მოდელი #1	მოდელი #2	მოდელი #3
პირველი მოდელი ვერტიკალური მოდელია, სადაც ზრდასრულთა განათლების ცენტრებს მზა გადაწყვეტილებებს სთავაზობენ და მოიცავს შემდეგ ეტაპებს: ა. ცენტრის დაარსება; ბ. ცენტრის გადაცემა სზგა-სთვის; გ. ცენტრის მენეჯმენტის სზგა-დან განხორციელება ამ მოდელის ძირითადი ნაკლი არის ის, რომ ცენტრებს გადაწყვეტილებების დამოუკიდებლად მიღების შესაძლებლობა არ აქვთ.	ამ მოდელის შემთხვევაში, შვილობილ ორგანიზაციასთან გვაქვს საქმე მოდელი მოიცავს შემდეგ ეტაპებს: ა. ცენტრის დაარსება; ბ. ცენტრის არასამთავრობო ორგანიზაციად დარეგისტრირება; გ. ცენტრი დამოუკიდებლად მართავს პროექტებსა და ფინანსებს. ამ მოდელის ძირითადი სირთულე არის ის, რომ ცენტრებს დამოუკიდებლად მუშაობის დაწყებისთვის საკმაო დრო სჭირდებათ.	მესამე მოდელი პარტნიორობაზე დაფუძნებული მოდელია ის მოიცავს შემდეგ ეტაპებს: ა. ცენტრის გახსნა უკვე არსებული არასამთავრობო ორგანიზაციის საფუძველზე; ბ. ცენტრის დამოუკიდებლი ფუნქციონირება. ამ მოდელის ძლიერი მხარე არის ის, რომ საჭიროა მცირე ფინანსები, ასევე, არასამთავრობო ორგანიზაციას უკვე აქვს დამოუკიდებლად მუშაობის გამოცდილება პროექტის მართვაში, ფონდების მოძიებაში, კონტაქტების დამყარებაში, მათ შორის, ადგილობრივ მუნიციპალიტეტებთან და სხვა NGO-ებთან.

2. ადგილის შერჩევა	
„მივიწყებული“ თემის გააქტიურება	სხვა დასახლებებთან სიახლოვე
შეარჩიეთ დასახლება, სადაც სხვა ორგანიზაციები ნაკლებად არიან წარმოდგენილი, რათა მოწყვლად მოსახლეობას მეტი შესაძლებლობა მიეცეს.	შეარჩიეთ დასახლება (სოფელი ან ქალაქი), რომელიც ძალიან დაშორებული არ არის სხვა სოფლებისგან, რათა ხალხმა პროექტის ფარგლებში გამართულ ღონისძიებებში მონაწილეობის მიღება მეზობელი ტერიტორიებიდანაც შეძლოს.

3. შენობის შერჩევა	
ხარჯების შეფასება	ხალხმრავალი ადგილი
შენობის სარემონტო სამუშაოების ხარჯები დეტალურად უნდა გაიწეროს. რეკომენდებულია მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული შენობის გამოყენება.	შეარჩიეთ შენობა, რომელიც დასახლების ხალხმრავალ ადგილას მდებარეობს. სასურველია, იყოს დასახლების ცენტრში, მთავარ გზასთან და/ან მუნიციპალიტეტის შენობასთან ახლოს.

4. ინფორმაციის გავრცელება	
ცნობადობის გაზრდა	ცნობიერების ამაღლება
დაიწყეთ ინფორმაციის გავრცელება საგანმანათლებლო ღონისძიებების დაწყებამდე. ორგანიზება გაუწიეთ შეხვედრებს ადგილობრივ მუნიციპალიტეტებთან, თემის ლიდერებთან და მოსახლეობასთან.	გამოიყენეთ ინფორმაციის გავრცელების სხვადასხვა გზა: ზეპირსიტყვიერი მარკეტინგი: ბროშურები ბუკლეტები ბანერები ინტერნეტი, მედია (განსაკუთრებით, ადგილობრივი), შეაფასეთ, ვინ შეიძლება გაავრცელოს ინფორმაცია დასახლებაში ეფექტურად (მაგ. სკოლის მასწავლებლები).

5. საჭიროებებისა და საგანმანათლებლო ინტერესების კვლევა		
ადგილობრივი მოსახლეობის საჭიროებების კვლევა	საგანმანათლებლო საჭიროებების კვლევა	ადგილობრივი ბაზრის კვლევა
სამივე შემთხვევაში: ჩაატარეთ კვლევები პერმანენტულად, განსაკუთრებით, საგანმანათლებლო ინტერესების კვლევა, ბაზრის კვლევა - წელიწადში მინიმუმ ორჯერ თანამშრომლებისთვის და ტრენინგები კვლევის მეთოდებში. გამოკითხვის ჩატარებისას, ხარჯების შემცირების მიზნით, მოხალისეები დაიხმარეთ.		

6. თანამშრომელთა და ტრენერთა შერჩევა		
განცხადების ეფექტური გავრცელება	შერჩევის პროცესის გამჭვირვალობა	თანამშრომელთა გადამზადება
დარწმუნდით, რომ განცხადება ყველასთვის ხელმისაწვდომია. შეარჩიეთ ინფორმაციის გავრცელების ის გზა, რომელიც ყველაზე გავრცელებულია ადგილობრივ მოსახლეობაში, მაგ: ინფორმაციის ელექტრონულად გავრცელება შეიძლება მოსახერხებელი არ იყოს იმ მოწყვლად თემში, სადაც ინტერნეტი შეზღუდულია. გაითვალისწინეთ მოსახლეობის მრავალფეროვნება. ეთნიკური უმცირესობის არსებობის შემთხვევაში, არ დაგავიწყდეთ ორენოვანი განცხადება.	შერჩევის პროცესი გახადეთ მაქსიმალურად გამჭვირვალე. შერჩევის კრიტერიუმები, საჭირო დოკუმენტებისა და ინტერვიუების შეფასების პროცესი ნათელი უნდა იყოს კანდიდატებისთვის. CV-ებისა და სამოტივაციო წერილების გარდა, ტრენერებმა კურსების პროგრამებიც უნდა წარმოადგინონ. ხელსაქმის კურსების შემთხვევაში ტრენერებმა ხელნაკეთი ნიმუშებიც უნდა წარმოადგინონ.	არჩევის შემდეგ, აუცილებელია ცენტრის თანამშრომლების სისტემატური გადამზადება გამოიყენეთ: პროფესიონალთა მიერ შემოთავაზებული კურსები; მსგავსი ადგილობრივი და /ან საერთაშორისო ორგანიზაციების; უცხოელი მოხალისეების გამოცდილება.

7. ნდობის მოპოვება
კარგად აჩვენეთ პროექტის მიზანი ბენეფიციარებს. მაგალითად: აჩვენეთ ზრდასრულთა განათლების სარგებლობა - რა არის ზრდასრულთა განათლება? რატომ არის მნიშვნელოვანი? როგორ შეიძლება იყვნენ ჩართულნი? რა სარგებლობა ექნება მათ? გამოიყენეთ ბავშვები და ახალგაზრდები, როგორც ნდობის აშენების „აგენტები“, რომელთა მიერ გავრცელებული ინფორმაცია გამოიწვევს მათი მშობლების თაობის ჩარევას ამ აქტივობაში. ჩართეთ თემის ლიდერები, რომლებსაც უკვე აქვთ საზოგადოების გარკვეული ნდობა.

8. საგანმანათლებლო და სხვა ღონისძიებები		
პიროვნული და პროფესიული განვითარების კურსები	ბავშვთა და ახალგაზრდული პროგრამები	საჯარო შეხვედრები, ტრენინგები და სამოქალაქო აქტივიზმი
ყველა შემთხვევაში: დარწმუნდით, რომ ღონისძიებები მორგებულია ბენეფიციარებს: ა. განრიგი მოსახერხებელია მათთვის; ბ. ხორციელდება ის აქტივობები, რომლებიც საინტერესოა მათთვის; გ. მოუსმინეთ მათ საჭიროებებს, ინტერესებსა და პრობლემებს.		

9. ბენეფიციარების მრავალფეროვნება		
ასაკი	სქესი	სხვადასხვა სოციალური ჯგუფი
ცენტრებში ნებისმიერი ასაკის ადამიანს შეუძლია დაესწროს ღონისძიებებს; ორგანიზება გაუწიეთ აქტივობებს სხვადასხვა ასაკობრივი ჯგუფისთვის; დაგეგმეთ ინტერგენერა-ციული აქტივობები, რომ ხელი შეუწყოთ სხვადასხვა ასაკის ჯგუფის დაახლოებას.	ცენტრებში გენდერული ბალანსის დაცვის მიზნით: ა. აწარმოეთ გენდერული სტატისტიკა; ბ. ორგანიზება გაუწიეთ ისეთ ღონისძიებებს, რომ მიიზიდოთ იმ სქესის წარმომადგენელი ბენეფიციარები, რომლებიც ცენტრში ნაკლებად არიან წარმოდგენილი; გ. გენდერული ასპექტები გაითვალისწინეთ პროექტის დაგეგმვის, განხორციელებისა და შეფასების პროცესში.	ორგანიზება გაუწიეთ სხვადასხვა ჯგუფის ინტეგრაციის ხელშემწყობ აქტივობებს. გაითვალისწინეთ: ეთნიკური და რელიგიური უმცირესობები იგპ-ები, შშმ პირები და სხვ.
გამოიყენეთ ბენეფიციართა მოზიდვის ეფექტური მეთოდები: შეარჩიეთ ბენეფიციართა მოზიდვის რომელი გზა არის ყველაზე ეფექტური კონკრეტულ დასახლებაში: ზეპირსიტყვიერი მარკეტინგი? SMS-ები? მეილები? ქუჩის ბანერები?		

10. მდგრადობა

ცენტრების მდგრადობას მნიშვნელოვნად ზრდის შემდეგი აქტივობები:

ა. მჭიდრო თანამშრომლობა ადგილობრივ მუნიციპალიტეტებთან - ერთობლივი პროექტების განხორციელება მათთან;

ბ. ფონდების ეფექტური მოძიება;

გ. ეფექტური PR-სტრატეგია;

დ. კავშირების დამყარება

ე. სოციალური საწარმოს დაარსება
ვ. საერთაშორისო გამოცდილების გაზიარება (იპოვეთ ზრდასრულთა განათლების პარტნიორი ინსტიტუტი ევროპაში);

ზ. მოხალისეობრივი პროგრამის განვითარება (ჩართეთ როგორც ადგილობრივი, ასევე, საერთაშორისო მოხალისეები).

დანართები

დანართი #1: კვლევის ფარგლებში გაანალიზებული დოკუმენტების ჩამონათვალი:

1. DVV International-ის საბოლოო ანგარიში ევროკავშირის EIDHR-ის პროექტის „ზრდასრულთა განათლების ცენტრები სამცხე-ჯავახეთში - უმცირესობათა ინტეგრაციის შანსი“ ფარგლებში, 2008 წ;

2. პროექტის „ზრდასრულთა განათლების ცენტრები სამცხე-ჯავახეთში - უმცირესობათა ინტეგრაციის შანსი“ გარე შეფასება, 2008 წ;

3. „დემოკრატ მესხთა კავშირის“ საბოლოო ანგარიში პროექტის „ზრდასრულთა განათლების ცენტრები სამცხე-ჯავახეთში - უმცირესობათა ინტეგრაციის შანსი“ ფარგლებში, 2009 წ;

4. საქართველოს ზრდასრულთა განათლების ასოციაციის 2010 და 2011 წლების საბოლოო თემატური ანგარიშები;

5. ACF-ის საბოლოო თემატური ანგარიში პროექტის „იძულებით გადაადგილებულ პირთა სოციალურ-ეკონომიკური მხარდაჭერა ქვემო ქართლის რეგიონში“, 2011 წ;

6. DVV International-ის საბოლოო თემატური ანგარიში პროექტის: „იძულებით გადაადგილებულ პირთა სოციალურ-ეკონომიკური მხარდაჭერა ქვემო ქართლის რეგიონში“, 2011 წ;

7. DVV International-ის საბოლოო თემატური ანგარიში პროექტის: „იძულებით გადაადგილებულ პირთა სოციალურ-ეკონომიკური მხარდაჭერა სამეგრელო-ზემო სვანეთის რეგიონში“, 2011 წ;

8. პროექტის „იძულებით გადაადგილებულ პირთა სოციალურ-ეკონომიკური მხარდაჭერა სამეგრელო-ზემო სვანეთის რეგიონში“, გარე შეფასება;

9. DVV International-ის საბოლოო თემატური ანგარიში პროექტის: „აქტიური ცხოვრებისათვის: ხანდაზმული ადამიანების შესაძლებლობების გაზრდა და მათი უფლებების განმტკიცება საქართველოში“, 2016 წ;

10. DVV International-ის საბოლოო თემატური ანგარიში „ადამიანები მოძრაობაში: მიგრაციის გამოწვევების მართვა და ალტერნატიული შესაძლებლობების შეთავაზება პოტენციური და დაბრუნებული მიგრანტებისთვის საქართველოს რეგიონებში“, 2017 წ;

11. კოდის სათემო განათლების ცენტრის 2011-2016 წლების თემატური ანგარიშები;

12. შაუმიანის სათემო განათლების ცენტრის 2011-2016 წლების თემატური ანგარიშები;

13.სენაკის სათემო განათლების ცენტრის 2011-2016 წლების თემატური ანგარიშები;

14. ჯვარის სათემო განათლების ცენტრის 2011-2016 წლების თემატური ანგარიშები;

15. ლელიანის ზრდასრულთა განათლების ცენტრის 2013-2016 წლების თემატური ანგარიშები.

დანართი 2: *ზრდასრულთა განათლების ცენტრების არასამეწარმეო (არაკომერციულ) იურიდიულ პირად დარეგისტრირების წესდების ნიმუში:*

არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირის წესდება

1.ზოგადი დებულებები

1.1 არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირი „ზრდასრულთა განათლების ცენტრი“ (შემდგომში – ცენტრი) წარმოადგენს კერძო სამართლის არასამეწარმეო (არაკომერციულ) იურიდიულ პირს, რომელიც თავის საქმიანობას წარმართავს საქართველოს კონსტიტუციის, მოქმედი კანონმდებლობის, საერთაშორისო სამართლებრივი ნორმებისა და წინამდებარე წესდების შესაბამისად.
1.2 სახელწოდებაა: არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირი „ზრდასრულთა განათლების ცენტრი“.
1.3 ცენტრი მისი რეგისტრაციის მომენტიდან წარმოადგენს იურიდიულ პირს, რომელსაც უფლება აქვს, იქონიოს დამოუკიდებელი ბალანსი, ბეჭედი მისი სახელწოდების აღნიშვნით, შტამპი, ბლანკი, ემბლემა, საბანკო ანგარიში (მათ შორის სავალუტოც) და იურიდიული პირისთვის აუცილებელი სხვა ატრიბუტიკა.
1.4. ცენტრი უფლებამოსილია, საკუთარი სახელით შეიძინოს უფლებები და იკისროს მოვალეობები, დადოს ხელშეკრულებები, გამოვიდეს მოსარჩელედ და მოპასუხედ სასამართლოში.
1.5. ცენტრის ადგილსამყოფელია (მისამართი): _____
1.6 ცენტრი იქმნება განუსაზღვრელი ვადით.

2. ცენტრის მიზნები

2.1. ცენტრის მიზნებს წარმოადგენს:
ა. საგანმანათლებლო მომსახურების გაწევა;
ბ. სამოქალაქო საზოგადოების ჩამოყალიბების პროცესის ხელშეწყობა;
გ. თემის საჭიროებების ადვოკატირება.

2.2. თავისი მიზნების მისაღწევად და ამოცანების განსახორციელებლად ცენტრი ეწევა შემდეგ საქმიანობებს:
ა. საქართველოში სამოქალაქო საზოგადოების ჩამოყალიბების ხელშეწყობა;
ბ. სოციალური სტრუქტურისა და სახელმწიფო ინსტიტუტების კონსოლიდაციის ხელშეწყობა;

გ. ცენტრის საქმიანობასთან დაკავშირებული კონფერენციებისა და სემინარების გამართვა;
დ. საერთაშორისო პარტნიორებისა და დონორების მოძიება და მათთან აქტიური თანამშრომლობა;
ე. ნებისმიერი სხვა საქმიანობა, რომელიც საქართველოს კანონმდებლობას არ ეწინააღმდეგება.

2.3. ზემოაღნიშნული მიზნების მისაღწევად ცენტრს უფლება აქვს:
ა. საკუთრებაში ან/და სარგებლობაში იქონიოს მიწის ნაკვეთები, შენობა-ნაგებობები, სატრანსპორტო საშუალებები, ფულადი სახსრები, აქციები, ობლიგაციები, ფასიანი ქაღალდები და სხვა ქონება, რაც აუცილებელია მისი საქმიანობის უზრუნველსაყოფად;
ბ. დააფუძნოს თავისი ფილიალები როგორც საქართველოში, ასევე, უცხოეთში;
გ. დადოს ხელშეკრულებები ორგანიზაციებთან, სხვა იურიდიულ და კერძო პირებთან როგორც საქართველოში, ასევე, მის ფარგლებს გარეთ;
დ. მონაწილეობა მიიღოს ერთობლივ პროექტებში, პროგრამებსა და ღონისძიებებში;
ე. კანონით დადგენილი წესით აწარმოოს საგამომცემლო საქმიანობა;
ვ. დააფუძნოს სასწავლებლები, ცენტრები, სტუდიები და ა.შ. როგორც საქართველოში, ასევე, მის ფარგლებს გარეთ;
ზ. შეიძინოს ან იჯარით აიღოს ქონება როგორც კერძო, ასევე, სახელმწიფო დაწესებულებებისგან, მოქალაქეებისგან; იჯარით გასცეს, გაყიდოს ან გაასხვისოს თავისი ქონება;
თ. დაამყაროს კავშირი საზღვარგარეთისა და საერთაშორისო ორგანიზაციებთან ურთიერთთანამშრომლობის მიზნით;
ი. განახორციელოს საინფორმაციო, კულტურულ-საგანმანათლებლო, დამხმარე სახის სამეწარმეო (ეკონომიკური), საგამომცემლო და სხვა საქმიანობა, რაც არ ეწინააღმდეგება ცენტრის წესდებასა და მოქმედ კანონმდებლობას;
კ. განახორციელოს საქართველოს კანონმდებლობით ნებადართული ყველა საქმიანობა, თუკი, აქედან მიღებული შემოსავალი მოხმარდება ცენტრის საწესდებო მიზნების განხორციელებას.

3. ცენტრის დამფუძნებლები და მათი კომპეტენცია

3.1. ცენტრის დამფუძნებლები არიან:
ა. სახელი, გვარი, მისამართი: ---- დაბადების თარიღი --------- პირადი #: ---- --- სერია: ----- გაცემულია: ---------- მიერ ---------- წ.
ბ. სახელი, გვარი, მისამართი: ---- დაბადების თარიღი --------- პირადი #: ----- --- სერია: ----- გაცემულია: ---------- მიერ ---------- წ.

გ. სახელი, გვარი, მისამართი: ---- დაბადების თარიღი --------- პირადი #: ----
--- სერია: ----- გაცემულია: ---------- მიერ ---------- წ.
დ. სახელი, გვარი, მისამართი: ---- დაბადების თარიღი --------- პირადი #: ----
--- სერია: ----- გაცემულია: ---------- მიერ ---------- წ.
ე. სახელი, გვარი, მისამართი: ---- დაბადების თარიღი --------- პირადი #: ----
--- სერია: ----- გაცემულია: ---------- მიერ ---------- წ.

3. ცენტრის დამფუძნებელთა სპეციალურ კომპეტენციას განეკუთვნება:
ა) წესდების დამტკიცება, მასში ცვლილებებისა და დამატებების შეტანა;
ბ) ცენტრის მმართველობის ორგანოს - ადმინისტრაციის წევრების არჩევა;
გ) ცენტრის ლიკვიდაციის ან რეორგანიზაციის თაობაზე გადაწყვეტილების მიღება;
დ) ცენტრის მიზნის შეცვლის შესახებ გადაწყვეტილების მიღება;
ე) ცენტრის დირექტორის არჩევა.

3.3 დამფუძნებელთა კომპეტენციას განკუთვნილი გადაწყვეტილებები მიიღება მისი დამსწრე წევრების ხმათა ორი მესამედით. სხდომის გადაწყვეტილებაუნარიანობისთვის აუცილებელი ქვორუმი შეადგენს დამფუძნებელთა ნახევარზე მეტს.

4. ცენტრის ადმინისტრაცია

4.1 ცენტრის ხელმძღვანელი და უმაღლესი მმართველობითი ორგანოა ადმინისტრაცია, რომელიც შედგება 4 წევრისგან და რომელთა არჩევა ხდება დამფუძნებლების მიერ;

4.2 ადმინისტრაციის წევრთა უფლებამოსილების ვადაა 1 წელი;

4.3 თავის ყოველდღიურ საქმიანობაში ადმინისტრაცია ხელმძღვანელობს მის სხდომებზე მიღებული გადაწყვეტილებებით;

4.4 ადმინისტრაციის გეგმიური სხდომები მოიწვევა აუცილებლობის მიხედვით, მაგრამ, არანაკლებ 1 (ერთი) სხდომისა 3 (სამ) თვეში. ადმინისტრაციის ყოველწლიური სხდომები გასული წლის ანგარიშისა და ბალანსის, მომავალი წლის ანგარიშისა და ბალანსის, მომავალი წლის ხარჯთაღრიცხვისა და მოქმედების გეგმის დასამტკიცებლად, მოიწვევა არაუგვიანეს 1 (ერთი) თვისა საფინანსო წლის დასრულების შემდეგ;

4.5 ადმინისტრაციის გეგმიური სხდომები მოიწვევა შეტყობინებების მეშვეობით, რომელიც ეგზავნება წევრებს სხდომის ჩატარებამდე არაუგვიანეს 3 (სამი) დღისა. სხდომები ტარდება ადმინისტრაციის წევრებისთვის

შეტყობინებებში მითითებულ ვადებში და ადგილის მიხედვით;

4.6 სხდომის გახსნის ზუსტი თარიღი და განსახილველი საკითხები ნაჩვენები იქნება დღის წესრიგში;

4.7 ადმინისტრაციის სხდომის გადაწყვეტილებაუნარიანობისთვის აუცილებელი ქვორუმი შეადგენს ადმინისტრაციის წევრთა ნახევარზე მეტს, ხოლო, პროცედურული საკითხის გადაწყვეტისთვის - წევრთა ერთ მესამედს;

4.8 ადმინისტრაციის კომპეტენციის ფარგლებში, გადაწყვეტილებები მიიღება მისი დამსწრე წევრების ხმათა ორი მესამედით;

4.9 ადმინისტრაციის კომპეტენციაში შედის შემდეგი საკითხები:

- ცენტრის საქმიანობის ძირითადი მიმართულებების განსაზღვრა;
- ცენტრის ადმინისტრაციის წევრთა შრომის ანაზღაურების განსაზღვრა;
- ცენტრის წლიური გეგმის, ბიუჯეტისა და მისი ანგარიშის დამტკიცება;
- გადაწყვეტილების მიღება იურიდიული პირის, ფილიალის ან/და წარმომადგენლობის შექმნის, რეორგანიზაციის და ლიკვიდაციის შესახებ, მათთვის დებულებათა დამტკიცება;
- ცენტრის ქონებისა და აქტივების განკარგვა.

5. ადმინისტრაციის წევრები

5.1 ადმინისტრაციის წევრები არიან:

1. სახელი, გვარი, მისამართი: ---- დაბადების თარიღი --------- პირადი #: -----
სერია: ----- გაცემულია: ---------- მიერ ---------- წ.
2. სახელი, გვარი, მისამართი: ---- დაბადების თარიღი --------- პირადი #: -----
სერია: ----- გაცემულია: ---------- მიერ ---------- წ.
3. სახელი, გვარი, მისამართი: ---- დაბადების თარიღი ------- პირადი #: ---
სერია: ----- გაცემულია: ---------- მიერ ---------- წ.
4. სახელი, გვარი, მისამართი: ---- დაბადების თარიღი ------- პირადი #: ----
სერია: ----- გაცემულია: ---------- მიერ ---------- წ.

6. ცენტრის დირექტორი

6.1 ცენტრის დირექტორი წარმოადგენს ცენტრის ხელმძღვანელ და წარმომადგენლობაზე უფლებამოსილ პირს მესამე პირებთან ურთიერთობაში;

6.2 ცენტრის დირექტორს 1 (ერთი) წლის ვადით ირჩევენ დამფუძნებლები;

6.3 ცენტრის დირექტორი შეიმუშავებს ცენტრის სტრატეგიის განმსაზღვრელ ძირითად დოკუმენტებს და წარუდგენს მათ დასამტკიცებლად ცენტრის სამეთვალყურეო ორგანოს. იგი პასუხისმგებელია აგრეთვე ცენტრის მუშაობის

სტრატეგიულ მიმართულებებზე;

6.4 დირექტორი განიხილავს ამა თუ იმ პროექტის დაფინანსების საკითხს, რის თაობაზეც ადმინისტრაციას წარუდგენს არგუმენტირებულ დასაბუთებას;

6.5 ცენტრის დირექტორის კომპეტენციაში შედის შემდეგი:

- ცენტრის საერთო ადმინისტრაციულ-ტექნიკური და ოპერატიული ხელმძღვანელობა ადმინისტრაციის მიერ დამტკიცებული ბიუჯეტის შესაბამისად;
- ცენტრის წარმოდგენა სახელმწიფო ორგანოებში, ბანკებსა და სხვა ორგანიზაციებში;
- ადმინისტრაციისა და სამეთვალყურეო ორგანოს გადაწყვეტილებების მომზადებისა და შესრულების უზრუნველყოფა;
- ცენტრის მიმდინარე და პერსპექტიული გეგმებისა და პროგრამების შესრულების უზრუნველყოფა;
- ცენტრის ქონების მართვა ცენტრის ადმინისტრაციასთან შეთანხმებით;
- კონტროლის განხორციელება ცენტრის საბუღალტრო და საფინანსო ანგარიშებზე;
- ადმინისტრაციისა და სამეთვალყურეო ორგანოს მიერ მასზე დაკისრებული სხვა ფუნქციების შესრულება;

6.6 დირექტორი ანგარიშვალდებულია ადმინისტრაციისა და სამეთვალყურეო ორგანოს წინაშე და პასუხისმგებელია ცენტრის საქმიანობის განხორციელებაზე, ასევე, მასზე დაკისრებული ამოცანებისა და ფუნქციების შესრულებაზე;

6.7. ცენტრის დირექტორის უფლებამოსილების ვადამდე შეწყვეტა მის მიერ წესდებით განსაზღვრული მოვალეობების შეუსრულებლობის, უფლებამოსილების გადამეტების ან ცენტრის საწესდებო მიზნებთან შეუსაბამო საქციელისთვის შეუძლიათ მხოლოდ დამფუძნებლებს. ასეთ შემთხვევაში, დამფუძნებლები ერთი თვის ვადაში ირჩევენ ახალ დირექტორს;

6.8 ცენტრის დირექტორია:

სახელი, გვარი, მისამართი: ---- დაბადების თარიღი --------- პირადი #: -------
სერია: ----- გაცემულია: ---------- მიერ ---------- წ.

7. ცენტრის ქონება

7.1. ცენტრის ქონებას შეადგენს ძირითადი, საბრუნავი საშუალებები და სხვა ფასეულობანი, რომლებიც ასახულია მის დამოუკიდებელ ბალანსში და საჭიროა ამ წესდებით გათვალისწინებული მისი საქმიანობის მატერიალური უზრუნველყოფისთვის;

7.2 კანონით დადგენილი წესით ცენტრის სახსრები იქმნება:

ა) დამფუძნებლების შესატანით;

ბ) ქართველი და უცხოელი იურიდიული და ფიზიკური პირების უსასყიდლო და საქველმოქმედო შემოწირულობებიდან;
გ) საკუთარი საწარმოებისა და ორგანიზაციების საქმიანობით მიღებული შემოსავლებით;
დ) გრანტებით;
ე) კანონით დადგენილი წესით ჩატარებული სხვადასხვა ღონისძიებიდან მიღებული შემოსავლებით;
ვ) სხვა წყაროებიდან მიღებული შემოსავლებიდან, რომლებიც არ ეწინააღმდეგება კანონმდებლობას;
7.3 ცენტრს შეუძლია საკუთრებაში ან/და სარგებლობაში ჰქონდეს მიწის ნაკვეთები, შენობა-ნაგებობანი, სატრანსპორტო საშუალებები, ფულადი სახსრები, ფასიანი ქაღალდები, საცხოვრებელი ფონდი-მოწყობილობა, ინვენტარი და სხვა ქონება, რაც აკრძალული არ არის მოქმედი კანონმდებლობით;
7.4 აღნიშნული მიზნების მისაღწევად ცენტრს უფლება აქვს განახორციელოს დამხმარე ხასიათის სამეწარმეო საქმიანობა, დააფუძნოს საწარმოები და სამეურნეო ანგარიშიანი ორგანიზაციები (კერძო სამართლის სამეწარმეო - კომერციული იურიდიული პირები) და საქმიანობიდან მიღებული მოგება გამოიყენოს მხოლოდ საწესდებო მიზნების მისაღწევად. მისი განაწილება დამფუძნებლებს, შემომწირველებსა და ადმინისტრაციის წევრებს ან ხელმძღვანელ პირებს შორის დაუშვებელია;
7.5 ცენტრს უფლება აქვს განახორციელოს კანონით ნებადართული ნებისმიერი საქმიანობა მიუხედავად იმისა, არის თუ არა ეს საქმიანობა წესდებაში გათვალისწინებული.

8. ცენტრის პერსონალი

8.1 ცენტრის მუდმივი პერსონალი ძირითადად დაკომპლექტდება საქართველოს მოქალაქეებისგან ადმინისტრაციის მიერ სახელშეკრულებო საფუძველზე;
8.2 ადმინისტრაცია იღებს გადაწყვეტილებებს გარკვეული პროექტების განხორციელების მიზნით, უცხოელი სპეციალისტების მოსაწვევად;
8.3 ცენტრის თანამშრომლების ანაზღაურების მაქსიმალური ოდენობა შესაძლოა იყოს ლიმიტირებული, რაც დგინდება ცენტრის ადმინისტრაციის მიერ.

9. ცენტრის რეორგანიზაცია და ლიკვიდაცია

9.1. ცენტრის რეორგანიზაცია (მიერთება, შეერთება, გაყოფა, გამოყოფა, გარდაქმნა) ხორციელდება კანონმდებლობით დადგენილი წესით;
9.2 ცენტრის ლიკვიდაციის დროს უნდა დასრულდეს მიმდინარე საქმეები, დადგინდეს მოთხოვნები, დარჩენილი ქონება გამოიხატოს ფულში,

დაკმაყოფილდნენ კრედიტორები და დარჩენილი ქონება გაუნაწილდეს უფლებამოსილ პირებს;
9.3 დამფუძნებელთა გადაწყვეტილება არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირის ლიკვიდაციის პროცესის დაწყების შესახებ უნდა დარეგისტრირდეს მეწარმეთა და არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირების რეესტრში. ლიკვიდაციის პროცესი დაწყებულად ითვლება მისი რეგისტრაციის მომენტიდან;
9.4 ცენტრის ლიკვიდაციას ახორციელებს ცენტრის დირექტორი ან კანონით დადგენილი წესით განსაზღვრული პირი;
9.5 ცენტრის ლიკვიდაცია ხორციელდება კანონმდებლობით დადგენილი წესით;
9.6 ლიკვიდაციის შედეგად დარჩენილი ქონების მიღებაზე უფლებამოსილ პირს რეგისტრაციის შესახებ განცხადებით განსაზღვრავენ დამფუძნებლები. ცენტრის ლიკვიდაციისას ქონების გასხვისება შესაძლებელია, თუ:
ა) გასხვისება ხელს უწყობს მის მიერ დასახული მიზნების განხორციელებას;
ბ) ემსახურება საქველმოქმედო მიზნებს;
გ) ქონება გადაეცემა სხვა არასამეწარმეო (არაკომერციულ) იურიდიულ პირს;
9.7 აკრძალულია ლიკვიდაციის შედეგად დარჩენილი ქონების განაწილება ცენტრის დამფუძნებლებს, ხელმძღვანელობისა და წარმომადგენლობითი უფლებამოსილების მქონე პირებს შორის.

10. დავების გადაწყვეტა

10.1 ცენტრის წევრებს, ასევე ცენტრსა და მის წევრებს შორის წარმოქმნილი დავა გადაწყდება ურთიერთშეთანხმების საფუძველზე. შეუთანხმებლობის შემთხვევაში, დავას გადაწყვეტს სასამართლო;
10.2. ცენტრსა და მესამე პირს შორის წარმოშობილი დავა გადაწყდება მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად.

დამფუძნებლები:
სახელი / გვარი
……
სახელი / გვარი
….

დანართი 3: *ზრდასრულთა განათლების ცენტრების აღწერილობა:*

ცენტრი	ცენტრის ტევადობა	ოთახების რაოდენობა	მთლიანი ფართობი
ახალქალაქის ზრდასრულთა განათლების ცენტრი	270-მდე ადამიანი	6 ოთახი	336 მ²
ახალციხის ზრდასრულთა განათლების ცენტრი	350-მდე ადამიანი	12 ოთახი	435 მ²
ამბროლაურის ზრდასრულთა განათლების ცენტრი	320-მდე ადამიანი	11 ოთახი	400 მ²
ბოლნისის ზრდასრულთა განათლების ცენტრი	200-მდე ადამიანი	18 ოთახი	245 მ²
ჩიხატაურის ზრდასრულთა განათლების ცენტრი	220-მდე ადამიანი	7 ოთახი	272 მ²
ჯვრის სათემო განათლების ცენტრი	390-მდე ადამიანი	9 ოთახი	480 მ²
ქუთაის ზრდასრულთა განათლების ცენტრი	120-მდე ადამიანი	6 ოთახი	140 მ² დამატებით: 50 მ² ბაღი
ხარაგაულის ზრდასრულთა განათლების ცენტრი	190-მდე ადამიანი	9 ოთახი	235 მ²
ხიდის სათემო განათლების ცენტრი	310-მდე ადამიანი	8 ოთახი	400 მ²
კოდის სათემო განათლების ცენტრი	365-მდე ადამიანი	9 ოთახი	454 მ²
ლენტეხის ზრდასრულთა განათლების ცენტრი	370-მდე ადამიანი	12 ოთახი	459 მ²
სენაკის სათემო განათლების ცენტრი	180-მდე ადამიანი	5 ოთახი	221 მ²
ზუგდიდის სათემო განათლების ცენტრი	180-მდე ადამიანი	5 ოთახი	221 მ²

დანართი 4: *DVV International-ს, ზრდასრულთა განათლების ცენტრებსა და მუნიციპალიტეტებს შორის გაფორმებული მემორანდუმების ნიმუში:*

ურთიერთშეთანხმების მემორანდუმი

ადგილი **თარიღი**

პრეამბულა

ჩვენ, ქვემოთ ხელისმომწერნი, სახალხო უნივერსიტეტთა გერმანული ასოციაციის საქართველოს ფილიალი ,,თბილისის პროექტთა ბიურო" (შემდგომში DVV International), ზრდასრულთა განათლების ცენტრი (შემდგომში - ცენტრი) და ადგილობრივი მუნიციპალიტეტი (შემდგომში - მუნიციპალიტეტი) ამ მემორანდუმით გამოვხატავთ ურთიერთთანამშრომლობის სურვილს, ვინაიდან გვაქვს თანმხვედრი ინტერესები იძულებით გადაადგილებულ და სხვა პირთა განათლების სფეროში.

წინამდებარე მემორანდუმის ძირითად მიზანს წარმოადგენს იძულებით გადაადგილებულ და სხვა პირთათვის საგანმანათლებლო მომსახურებისა და სამოქალაქო საზოგადოების ჩამოყალიბების პროცესის ხელშეწყობა და ასევე, სოციალური სტრუქტურისა და სახელმწიფო ინსტიტუტების კონსოლიდაციის ხელშეწყობა.

ამ მიზნის განხორციელებისთვის ცენტრი უზრუნველყოფს მთელი რიგი ტრენინგ-კურსების ორგანიზებას და ჩატარებას იძულებით გადადგილებული და სხვა დაინტერესებული პირებისთვის. ტრენინგ კურსები უნდა განხორციელდეს თანამედროვე სასწავლო მასალებისა (სახელმძღვანელო, ელექტრონული ვიდეო გაკვეთილები და სხვ.) და მეთოდების შესაბამისად.

მსმენელის მიერ ტრენინგის სრული კურსის გავლის შემთხვევაში, ცენტრი გასცემს კურსის გავლის დამადასტურებელ შესაბამის დოკუმენტს.

ყოველივე ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე ვთანხმდებით შემდეგზე:

DVV International-ი იღებს ვალდებულებას:

1. ცენტრის ეფექტური ფუნქციონირებისთვის ევროკავშირის ფინანსური მხარდაჭერით განხორციელებული პროექტის „დევნილთა სოციო-ეკონომიკური ინტეგრაციის ხელშეწყობა სამეგრელო-ზემო-სვანეთის რეგიონში“ ფარგლებში შეძენილი მოძრავი ქონება გადასცეს ზრდასრულთა განათლების ცენტრს;
2. საერთო კოორდინაცია გაუწიოს ტრენინგ კურსების მიმდინარეობას;
3. საჭიროების შემთხვევაში და შესაძლებლობის ფარგლებში კონსულტაცია გაუწიოს ცენტრის წარმომადგენლებს სხვადასხვა საკითხებთან დაკავშირებით;
4.უზრუნველყოს წინამდებარე მემორანდუმით მოცემული ინფორმაციის საჯაროობა.

მუნიციპალიტეტი იღებს ვალდებულებას:

მოქმედი კანონმდებლობით დადგენილი წესით, ცენტრს 5 წლით სარგებლობაში გადასცეს მიწის ნაკვეთი, რომლეზეც DVV International-ის მიერ „დევნილთა სოციო–ეკონომიკური ინტეგრაციის ხელშეწყობა სამეგრელო ზემო-სვანეთის რეგიონში“ ფარგლებში აგებულ იქნა საგანმანათლებლო დაწესებულება.

ცენტრი იღებს ვალდებულებას:

1. ორგანიზება გაუწიოს ტრენინგ-კურსის ჩატარებას;
2. ტრენინგ-კურსის ჩატარების შესახებ ინფორმაცია განათავსოს საჯაროდ ან/და საინფორმაციო და სარეკლამო საშუალებებში;
3. ტრენინგ-კურსისთვის გამოიყენოს თანამედროვე სასწავლო მასალები (სახელმძღვანელო, ელექტრონული ვიდეო გაკვეთილები და სხვა) და მეთოდები;
4. ტრენინგ–კურსის წარმართვისთვის მოიწვიოს კვალიფიციური კადრები (ექსპერტები და სპეციალისტები, რომელთაც აღნიშნულ სფეროში გააჩნიათ თეორიული ცოდნა და პრაქტიკული გამოცდილება);
5. უზრუნველყოს ტრენინგ-კურსის ჩატარება შესაბამის გარემოში, აგრეთვე, ხელმისაწვდომი გახადოს სასწავლო მასალები ტრენინგ-კურსის მონაწილეთათვის;
6. ხელმისაწვდომი გახადოს სტატისტიკური მონაცემები ჩატარებული ტრენინგების შესახებ მუნიციპალიტეტის, DVV International-ისა და სხვა

დაინტერესებული პირებისთვის;
7. საჭიროების შემთხვევაში, გაუზიაროს გამოცდილება ანალოგიური მიზნების მქონე ცენტრებს;
8. ითანამშრომლოს სხვა ანალოგიური მიზნების მქონე ცენტრებთან და ორგანიზაციებთან;
9. მემორანდუმის ფარგლებში, საკუთრებასა თუ სარგებლობაში მიღებული ქონება გამოიყენოს მხოლოდ საგანმანათლებლო საჭიროებისათვის.

დასკვნითი დებულებები:
1. მემორანდუმი არ ზღუდავს თანამშრომლობის სახეებსა და ფარგლებს. მხარეებს შეუძლიათ ითანამშრომლონ სხვა საკითხებში ორმხრივი ინტერესების შესაბამისად;
2. ერთობლივი ღონისძიებების ჩატარების შემთხვევაში მხარეები წინასწარ თანხმდებიან ორგანიზაციული ხარჯების გადანაწილებასთან დაკავშირებით;
3. მემორანდუმი მოქმედებს 5 წლის ვადით;
4. მემორანდუმში შესაძლებელია ნებისმიერი ცვლილებისა და დამატების შეტანა, რაც ხორციელდება მხარეთა წერილობითი შეთანხმებით;
5. მემორანდუმი და მასში შეტანილი ცვლილებები/დამატებები ძალაში შედის მხარეთა მიერ მათი ხელმოწერის დღიდან;
6. მემორანდუმი ხელმოწერილია (თარიღი) 3 ეგზემპლარად და თითოეული ეგზემპლარი თანაბარი იურიდიული ძალის მქონეა.

მხარეთა ხელმოწერები:

მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარე: _____

სახალხო უნივერსიტეტთა გერმანული ასოციაციის საქართველოს ფილიალის ,,თბილისის პროექტთა ბიურო" დირექტორი: _____

ზრდასრულთა განათლების ცენტრის დირექტორი: _____

DVV International-ის, ზრდასრულთა განათლების ცენტრებსა და მუნიციპალიტეტებს შორის გაფორმებული მემორანდუმების მეორე ნიმუში

ურთიერთშეთანხმების მემორანდუმი

ადგილი **თარიღი**

პრეამბულა

ჩვენ, ქვემოთ ხელისმომწერნი, მუნიციპალიტეტი (წარმოდგენილი სახელი/გვარი/პ/ნ სახით) (შემდგომში - მუნიციპალიტეტი), სახალხო უნივერსიტეტთა გერმანული ასოციაციის საქართველოს ფილიალი ,,თბილისის პროექტთა ბიურო" (ს/კ) (წარმოდგენილი იურიდიული პირის (სახელი/გვარი/პ/ნ) სახით (შემდგომში DVV International საქართველო) და ა.(ა).ი.პ. (ორგანიზაციის დასახელება / ს/კ) წარმოდგენილი იურიდიული პირის (სახელი/გვარი/პ/ნ) სახით, ამ მემორანდუმით გამოვხატავთ ურთიერთთანამშრომლობის სურვილს, ვინაიდან გვაქვს თანმხვედრი ინტერესები ზრდასრულთა განათლების სფეროში.

წინამდებარე მემორანდუმის ძირითად მიზანს წარმოადგენს ჩოხატაურის მუნიციპალიტეტში და მის მეზობლად მცხოვრები პირების საგანმანათლებლო მომსახურებისა და სამოქალაქო საზოგადოების ჩამოყალიბების პროცესის ხელშეწყობა და ასევე, სოციალური სტრუქტურების და სახელმწიფო ინსტიტუტების კონსოლიდაციის ხელშეწყობა.

ამ მიზნის განხორციელებისთვის, ზრდასრულთა განათლების ცენტრი უზრუნველყოფს მთელი რიგი ტრენინგ-კურსების ორგანიზებასა და ჩატარებას დაინტერესებული პირებისთვის. ტრენინგ-კურსები უნდა განხორციელდეს თანამედროვე სასწავლო მასალებისა (სახელმძღვანელო, ელექტრონული ვიდეო გაკვეთილები და სხვა) და მეთოდების შესაბამისად.

მსმენელის მიერ ტრენინგის სრული კურსის გავლის შემთხვევაში, ცენტრი გასცემს კურსის გავლის დამადასტურებელ შესაბამის დოკუმენტს.
ყოველივე ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, ვთანხმდებით შემდეგზე:

DVV International საქართველო იღებს ვალდებულებას:
1. შექმნას ადგილობრივ მუნიციპალიტეტში „ზრდასრულთა განათლების ცენტრი";
2. ზრდასრულთა განათლების ცენტრის ეფექტური ფუნქციონირებისთვის უზრუნველყოს გამოყოფილი ფართის რეაბილიტაცია, კეთილმოწყობა და მოახდინოს მისი აღჭურვა პროგრამისთვის საჭირო ინვენტარით;

3. საერთო კოორდინაცია გაუწიოს ტრენინგ-კურსების მიმდინარეობას;
4. საჭიროების შემთხვევაში და შესაძლებლობის ფარგლებში, კონსულტაცია გაუწიოს ცენტრის წარმომადგენლებს სხვადასხვა საკითხებთან დაკავშირებით;
5. ღია და გამჭვირვალე კონკურსის საფუძველზე, მოახდინოს ცენტრის თანამშრომელთა რეკრუტირება, გადამზადება;
6. უზრუნველყოს წინამდებარე მემორანდუმით მოცემული ინფორმაციის საჯაროობა;
7. DVV International საქართველო იტოვებს უფლებას ადგილობრივი არასამთავრობო ორგანიზაციის მიერ მემორანდუმით გათვალისწინებული პირობების წარმატებით შესრულების შემთხვევაში ამ უკანასკნელს გადასცეს ზრდასრულთა განათლების ცენტრი.

მუნიციპალიტეტი იღებს ვალდებულებას:

მოქმედი კანონმდებლობით დადგენილი წესით, DVV International საქართველოს 5 წლის ვადით გამოეყოს მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული (მისამართი)_____ფართი (მიწის, უძრავი ქონების) საკადასტრო კოდი - #____), ზრდასრულთა განათლების ცენტრის განსათავსებლად.

ადგილობრივი არასამთავრობო ორგანიზაცია იღებს ვალდებულებას:

1. DVV International საქართველოსთან შეთანხმებით, ორგანიზება გაუწიოს ტრენინგ-კურსის ჩატარებას;
2. ტრენინგ-კურსის ჩატარების შესახებ ინფორმაცია განათავსოს საჯაროდ ან/და საინფორმაციო და სარეკლამო საშუალებებში;
3. ტრენინგ-კურსისთვის გამოიყენოს თანამედროვე სასწავლო მასალები (სახელმძღვანელო, ელექტრონული ვიდეო გაკვეთილები და სხვა) და მეთოდები;
4. ტრენინგ-კურსის წარმართვისთვის, DVV International–თან შეთანხმებით, მოიწვიოს კვალიფიციური კადრები (ექსპერტები და სპეციალისტები, რომელთაც აღნიშნულ სფეროში გააჩნიათ თეორიული ცოდნა და პრაქტიკული გამოცდილება);
5. უზრუნველყოს ტრენინგ-კურსის ჩატარება შესაბამის გარემოში, აგრეთვე, ხელმისაწვდომი გახადოს სასწავლო მასალები ტრენინგ-კურსის მონაწილეთათვის;
6. ხელმისაწვდომი გახადოს სტატისტიკური მონაცემები ჩატარებული ტრენინგების შესახებ მუნიციპალიტეტის, DVV International-ისა და სხვა დაინტერესებული პირებისთვის;

7. საჭიროების შემთხვევაში, გაუზიაროს გამოცდილება ანალოგიური მიზნების მქონე ცენტრებს;
8. ითანამშრომლოს სხვა ანალოგიური მიზნების მქონე ცენტრებთან და ორგანიზაციებთან;
9. მემორანდუმის ფარგლებში, გამოყოფილი ფართი გამოიყენოს მხოლოდ საგანმანათლებლო საჭიროებისთვის.

დასკვნითი დებულებები:

1. მემორანდუმი არ ზღუდავს თანამშრომლობის სახეებსა და ფარგლებს. მხარეებს შეუძლიათ ითანამშრომლონ სხვა საკითხებში ორმხრივი ინტერესების შესაბამისად;
2. ერთობლივი ღონისძიებების ჩატარების შემთხვევაში, მხარეები წინასწარ თანხმდებიან ორგანიზაციული ხარჯების გადანაწილებასთან დაკავშირებით.
3. მემორანდუმი მოქმედებს 5 წლის ვადით;
4. მემორანდუმში შესაძლებელია ნებისმიერი ცვლილებისა და დამატების შეტანა, რაც ხორციელდება მხარეთა წერილობითი შეთანხმებით;
5. მემორანდუმი და მასში შეტანილი ცვლილებები/დამატებები ძალაში შედის მხარეთა მიერ მათი ხელმოწერის დღიდან;
6. მემორანდუმი ხელმოწერილია (თარიღი) 3 ეგზემპლარად და თითოეული ეგზემპლარი თანაბარი იურიდიული ძალის მქონეა.

მხარეთა ხელმოწერები:

მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარე: _____

სახალხო უნივერსიტეტთა გერმანული
ასოციაციის საქართველოს ფილიალის
,,თბილისის პროექტთა ბიურო”
დირექტორი: _____

ზრდასრულთა განათლების ცენტრის დირექტორი: _____

დანართი 5: საგანმანათლებლო საჭიროებების კითხვარის ნიმუში:

კითხვარი

1. ასაკი (გთხოვთ, მიუთითოთ) ---------
2. სქესი: (მონიშნეთ შესაბამისი კვადრატი)

მამრობითი ☐

მდედრობითი ☐

3. განათლება: (მონიშნეთ შესაბამისი კვადრატი)

სკოლის მოსწავლე ☐

არასრული საშუალო განათლება ☐

საშუალო განათლება ☐

სტუდენტი ☐

პროფესიული განათლება ☐

არასრული უმაღლესი განათლება ☐

უმაღლესი განათლება

4. ხართ თუ არა დასაქმებული?

დიახ ☐ არა ☐

5. მიგიღიათ თუ რა მონაწილეობა ზრდასრულთა განათლების ცენტრის მიერ ორგანიზებულ ტრენინგებში, სასწავლო კურსებსა ან რაიმე სახის ღონისძიებაში?

დიახ ☐ არა ☐

6. მიგაჩნიათ, რომ არაფორმალური განათლება (ტრენინგები, მოკლევადიანი პროფესიული გადამზადების კურსები) ადამიანს ეხმარება პიროვნულ განვითარებაში, დასაქმებასა და თვითრეალიზებაში?

დიახ ☐ არა ☐ მიჭირს პასუხის გაცემა ☐

7. ვთქვენი აზრით, რა სფეროში უნდა ფლობდეს ცოდნასა და გამოცდილებას თანამედროვე ადამიანი იმისათვის, რომ დასაქმდეს და თვითრეალიზება შეძლოს? (შეგიძლიათ მონიშნოთ რამდენიმე კვადრატი)

კომპიუტერის ცოდნა	☐	უცხო ენები	☐
ბიზნესის წარმოება	☐	სოფლის მეურნეობა	☐
პროექტების წერა	☐	პროფესიული განათლება	☐

8. ქვემოთ ჩამოთვლილი სასწავლო კურსებიდან რომელი კურსის გავლას ისურვებდით? (მონიშნეთ შესაბამისი ველი, შეგიძლიათ, აირჩიოთ რამდენიმე)

#	კურსის სახელწოდება	ვისურვებდი	მეტ-ნაკლებად ვისურვებდი	არ ვისურვებდი
1	კომპიუტერის კურსი			
2	ოფის-მენეჯერის კურსი			
3	ინგლისური ენა			
4	გერმანული ენა			
5	მცირე ბიზნესის კურსი			
6	მართვა და დისტრიბუცია			
7	ავტო-მანქანის შეკეთება			
8	ბუღალტერია (ორისის პროგრამა)			
9	სოფლის მეურნეობის წარმოება			
10	აგრონომია			
11	სტილისტის კურსი			
12	კოსმეტოლოგია			

13	ჭრა-კერვა (დიზაინი)			
14	ქარგვა			
15	ფოტო-ხელოვნება			
16	მოლარე ოპერატორი			
17	სამოქალაქო განათლება			
18	სხვა			

9. ქვემოთ ჩამოთვლილთაგან რომელი ტრენინგის გავლას ისურვებდით? (მონიშნეთ შესაბამისი ველი; შეგიძლიათ, აირჩიოთ რამდენიმე)

#	**ტრენინგი**	**ვისურვებდი**	**მეტ-ნაკლებად ვისურვებდი**	**არ ვისურვებდი**
1	პირადი უნარების განვითარება (პრეზენტაცია, კონფლიქტების მართვა, ეფექტური კომუნიკაცია)			
2	ბიზნეს გეგმის განვითარება			
3	პროექტების წერა და მენეჯმენტი			
4	ფონდების მოძიება			
5	აქტიური მოქალაქეობა და სამოქალაქო ჩართულობა			
6	სოციალური მედია			
7	სამუშაოს ძიების უნარები			
8	სხვა			

10. ზრდასრულთა განათლების ცენტრის მიერ ორგანიზებულ რა ტიპის აქტივობებში მიიღებდით მონაწილეობას? (შეგიძლიათ მონიშნოთ რამდენიმე)

1. ---------- **2.** ---------- **3.** ----------

11. ზრდასრულთა განათლების ცენტრის მიერ ორგანიზებულ რა ტიპის აქტივობებში მიიღებდით მონაწილეობას? (შეგიძლიათ მონიშნოთ რამდენიმე)

სპორტული ღონისძიებები	☐	ფილმების ჩვენება	☐
ეკოლოგიური აქტივობები	☐	დისკუსიები	☐
სხვა ----------	☐	სხვა ----------	☐

დანართი 6: *ზრდასრულთა განათლების ცენტრებში ჩატარებული პიროვნული და პროფესიული განვითარების კურსების ჩამონათვალი:**

პიროვნული განვითარების კურსები

კომპიუტერი	ქართული ენა	ინგლისური ენა
გერმანული ენა	მცირე ბიზნესი	ოფის-მენეჯმენტი
ტურისტული გიდი	ბუღალტერია	ტელე-ჟურნალისტიკა
პროექტის წერა	ეფექტური კომუნიკაცია	კარიერის დაგეგმვა
თვით-პრეზენტაცია	პროექტის მენეჯმენტი	კონფლიქტის მენეჯმენტი

პროფესიული კურსები

მინანქრის კურსი	ოქრომჭედლობა	ხის დამუშავება
ბატიკა	მეფუტკრეობა	ბიო-ფერმერობა
თევზის მეურნეობა	ტანსაცმლის კერვა	თოჯინების კერვა
ჭრა-კერვა	თექა-გობელენი	ქსოვა
კოსმეტოლოგია	მობილურების შეკეთება	კომპიუტერის აწყობა
დისტრიბუცია	სტილისტი	კულინარიის კურსი
ელექტროობის შემკეთებელი	ფართო პროფილის მშენებელი	ავტო-ზეინკალ-შემკეთებელი
ქარგვა	სანტექნიკა	ტყავის აქსესუარები
ავეჯის დამზადების კურსი	მლესავი	მღებავი
ფეხსაცმლის შეკეთება	ფოტოგრაფია	ქსოვა მანქანით
მაკრამე	პროთეზირება	გამყიდველ-კონსულტანტი
მძივებით კერვა	რქის დამუშავება	კანვა
აგრარული კურსი	ქართული ცეკვის კურსი	

* აღნიშნული ჩამონათვალიდან ზოგიერთი კურსი ყველა ცენტრში ტარდებოდა, გარკვეული კურსები კი მხოლოდ ერთ ან ორ ცენტრში იყო წარმოდგენილი.

დანართი 7: ზრდასრულთა განათლების ცენტრების საკონტაქტო ინფორმაცია

ახალქალაქის ზრდასრულთა განათლების ცენტრი
მისამართი: ტერიანის ქ. #25, ახალქალაქი, ახალქალაქის მუნიციპალიტეტი
ტელ.: 595 01 51 11
მეილი: akhalkalaki.aaec@gmail.com

ახალციხის ზრდასრულთა განათლების ცენტრი
მისამართი: რუსთაველის ქ. #26, ახალციხე, ახალციხის მუნიციპალიტეტი
ტელ.: 555 88 38 83
მეილი: aecakhaltsikhe@gmail.com

ამბროლაურის ზრდასრულთა განათლების ცენტრი
მისამართი: კოსტავას ქ. #37, ამბროლაური, ამბროლაურის მუნიციპალიტეტი
ტელ.: 551 58 62 07
მეილი: ambrolauri.aec@gmail.com

ბოლნისის ზრდასრულთა განათლების ცენტრი
მისამართი: სულხან-საბა ორბელიანის ქ. #97, ბოლნისი, ბოლნისის მუნიციპალიტეტი
ტელ.: 599 98 24 16
მეილი: bolnisiaec@gmail.com

ჩოხატაურის ზრდასრულთა განათლების ცენტრი
მისამართი: წერეთლის ქ. #1, ჩოხატაური, ჩოხატაურის მუნიციპალიტეტი
ტელ.: 595 51 41 41
მეილი: caec.chokhatauri@gmail.com

ჯვარის სათემო განათლების ცენტრი
მისამართი: ჭიჭინაძის ქ. #5ა, ჯვარი, წალენჯიხის მუუნიციპალიტეტი
ტელ.: 592 50 14 90
მეილი: jvari.cec@gmail.com

ქედას ზრდასრულთა განათლების ცენტრი
მისამართი: ტბელ აბუსერიძის ქ. #10, ქედა, ქედას მუნიციპალიტეტი
ტელ.: 599 27 95 62;
მეილი: keda.aec@gmail.com
ხარაგაულის ზრდასრულთა განათლების ცენტრი

მისამართი: სოლომონ მეფეს ქ.19ა, ხარაგაულის მუნიციპალიტეტი
ტელ.: 577 10 18 94
მეილი: kharagauli.aec@gmail.com

ხონის სათემო განათლების ცენტრი
მისამართი: დავით გურამიშვილის ქ.,ხონი, ხონის მუნიციპალიტეტი
ტელ.: 595 50 90 24
მეილი: khonicec@gmail.com

კოდის სათემო განათლების ცენტრი
მისამართი: ყოფილი სამხედრო დასახლება, სოფელი კოდა, თეთრიწყაროს მუნიციპალიტეტი
ტელ.: 591 41 02 74
მეილი: cec.koda@gmail.com

ლელიანის ზრდასრულთა განათლების ცენტრი
მისამართი: სოფელი ლელიანი**,** ლაგოდეხის მუნიციპალიტეტი
ტელ.: 551 42 45 26;
მეილი: leliani.aec@gmail.com

სენაკის სათემო განათლების ცენტრი
მისამართი: ყოფილი სამხედრო დასახლება, სენაკი, სენაკის მუნიციპალიტეტი
ტელ.: 577 57 66 55
მეილი: senaki.cec@gmail.com

შაუმიანის სათემო განათლების ცენტრი
მისამართი: ყოფილი სამხედრო დასახლება, სოფელი შაუმიანი, მარნეულის მუნიციპალიტეტი
ტელ.: 577 08 31 82
მეილი: shaumiani.cec@gmail.com